180/1
1963/2
ეროვნული
ბიბლიოთეკა
180/2
F 3259
116
9148

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 1 1963 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. იმ პირთა საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს სოფელთან.
2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.
3. „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
4. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივნისის № 547 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
5. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების შესახებ.
6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სატვირთო საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილ[illegible] ტომობილო ტრანსპორტის ცენტრალიზებული ტვირთზიდვ[illegible] ბის ზომების შესახებ.
8. სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ოქტომბრის № 1068 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
9. იმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

10. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

11. ღვინის მასალის, ყურძნის ღვინის, კონიაკის სპირტისა და კონიაკის შენახვისა და წარმოების დროს დანაკარგების ნორმების შემცირების შესახებ.
12. საავტომობილო მეურნეობებისათვის მათ მიერ ტვირთზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს ხელფასის გასაცემად სახსრების მიცემის წესის შესახებ.
13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ.
14. საკრედიტო დაწესებულებების მიერ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებზე პროცენტებია გაცემის გაუქმების შესახებ.
15. ეტლებიანი მძიმე მოტოციკლებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ზომების შესახებ.
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
17. რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში შრომის დაცვის გაუმჯობესებისა და მუშაობის უსაშიშრო პირობების შექმნის შესახებ.
18. იმ კოლმეურნეობათა ყოფილი წევრებისათვის ყოველთვიური დახმარების დანიშვნისა და მიცემის მოწესრიგების შესახებ, რომელთა მიწები გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს.
19. აშენებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობის საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ.
20. საწარმოო-ტექნიკური დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ზომების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და რეკომენდაციებისა და წინადადებების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.
22. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 532 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
23. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
24. საქონლის ნისიად გაყიდვის დროს საკავშირო ორგანიზაციათა სასარგებლოდ მყიდველებისათვის პროცენტების გადახდევინების წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ.
25. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 29 ოქტომბრის № 1117 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ.
26. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 ოქტომბრის № 1074 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
27. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 ოქტომბრის № 1058 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
28. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
29. საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
30. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს სანიმუშო დებულების დამტკიცების შესახებ.
31. რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახალხო ნაგებობისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ.
32. იმ ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო პენსიებს არ იღებენ.
33. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 ნოემბრის № 1172 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ.
34. საქართველოს სსრ მთაგორიანი და საზღვრისპირა რაიონების კოლმეურნეობებისათვის საშემოსავლო გადასახადის დამატებითი შეღავათების მოქმედების ვადის სამი წლით გაგრძელების შესახებ.
35. სამინაო-კოოპერაციული მშენებლობის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1 იმ პირთა საკარმიდამო ნაკვეთების შესახებ, რომლებმაც კავშირი გაწყვიტეს სოფელთან

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არის ფაქტები, როდესაც ცალკეული პირები არ ცხოვრობენ და არ მუშაობენ სოფელში, გაწყვეტილი აქვთ კავშირი სოფელთან, მაგრამ სარგებლობენ საკარმიდამო ნაკვეთებით. მიწათსარგებლობაში არსებული ასეთი დარღვევები იწვევენ სერიოზულ უკმაყოფილებას კოლმეურნეთა შორის და უარყოფითს გავლენას ახდენენ კოლმეურნეთა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ პარტიის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს, პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს და ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების უფროსებს განახორციელონ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების, კოლმეურნეობათა გამგეობების მონაწილეობით შესაბამისი ღონისძიებანი, რათა ჩამოერთვას საკარმიდამო ნაკვეთები იმ პირებს, რომლებსაც გაწყვეტილი აქვთ კავშირი სოფელთან, და გადაეცეს ეს მიწები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მიწის ფონდში.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს შეიმუშაოს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებთან ერთად ღონისძიებანი ამ დადგენილების შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩატარებული მუშაობის შედეგები მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 1 იანვრისათვის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 4 ნოემბერი, № 776

2 მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.

1959-1961 წლებში სამუშაოთა მოცულობა გაიზარდა 13 პროცენტით, ქსელი გადიდდა 974 ერთეულით, წარმოიშვა მომსახურების ახალი სახეობანი და ფორმები.

მაგრამ საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, განსაკუთრებით სოფლად. დიდ დასახლებულ პუნქტებსაც კი ყოველთვის როიი აქვთ სარემონტო და სამკერვალო სახელოსნოები, სამრეცხაოები, საპარიკმახეროები და სხვა დამხმარე საწარმოები.

მთელ რიგ შემთხვევებში რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები არ იღებენ სათანადო ზომებს მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

წლითიწლობით არ სრულდება სამუშაოთა მოცულობის დავალებანი. შეუსრულებელი რჩება ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და სამღებრო ფაბრიკების მშენებლობის დავალება. ქალაქ თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ტყიბულში, ჭიათურაში, ტყვარჩელსა და რუსთავში არ არის უზრუნველყოფილი ფეხსაცმლის, ავეჯისა და ტექნიკურად რთული საოჯახო საგნების შემკეთებელი მექანიზებული ფაბრიკების და სპეციალიზებული სახელოსნოების მშენებლობა.

ცოტა სადგომებს გამოყოფენ საყოფაცხოვრებო საწარმოებისათვის როგორც შენდებად საცხოვრებელ სახლებში, ისე იმ სადგომების განთავისუფლების გზითაც, რომლებიც სხვადასხვა კანტორებს უკავიათ, ადგილი აქვს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა სადგომების გადაცემას სხვა მიზნებისათვის. ამის გამო ცოტაა ან სრულიად არ მოიპოვება ისეთი სახელოსნოები, სადაც შეიძლებოდეს ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკერვა და შეკეთება, ტანსაცმლის ჩაბარება ქიმიური წმენდისათვის, მაცივრის, სარეცხი ან საკერავი მანქანის, ველოსიპედის, რადიომიმღების, ტელევიზორისა და სხვა ელექტროსაყოფაცხოვრებო ხელსაწყოების შეკეთება.

სუსტად არიან ჩაბმული სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებისა და მიმღები პუნქტების მოწყობის საქმეში.

ცუდად არის ორგანიზებული ბინების შეკეთების სამუშაოთა შესრულება. მოსახლეობა საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი აბანოებითა და სამრეცხაოებით. სრულიად არ მოიპოვება სახლის სამრეცხაოები, რომლებიც თვითმომსახურების პირობებში იმუშავებენ.

საჭირო ყურადღება არ ექცევა საყოფაცხოვრებო მანქანებისა და ხელსაწყოების გამოყენების საზოგადოებრივი ფორმების დანერგვას, კერძოდ, ნელა ვითარდება სარეცხი მანქანების, მტვერსასრუტების, იატაკსაწმენდებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საგნების გაქირავების, ავეჯის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის, სამგზავრო ბილეთების, ბარგისა და ამანათების შინ მიტანის ატელიებისა და პუნქტების ქსელი.

მეტად სუსტად ინერგება მომსახურების ისეთი სახეობანი, რომლებიც განსაკუთრებით დიდ ხარჯებს არ მოითხოვენ, როგორიცაა, მაგალითად, ბინებში თეთრეულის მიღება გასარეცხად, ნივთების მიღება ქიმიური წმენდისათვის, ბინების დალაგება, ხელბარგის შესანახი კამერების მოწყობა, ავტომანქანების, მოტოციკლების გასაჩერებელი ფასიანი ადგილების მოწყობა და ბევრი სხვა მომსახურება.

წარმოებისა და მომსახურების კულტურა ჯერ კიდევ დაბალ დონეზე დგას. ბევრ სახელოსნოს არ გააჩნია შესასრულებელ სამუშაოთა ტექნიკური პირობები, პრეისკურანტები, წინადადებებისა და საჩივრების წიგნები, მისაღები და ჩასაზომებელი სადგომები.

საწარმოები კვალიფიციური კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან, მაგრამ მათ აღზრდას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის გადაწყვეტილი საკითხები საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების უზრუნველყოფისა ტრანსპორტით.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები ძირითადად ერთ-ცვლად მუშაობენ. ატელიების, პავილიონებისა და სახელოსნოების არსებულ ქსელში მოსახლეობის მომსახურების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია აიძულებს მშრომელებს კერძო პირებს მიმართონ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების დაბალი დონის ერთერთი მიზეზია საწარმოების გაუმართლებელი დაქსაქსვა სხვადასხვა უწყებებს შორის.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიის ბევრი საქალაქო და რაიონული კომიტეტი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, რესპუბლიკის პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანოები როგორც საჭიროა ისე არ სწვდებიან საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობას, არ იჩენენ მაღალ მომთხოვნელობას პარტიული პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და დაწესებულებების ხელმძღვანელებისადმი იმ მხრივ, რომ გაუმჯობესდეს ყოფაცხოვრების სამსახური და აღმზრდელობითი მუშაობა საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კოლექტივებს შორის.

მთელ რიგ ადგილებში არა ჩანს საზოგადოებრივი კონტროლი საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაობისადმი. სუსტად არის მოწყობილი ამ საწარმოების მუშათა სოციალისტური შეჯიბრება მშრომელთა მომსახურების მაღალი კულტურისათვის, დამკვრელთა, კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და საწარმოების წოდებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის საფუძველზე, პროგრამისა, რომელმაც კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრების კეთილმოწყობის ძირეულად გაუმჯობესების უზრუნველყოფა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ მოსახლეობის საჭიროებათა სრულად დაკმაყოფილება, და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 აგვისტოს № 847 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო პარტიული კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) მოთხოვონ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანიზაციებს გააძლიერონ ყურადღება ყოფაცხოვრების სამსახურისადმი, გააფართოონ საყოფაცხოვრებო მომსახურების ფორმები და სახეობანი, ძირეულად გააუმჯობესონ მუშაობის კულტურა და ხარისხი იმ ანგარიშით, რომ მოხდეს ამ მხრივ არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაცია და მიღწეულ იქნას უახლოეს წლებში მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება ყველა სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში;

ბ) სისტემატურად განიხილონ პარტიული კომიტეტების პლენუმებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სესიებზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისა და გაუმჯობესების საკითხები, გააძლიერონ კონტროლი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი, გააძლიერონ პარტიული და საბჭოთა აპარატის მუშაკთა პასუხისმგებლობა ამ მუშაობის ორგანიზაციისათვის.

2. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი, ხელმძღვანელობის ძირეულად გაუმჯობესების მიზნით, მოეწყოს სამეურნეო ანგარიშზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოები სახალხო მეურნეობის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების, საქართველოს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებათა და ცეკავშირის გამგეობის მმართველობის ორგანოების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის შემცირების ხარჯზე.

3. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დაგეგმვა, კონტროლი გაეწიოს პარტიისა და მთავრობის მიერ საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებას, შექმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო საგეგმო კომისიაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილება 4 კაცის შტატით მუშაკთა იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც 1962 წლისათვის დაუმტკიცდათ რესპუბლიკის მმართველობის ორგანოებს.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახლადშექმნილი სამმართველოებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის განყოფილების სტრუქტურა და შტატები ისე, რომ ნაჩვენებ იქნას მმართველობის ორგანოების მიხედვით ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის დაფარვის წყაროები.

4. რესპუბლიკური და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში მოსახლეობის მთელი საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმე თავმოყრილ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს სისტემაში, ხოლო დანარჩენ რაიონულ ცენტრებსა და ყველა სოფელში — ცეკავშირის სისტემაში.

ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა გადასცენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, მათ შორის აბანოები და სამრეცხაოები რაიონულ ცენტრებსა და ყველა სოფელში — ცეკავშირს, ხოლო რესპუბლიკური და რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს.

ცეკავშირის გამგეობამ გადასცეს ქალაქებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ სამმართველოებს.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ვაჭრობის, კავშირგაბმულობის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, საქართველოს პროფსაბჭოს საკურორტო სამმართველოს, საქართველოს უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებს, მონადირეთა კავშირის გამგეობას, საქართველოს თეატრალურ საზოგადოებას და საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირს გადასცენ მოსახლეობის საყოფაცხოვრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომსახურების ყველა ობიექტი. როგორც სამრეწველო, ეროვნული სამრეწველო ხასიათისა: ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს, გარდა სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს პროფტექნიკური სკოლისა და საპროტეზო-ორთოპედიული ქარხნისა, ხოლო დანარჩენ რაიონულ ცენტრებსა და სოფლებში — ცეკავშირს.

6. ამიერკავკასიის რკინიგზის მუშათა მომარაგების სამმართველომ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველომ გადასცენ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ობიექტი, გარდა რკინიგზის სადგურებსა და ჯარის ნაწილებში განლაგებული ობიექტებისა: ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებს, ხოლო რაიონულ ცენტრებსა და ყველა სოფელში — ცეკავშირის გამგეობას.

7. ერთი თვის ვადაში იქნას გადაცემული და მიღებული ამ დადგენილების მე-4, მე-5, მე-6 მუხლებით გათვალისწინებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები: სახელმწიფო ორგანიზაციებისა — ბალანსიდან ბალანსზე, ხოლო ცეკავშირის გამგეობის და საზოგადოებათა საწარმოებისა — სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 5 მაისის № 667 დადგენილების და სსრ კავშირის ფინსახკომის, სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარიატის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1940 წლის 26 მაისის ინსტრუქციის შ. საბამისად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ერთი კვირის ვადაში შეადგინოს, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, სამმართველოებისათვის გადასაცემ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა სია ქალაქების მიხედვით, სამუშაოთა მოცულობის აღნიშვნით.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ფინანსთა სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შეიტანონ სახალხო მეურნეობის 1962 წლის გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი ისე, რომ უცვლელი დარჩეს ბიუჯეტთან ურთიერთდამოკიდებულება.

9. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ...ობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართ... ცეკავშირის გამგეობას:

ა) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში ამ საწარმოების დაახლოება მოსახლეობასთან, აგრეთვე მოაწყონ სახლის სამრეცხაოები თვითმომსახურების საწყისებზე;

ბ) საგრძნობლად განავითარონ სარეცხი და საკერავი მანქანების, ელექტროიატაკსაწმენდების, ელექტრომტვერსასრუტებისა და სხვა საოჯახო საგნების გასაქირავებელი ქსელი;

გ) მოაწყონ ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში მომსახურების ბიუროების სისტემა (სამეურნეო ანგარიშზე), რომლებიც შეასრულებენ ისეთ სამუშაოებს, როგორიცაა ბინის დალაგება და იატაკის გაწმენდა, ბავშვებისა და ავადმყოფების მოვლა, მოსახლეობისათვის ბილეთების, ბარგის, ამანათების, ნავაჭრის შინ მიტანა, ქორწილების მომსახურება, ბინებში თეთრეულის მიღება გასარეცხად და ნივთებისა — ქიმიური წმენდისათვის, ხელბარგის შესანახი კამერების, ავტომანქანებისა და მოტოციკლების გასაჩერებელი ფასიანი ადგილების მოწყობა.

შემოიღონ საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაობის პრაქტიკაში ატელიებისა და სახელოსნოების ბრიგადების გასვლა სამრეწველო საწარმოებში, დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვადასხვა სამუშაოთა შესრულების შეკვეთების მისაღებად, ფართოდ გამოიყენონ შეკვეთების შინ მიღება და ნაკეთობათა მიტანა მოსახლეობისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორამ მოამარაგოს მომსახურების ბიუროები იმ მუშაკებისათვის ხელფასის მისაცემად საჭირო სახსრებით, რომლებიც უშუალოდ არიან დასაქმებული მოსახლეობისათვის მომსახურების გაწევის სამუშაოებზე, სამუშაოთა შესრულებული მოცულობის კვალობაზე, ფასობრივი გამოხატულებით;

დ) ჩაატარონ საყოფაცხოვრებო მომსახურების წვრილი სახელოსნოების გამსხვილება და შექმნან მექანიზებული საწარმოები მიმღები პუნქტების ფართო ქსელით, ამასთან მოაწყონ ამ პუნქტებში ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო საგნების მცირე რემონტი შემკვეთის თანდასწრებით; განიხილონ საკითხი, რომ შეიქმნას მსხვილ საცხოვრებელ მასივებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოფაცხოვრებო სახელოსნოების კომპლექსი, რომლებიც
მელები უზრუნველყოფილი იქნებიან ძირითადი სახის საყოფაცხოვ-
რებო მომსახურებით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ამასთან
ყურადღება მიაქციონ ქალთა საპარიკმახეროების რიცხვის გადიდე-
ბას, მოაწყონ ისინი უშუალოდ საწარმოებში, სადაც მომუშავეთა
მნიშვნელოვან ნაწილს ქალები შეადგენენ;

ე) შეიმუშაონ საწარმოთა ყველაზე რაციონალური სტრუქტურა
სხვადასხვა სახის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ქალაქებში,
მუშათა დაბებსა და სოფლებში; მიიღონ ზომები მომსახურების
თვითღირებულების შემცირებისა და სახელოსნოების რენტაბელო-
ბის გადიდებისათვის;

ვ) აკრძალონ იმ სადგომების ჩამორთმევა და სხვა მიზნებისათვის
გამოსაყენებლად გადაცემა, რომლებიც უკავია საყოფაცხოვრებო
მომსახურების საწარმოებს, ან რომლებიც განკუთვნილია ასეთი
საწარმოებისათვის;

ზ) უზრუნველყონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა
წარმოებითი ფართობებისა და მოწყობილობის უფრო ეფექტიანად
გამოყენება; ამ მიზნით გადაიყვანონ, სადაც ეს საჭიროა, ტანსაცმ-
ლისა და ფეხსაცმლის შესაკერავი და სარემონტო, საყოფაცხოვრე-
ბო მანქანებისა და ხელსაწყოების შემკეთებელი ატელიები და სა-
ხელოსნოები ორცვლად მუშაობაზე, ხოლო სამრეცხაოები და ტან-
საცმლის ქიმიურად საწმენდი ფაბრიკები — სამცვლად მუშაობაზე;

თ) მოაწყონ ქალაქებში საექიმო კოსმეტიკის კაბინეტები სამე-
ურნეო ანგარიშზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უზრუნ-
ველყოს აღნიშნული კაბინეტები სამედიცინო პერსონალით, ინსტ-
რუმენტებით, მედიკამენტებითა და მუდმივი მეთვალყურეობა გაუ-
წიოს მათ მუშაობას;

ი) მოაწყონ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და
საოჯახო საგნების გასაქირავებელი პუნქტების ქსელი სახლმმართ-
ველობებთან, აგრეთვე კოოპერაციული ვაჭრობის მსხვილ მაღაზი-
ებში (დამოუკიდებელი სექციები) — მოტოციკლების, ველოსიპე-
დების, ნავების, სპორტული ინვენტარისა და სხვა საგნების გამქი-
რავებელი პუნქტები მშრომელთა დასვენების ადგილებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო
კომისიამ უზრუნველყოს აღნიშნული პუნქტები გასაქირავებელი
საგნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის საქართველოს სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან ერთად, მოაწყონ 1962 წელს რკინიგზის დიდ სადგურებში, ნავსადგურებსა და ვაგზლებში საპარიკმახეროები, ტანსაცმლის შესაკეთებელი და დასაუთოებელი, ფეხსაცმლის შესაკეთებელი და გასაწმენდი და სხვა მომსახურების გამწევი პუნქტები.

11. დაწესდეს 1962-1965 წლებისათვის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამრეწველო და არასამრეწველო სახეობის სამუშაოთა მოცულობა სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს სახალხო მეურნეობის გეგმებით სამინისტროებისა და უწყებებისათვის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა სამუშაოების სახეობათა მიხედვით.

12. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან ერთად შექმნან საჭირო პირობები ყველა დიდ სასტუმროში, სადაც შესაძლებელი იქნება ტანსაცმლის, კოსტუმის დაუთოება ყოველ დროს, თეთრეულის ჩაბარება გასარეცხად და ა. შ.

13. დაწესდეს:

ა) რომ სამრეწველო და არასამრეწველო ხასიათის სამუშაოთა ძოცულობას, კაპიტალდაბანდებათა ოდენობას განსაზღვრავს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო, ამასთან გამოიყოფა მაჩვენებლები ავტონომიური რესპუბლიკებისა, ოლქისა და ქ. თბილისისათვის;

ბ) რომ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას დაგეგმავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო და დამტკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცებს მთავრობა, ამასთან ცალკე სტრიქონად გამოიყოფა ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქი და ქალაქი თბილისი.

14. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს გადასცეს 1963—1965 წლებში საექსპლუატაციოდ 360-ადგილიანი აბანოები და ცვლაში 3.6 ტონა მშრალი თეთრეულის საერთო მწარმოებლურობის სამრეცხაოები, მათ შორის სახლის სამრეცხაოები, რომლებიც იმუშავებენ თვითმომსახურების პირობებში. ცვლაში ერთი ტონა მშრალი თეთრეულის მწარმოებლურობით. №№ 3 და 4 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს, 1963 წლიდან დაწყებული, ამ მიზნისათვის საჭირო კაპიტალდაბანდებანი კომუნალური მშენებლობის ლიმიტების ანგარიშში.

15. დაევალოთ თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან ერთად, 1964 წლის დამლევამდე დამატებით მოაწყონ ქ. თბილისსა და ქუთაისში თითო ლომბარდი საოჯახო ნივთების შესანახად.

16. დაევალოთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს 1962 წელს სატელეფონო კავშირით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დიდი საწარმოები, კომბინატები და კეთილმომსახურების ყველა პუნქტი.

17. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) ძირეულად გააუმჯობესოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა უზრუნველყოფა საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით, ამასთან მნიშვნელოვნად გაადიდოს მათთვის გამოსაყოფი მცირეტონაჟიანი ავტომობილების რაოდენობა;

ბ) გაადიდოს ავტომობილების დაქირავება როგორც ახალი ავტომობილების მიღების, ისე არსებული მანქანების გამოყენების კოეფიციენტის გადიდების ხარჯზე, აგრეთვე გააძლიეროს კონტროლი მათი ექსპლუატაციის სისწორისადმი.

18. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს გაითვალისწინოს ქალაქების, ცალკეული საცხოვრებელი რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცალკეული კარმიდამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შედგენის და დამტკიცების დროს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების განლაგება.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველომ და ცეკავშირის გამგეობამ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მშენებლობისა და გაფართოების დროს უფრო მეტად გამოიყენონ სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის სესხი, რასაც ისინი იძლევიან აღნიშნული მიზნებისათვის, შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 ოქტომბრის № 2593 დადგენილებისა „ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის წარმოების გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოყოს ამ მიზნებისათვის საშენი მასალები და მოწყობილობა იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური მოცულობის და აღნიშნული საწარმოების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა შესრულებას.

20. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, 1963 წლიდან დაწყებული, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს მიიღონ მუშა-მოსამსახურეები ტანსაცმლის ბის მშენებლობას, მათთვის საჭირო მოწყობილობის შეძენას მოახმარონ, კაპიტალურ სამუშაოთა დამტკიცებული გეგმების გადამეტებით, აგრეთვე მათი საბრუნავი სახსრების შესავსებად გამოიყენონ აღნიშნული საწარმოების მთელი დაგროვება (გარდა საწარმოთა ფონდისა).

21. უფლება მიენიჭოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოქმედი საწარმოების გაფართოებას და ახალი საწარმოქიმიური წმენდის და თეთრეულის სარეცხ ატელიებში, სახელოსნოებსა და მიმღებ პუნქტებში არასრული სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაოდ ისე, რომ გამომუშავება აღირიცხოს ფაქტიურად ნამუშევარი დროის მიხედვით და შრომა ანაზღაურდეს სანარდო ფასდებისა და ხელფასის საათობრივი განაკვეთების საფუძველზე.

22. დავალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია:

ა) გაითვალისწინოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მოთხოვნილების უზრუნველყოფა ნედლეულით, ქიმიკატებით, მასალებით, სათადარიგო ნაწილებით, მოწყობილობითა და ავტოტრანსპორტით, მათთვის დაწესებული სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად, აგრეთვე მასალებით ბინების შესაკეთებლად და საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი საწარმოების მშენებლობისათვის.

ბ) დააწესოს სახალხო მეურნეობის გეგმებით საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი საწარმოების მშენებლობის და მოქმედი საწარმოების გაფართოების დავალებანი, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა შეიქმნას ქალაქ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, ფოთში, გორში, ჭიათურაში, ტყვარჩელში სპეციალიზებული საწარმოები მიმღები პუნქტებით, ხოლო რაიონულ ცენტრებში — კომბინატები მოძრავი სახელოსნოებითა და მიმღები პუნქტებით მოსახლეობის მომსახურებისათვის სოფლად.

F 3259

9148

გ) სახალხო მეურნეობის საბჭოსა, სამინისტროებისა და უწყებებისათვის საბინაო მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის განსაზღვრის დროს დააწესოს დავალებანი, რომ შენდებად საცხოვრებელ სახლებში გამოყოფილ იქნას სადგომები საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის, ამასთან გაითვალისწინოს ამ საწარმოთა მშენებლობის დანახარჯები საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა 0,4 პროცენტამდე ოდენობით;

დ) 1963 წლიდან გაითვალისწინოს სახალხო სამეურნეო წლიური გეგმებით კაპიტალურ დაბანდებათა გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობისა, გაფართოებისა და რეკონსტრუქციისათვის;

ე) გამოუყოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს საჭირო რაოდენობის ქსოვილი ტანისამოსის ინდივიდუალური ძეკერვისათვის;

ვ) 1963 წლიდან დაწყებული, გაითვალისწინოს საავტომობილო ტრანსპორტის გამოყოფა, განსაკუთრებით მცირე ტვირთამწეობისა, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილოს საკითხი, თუ როგორ სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 24 აპრილის № 329 დადგენილებით დაწესებული დავალებანი ტანსაცმლის ქიმიურად საწმენდი და შესაღებავი ფაბრიკების მშენებლობისა, და მიიღოს ზომები, რათა დამთავრდეს მშენებლობა და გადაეცეს იგი საექსპლუატაციოდ 1962-1963 წლებში.

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველომ და ცეკავშირის გამგეობამ 1962 წლის 30 ნოემბრამდე შეიმუშაონ და, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, დაამტკიცონ ყოფაცხოვრების სამსახურის კვალიფიციურ მუშაკთა მომზადების პერსპექტიული გეგმები, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა სრულად იქნას უზრუნველყოფილი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მოთხოვნილება კადრებზე.

25. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან ერთად, 1962 წლის 25 ნოემბრამდე შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია კვალიფიციურ მუშათა მომზადების გაფართოება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის და მათი შესრულების უზრუნველყოფა.

26. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოსთან და ცეკავშირის გამგეობასთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების სპეციალისტ ტექნიკოსთა მომზადების (სპეციალიზაციის წესით) ორგანიზაციის შესახებ, რათა შეთანხმებულ იქნას ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან.

27. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების კადრებით განმტკიცებისათვის, გააუმჯობესონ მუშაკთა შერჩევა, მომზადება და აღზრდა, გაგზავნონ საწარმოებში სამუშაოდ საჭირო რაოდენობის კომუნისტები და კომკავშირელები, რომელთაც შესწევთ უნარი ახლებურად, ინიციატივიანად გადაწყვიტონ საკითხები.

28. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ მოაწყონ საზოგადოებრიობის მუდმივი კონტროლი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობისადმი, ჩაებან ამ საქმეში ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. შემოიღონ პრაქტიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების ხელმძღვანელ მუშაკთა საანგარიშო მოხსენებანი მშრომელთა კრებებზე დაწესებულებებში, საწარმოებში, კოლმეურნეობებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილზე.

29. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ გააძლიეროს პროფკავშირული ორგანიზაციების როლი იმ მხრივ, რომ აღიზარდონ საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშაკები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, უფრო ფართოდ გაშალოს მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება დამკვრელთა და კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდებისათვის, შეკვეთების მაღალხარისხოვნად შესრულებისა და მუშაობის კულტურის ამაღლებისათვის. მოაწყოს მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გავრცელება, მიაღწიოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთა საწარმოო და საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

30. ეთხოვოს სსრ კავშირის გზათა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს მისცენ მითითება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართ-

ველოს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ვაჭრობის სამმართველოს იმის შესახებ, რომ გადაეცეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა ობიექტი, გარდა რკინიგზის სადგურებსა და ჯარის ნაწილებში განლაგებული ობიექტებისა: ქალაქებში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს, ხოლო რაიონულ ცენტრებსა და ყველა სოფელში — ცეკავშირის გამგეობას.

31. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველომ და ცეკავშირის გამგეობამ წარმოადგინონ მოხსენება ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ 1963 წლის 15 მარტისა და 1964 წლის 15 თებერვლისათვის.

* *
*

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ყურადღებას მიაქცევენ იმ გარემოებას, რომ ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში შევიდა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესების საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და ეს საკითხები უნდა მოექცეს პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ყურადღების ცენტრში. მოსახლეობის სრული დაკმა-

ყოფილება საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ იქნება [illegible]-ტული განხორციელება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამისა საბჭოთა ხალხის საარსებო დონის ამაღლების საქმეში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 4 ნოემბერი, № 777

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების დანართი № 1

მ ო ც უ ლ ო ბ ა

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამრეწველო სახეობათა სამუშაოებისა 1962—1965 წლებისათვის საქართველოს სსრ უწყებების მიხედვით

(ათას მანეთობით)

	1962 წელი		1963 წელი		1964 წელი		1965 წელი	
	ს უ ლ	მათ შორის სოფლად	ს უ ლ	მათ შორის სოფლად	ს უ ლ	მათ შორის სოფლად	ს უ ლ	მათ შორის სოფლად
ს უ ლ . . .	12300	1800	13800	2400	15500	2600	17600	3600
მათ შორის:								
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო	10250	—	11140	—	12620	—	13690	—
ცეკავშირის გამგეობა . .	1800	1800	2400	2400	2600	2600	3600	3600
სახალხო მეურნეობის საბჭო	250	--	260	—	280	—	310	—

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების დანართი № 2

მ ო ც უ ლ ო ბ ა

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების არასამრეწველო სახეობათა სამუშაოებისა 1962—1965 წლებისათვის საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით

(ათას მანეთობით)

	1962 წელი		1963 წელი		1964 წელი		1965 წელი	
	სულ	მათ შორის სოფლად	სულ	მათ შორის სოფლად	სულ	მათ შორის სოფლად	სულ	მათ შორის სოფლად
ს უ ლ . . .	9900	1700	10500	2200	11400	2500	12300	3300
მათ შორის:								
საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	200	—	200	—	320	—	350	—
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო	8000	—	8100	—	8580	—	8650	—
ცეკავშირის გამგეობა . .	1700	1700	2200	2200	2500	2500	3300	3300

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი
ტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777
დადგენილების დანართი № 3

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

აბანოების გადაცემისა საექსპლუატაციოდ 1963—1965 წლებისათვის

	სულ (ადგილი)	მათ შორის		
		1963 წელი	1964 წელი	1965 წელი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო	360	100	110	150

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 777 დადგენილების დანართი № 4

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

სამრეცხაოების სიმძლავრეთა გადაცემისა საექსპლუატაციოდ 1963—1965 წლებისათვის

(მშრალი თეთრეული ტონობით ცვლაში)

	სულ	მათ შორის საბლის სამრეცხაოები	აქედან 1963 წელი		1964 წელი		1965 წელი	
			სულ	მათ შორის საბლის სამრეცხაოები	სულ	მათ შორის საბლის სამრეცხაოები	სულ	მათ შორის საბლის სამრეცხაოები
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო	3,6	1,0	0,8	0,25	1,0	0,25	1,8	0.5

3 „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტურად გამოყენებისა და შენდებად საწარმოთა საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 28 ნოემბრის № 727 დადგენილების მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით მიღებული წესი სატიტულო სიების შეთანხმებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არ ვრცელდება როგორც ახლად დაწყებულ, ისე გარდამავალ მშენებლობათა საბინაო მშენებლობის ობიექტზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 4 დეკემბერი. № 818

4 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივნისის № 547 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივნისის № 547 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების საქმეში მტკიცე წესრიგის დამყარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე", საქართველოს კპ ცენ-ტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგენენ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, № 1 დანართის თანახმად.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივნისის № 547 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, № 2 დანართის თანახმად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 17 დეკემბერი, № 841

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის
17 დეკემბრის № 841 დადგენილების
დანართი № 1

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებიც გაუქმებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივნისის № 547 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პირუტყვის მოზარდეულის შენარჩუნებისა და სულადობის გადიდების ზომების შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე" საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 31 მარტის № 526 დადგენილების 57 მუხლის „ე" ქვეპუნქტის მეორე აბზაცი;

2. „1943 წლის მინდვრის სამუშაოსათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნეო მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტის გეგმ[illegible] საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1942 წლის 17 ნოემბრის № 1758 დადგენილება.

3. „სამრეწველო სახალხო კომისარიატების დამხმარე მეურნეობათა შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების IV განაყოფის მუხლები 20—23.

4. მუხლი 15 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1944 წლის 20 დეკემბრის № 1429 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოდგომა-ზამთრის რემონტის ჩატარების 1944—1945 წლების გეგმისა და ვადების შესახებ“.

5. მუხლი 33 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 14 მარტის № 336 დადგენილებისა „1945 წელს მეაბრეშუმეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ პარკსაშრობების მუშაკთა დაჯილდოების ნაწილში.

6. „ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოების მიერ ფართო მოხმარების საქონლის და სასურსათო საქონლის წარმოების გადიდების ღონისძიებებზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1945 წლის 22 აგვისტოს № 2139 დადგენილების განხორციელების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1945 წლის 28 სექტემბრის № 1245 დადგენილების 23-ე მუხლის ქვეპუნქტი „ა“.

7. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ზეთისხილის კულტურის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 28 აგვისტოს № 721 დადგენილების მე-9 მუხლის ქვეპუნქტები „ა“ და „ბ“.

8. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 26 თებერვლის № 224 დადგენილების მე-20 მუხლის ქვეპუნქტები „ა“ და „ბ“.

9. მუხლი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 23 ივლისის № 688 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მიერ ევკალიპტის ნარგავების ხაზით სამუშაოთა ჩატარების შესახებ“.

10. „მოსავლის აღების დროს დანაკარგებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 21 ივლისის № 855 დადგენილების მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „გ“.

11. მუხლი 40 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 17 ნოემბრის № 1563 დადგენილებისა „1950—1951 წლებში კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და ცხენსაშენებში მეცხენეობის განვითარების შესახებ“.

12. „კოლმეურნეობებში თივის თიბვისა და საკვების დასილოსების ხაზით მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1950 წლის 11 აგვისტოს № 1024 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

13. „საქართველოს სს რესპუბლიკაში შავი ლითონის ჯართის შეგროვების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 23 აპრილის № 465 დადგენილების მე-4 მუხლის ქვეპუნქტი „ვ“ და მუხლი 11 იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობაზე, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა დაჯილდოებას.

14. მუხლები 16 და 17 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 2 აგვისტოს № 1004 დადგენილებისა „1951—1955 წლებისათვის მატყლის დამზადების გადიდებისა და მეცხვარეობის განვითარების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 25 ივნისის № 2167 დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენილებით გათვალისწინებულ სახელმწიფო საწარმოებისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა დაჯილდოებას.

15. „საბჭოთა შამპანურის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 3 ივლისის № 993 დადგენილების მე-15 მუხლის ქვეპუნქტი „ზ".

16. „საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1621 დადგენილების 42-ე მუხლის ქვეპუნქტი „გ" დაჯილდოების ნაწილში.

17. „საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცებისა და სოხუმის გემთსარემონტო-ტექნიკური სადგურის მოწყობის ზომების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 აპრილის № 274 დადგენილების 1 მუხლის ქვეპუნქტი „ვ" დაჯილდოების ნაწილში.

18. „საქართველოს სსრ საწარმოებში და მშენებლობებზე დაუდგმელი მოწყობილობის გამოყენების შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 25 ივლისის № 621 დადგენილების მე-8 მუხლის ქვეპუნქტი „ბ" იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობაზე, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
17 დეკემბრის № 841 დადგენილების
დანართი № 2

ნუსხა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებიც გაუქმებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივნისის № 547 დადგენილებით

1. მუხლი 16 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 15 ივლისის № 3181 დადგენილებისა „1952 წელს მოსავლის აღებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ჩატარების შესახებ".

2. მუხლი 20 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის 7 ოქტომბრის № 2570 დადგენილებისა „ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობის ჩამორჩენის ლიკვიდაციის შესახებ", აგრეთვე ამ დადგენილების № 4 დანართის და № 4 „ა" დანართის მუხლი 30.

3. მუხლები 11 და 17 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 9 აპრილის № 377 დადგენილებისა „მანქანათმშენებლობისა და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მუშაკთა შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანის, ხელფასის მომატებისა და მოწესრიგების შესახებ" ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების ნაწილში.

---

5 საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობისათვის რესპუბლიკაში შექმნილი იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების 19 საწარმოო სამმართველო, საბჭოთა მეურნეობების ერთი სპეციალიზებული ტრესტი და ერთი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური სამართველო საწარმოო სამმართველოების უფლებებით, სულ კი — 21 სამმართველო.

ცალკეული საწარმოო სამმართველოების მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო, რომ გეოგრაფიული პირობების სირთულის გამო გაძნელდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობის განხორციელება. ამასთან დაკავშირებით და შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებისა „სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის შესახებ", საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწვრილერთეულდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არსებული 19 საწარმოო სამმართველო და მათ ბაზაზე შეიქმნას რესპუბლიკაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 29 საწარმოო სამმართველო, საბჭოთა მეურნეობების ერთი სპეციალიზებული ტრესტი საწარმოო სამმართველოს უფლებებით, დანართის თანახმად.

2. გაუქმდეს „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ" საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 მარტის № 215 დადგენილების პირველი და მეოთხე მუხლები.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს განახორციელოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არსებული საწარმოო სამმართველოების დაწვრილერთეულება ამ დადგენილების შესაბამისად, არსებული შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 17 დეკემბერი, № 850

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 დეკემბრის № 850 დადგენილების დანართი

ს ი ა

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებისა

1. ამბროლაურის (ცენტრი დაბა ამბროლაური)	— კოლმეურნეობათა საწარმოო სამმართველო ამბროლაურის, ონის, ცაგერისა და ლენტეხის რაიონების ბაზაზე
2. ახალციხის (ცენტრი ქ. ახალციხე)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ახალციხის რაიონის ბაზაზე
3. ახალქალაქის (ცენტრი ახალქალაქი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ახალქალაქის რაიონის ბაზაზე
4. ბოლნისის (ცნეტრი დ. ბოლნისი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის რაიონების ბაზაზე
5. გალის (ცენტრი ქ. გალი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო გალის რაიონის ბაზაზე
6. გეგეჭკორის (ცენტრი დ. გეგეჭკორი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ბაზაზე
7. გორის (ცენტრი ქ. გორი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო გორის, კასპის რაიონების და ქარელის რაიონის ნაწილის ბაზაზე
8. გუდაუთის (ცენტრი ქ. გუდაუთა)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო გუდაუთის, გაგრის რაიონების და სოხუმის რაიონის ნაწილის ბაზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. გურჯაანის (ცენტრი ქ. გურჯაანი) — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო გურჯაანის და საგარეჯოს რაიონების ბაზაზე

10. დუშეთის (ცენტრი ქ. დუშეთი) — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო დუშეთის, მცხეთის, თიანეთისა და ყაზბეგის რაიონების ბაზაზე

11. ზესტაფონის (ცენტრი ქ. ზესტაფონი) — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ზესტაფონის, ორჯონიკიძის რაიონების და თერჯოლის რაიონის ნაწილის ბაზაზე

12. ზნაურის (ცენტრი ქ. ზნაური) — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ზნაურის, ჯავის რაიონების და ცხინვალის რაიონის ნაწილის ბაზაზე

13. ზუგდიდის (ცენტრი ქ. ზუგდიდი) — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ზუგდიდის, წალენჯიხის, მესტიისა და ხობის რაიონების ბაზაზე

14. ყვარლის (ცენტრი დ. ყვარელი) — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ყვარლის და ლაგოდეხის რაიონების ბაზაზე

15. ჩაქვის (ცენტრი დ. ჩაქვი) — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ქობულეთისა და ბათუმის რაიონების ბაზაზე

16. ლანჩხუთის (ცენტრი დ. ლანჩხუთი) — კოლმეურნეობათა საწარმოო სამმართველო ლანჩხუთის რაიონის და ჩოხატაურის რაიონის ნაწილის ბაზაზე

17. ლენინგორის (ცენტრი დ. ლენინგორი) — კოლმეურნეობათა საწარმოო სამმართველო ლენინგორის რაიონისა და ცხინლავის რაიონის ნაწილის ბაზაზე

18.	მახარაძის (ცენტრი ქ. მახარაძე)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო მახარაძის რაიონის და ჩოხატაურის რაიონის ნაწილის ბაზაზე
19.	მაიაკოვსკის (ცენტრი დ. მაიაკოვსკი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო მაიაკოვსკის და ვანის რაიონების ბაზაზე
20.	ოჩამჩირის (ცენტრი ქ. ოჩამჩირე)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ოჩამჩირის რაიონის და სოხუმის რაიონის ნაწილის ბაზაზე
21.	გარდაბნის (ცენტრი დ. გარდაბანი)	— საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტი საწარმოო სამმართველოს უფლებებით სამგორის რაიონის და მარნეულისა და საგარეჯოს რაიონების ნაწილის საბჭოთა მეურნეობების ბაზაზე
22.	სამტრედიის (ცენტრი ქ. სამტრედია)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო სამტრედიისა და წულუკიძის რაიონების ბაზაზე
23.	საჩხერის (ცენტრი დ. საჩხერე)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო საჩხერის და ყოფ. ჭიათურის რიაონების ბაზაზე
24.	სიღნაღის (ცენტრი ქ. სიღნაღი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონების ბაზაზე
25.	თელავის (ცენტრი ქ. თელავი)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო თელავისა და ახმეტის რაიონების ბაზაზე
26.	თეთრიწყაროს (ცენტრი დ. თეთრიწყარო)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო თეთრიწყაროსა და წალკის რაიონების ბაზაზე

27. ხაშურის (ცენტრი ქ. ხაშური)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ხაშურის, ბორჯომის რაიონებისა და ქარელის რაიონის ნაწილის ბაზაზე
28. ხულოს (ცენტრი ს. ხულო)	— კოლმეურნეობათა საწარმოო სამმართველო შუახევის, ხულოსა და ქედის რაიონების ბაზაზე
29. ცხაკაიას (ცენტრი ქ. ცხაკაია)	— კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო ცხაკაიასა და ჩხოროწყუს რაიონების ბაზაზე
30. წყალტუბოს (ცენტრი ქ. წყალტუბო)	კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო წყალტუბოს, ტყიბულის რაიონების და თერჯოლის რაიონის ნაწილის ბაზაზე

---

6 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ**

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ოქტომბრის № 1146 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ზეთისხილის კულტურის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 28 აგვისტოს № 721 დადგენილების მე-9 მუხლის ქვეპუნქტი „ვ“.

2. „საბჭოთა მეურნეობების მუდმივი მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფისა და საკუთარი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დახმარების გაწევის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 8 აგვისტოს № 839 დადგენილების მე-2 მუხლის მეორე აბზაცი და მე-5 მუხლის ქვეპუნქტი „ა“, აგრეთვე მუხლი 6 ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაკრედიტების ნაწილში.

3. „პირუტყვის შეძენაში უძროხო და უპირუტყვო კოლმეურნეებისათვის დახმარების გაწევის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცნეტრალური კომიტეტის 1947 წლის 22 აგვისტოს № 915 დადგენილების მე-2 მუხლის ქვეპუნქტები „ა“ და „ბ“, აგრეთვე მუხლი მე-3 პირუტყვის შესასყიდად კრედიტის მიცემის ნაწილში.

4. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 26 თებერვლის № 224 დადგენილების მე-20 მუხლის ქვეპუნქტი „ლ“.

5. მუხლი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 16 აპრილის № 483 დადგენილებისა „პურის ხარისხის ამაღლების და პურის ვაჭრობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

6. მუხლი 12 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 აპრილის № 496 დადგენილებისა „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში თამბაქოს მოსავლიანობის გადიდების ზომების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 30 დეკემბერი. № 874

7 სატვირთო საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საავტომობილო ტრანსპორტის ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განვითარების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ მთელ რიგ ღონისძიებათა გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხორციელების შედეგად უკანასკნელ წლებში და განსაკუთრებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 954 დადგენილების შემდეგ რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული წვრილი საავტომობილო მეურნეობების გამსხვილებისა და საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებისათვის.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ხვედრითი წონა ტვირთზიდვაში გადიდდა 1962 წელს 71 პროცენტამდე ნაცვლად 30 პროცენტისა 1959 წელს. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა. მარტო 1960—1961 წლებში ლიკვიდირებულია 606 წვრილი არარენტაბელური საავტომობილო მეურნეობა, რაც შეადგენს ავტომეურნეობათა საერთო რაოდენობის 24 პროცენტს.

ამავე პერიოდში იმ მსხვილ ავტომეურნეობათა რაოდენობა, რომლებსაც 100 ავტომობილზე მეტი აქვთ, გადიდა 37-დან 63 მეურნეობამდე, ხოლო მათში ავტომობილების რაოდენობა — 5.597-დან 11.921 ერთეულამდე.

ცენტრალიზებული გადაზიდვის მოცულობა ამჟამად შეადგენს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვის საერთო მოცულობის 42 პროცენტს.

სატვირთო ავტოტრანსპორტის საერთო სარგებლობის ერთიან ტრანსპორტად გასაერთიანებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მწარმოებლურობა ერთ ტონა ტვირთამწეობაზე ტონა-კილომეტრობით გადიდდა 19 პროცენტზე მეტად და ტონა-კილომეტრზე გადაზიდვის თვითღირებულება შემცირდა 3 პროცენტით.

მაგრამ ავტომეურნეობათა გამსხვილებისა და სახალხო მეურნეობაში სატვირთო ავტოტრანსპორტის გამოყენების საქმეს ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებს.

ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების 7.000-მდე სატვირთო ავტომობილი დღემდე დაქსაქსულია წვრილ საავტომობილო მეურნეობებში.

დიდია წვრილი საავტომობილო მეურნეობების რაოდენობა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოში და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური მდგომარეობაა ადგილობრივი მრეწველობის, მუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, ... წყალთა მეურნეობის სამინისტროებში, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის", ცეკავშირის და სხვა სისტემაში.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ ვაჭრობისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა მთლიანად ვერ უზრუნველყვეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებათა შესრულება, რომლებიც შეეხება ისეთი ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვის მოწყობას, როგორიცაა აგური, ლითონი, გათხევადებული გაზი ბალონებში, სამრეწველო და სასურსათო საქონელი და სხვ., რის შედეგადაც საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენება ჯერ კიდევ ნაკლები ნაყოფიერებით წარმოებს.

ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაცია ძირითადად იმით აიხსნება, რომ საწარმოები და ბაზები საკმაოდ არ არიან აღჭურვილი დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმებით, არ არიან დაკომპლექტებული მუშახელით, დროზე არ ხდება ტვირთების მომზადება გასაგზავნად და საავტომობილო ტრანსპორტი არ არის მოწყობილი გრძელი ზომისა და მძიმე ტვირთების გადასაზიდად.

ავტომეურნეობათა მეტად სუსტი ტექნიკური აღჭურვილობისა და სათადარიგო ნაწილებით მათი არადამაკმაყოფილებლად მომარაგების გამო, ჯერ კიდევ დაბალია სატვირთო საავტომობილო პარკის ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტი. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობებში სათანადო სიმაღლეზე არა დგას საწარმოო დისციპლინა მძღოლთა შემადგენლობას შორის, რის შედეგადაც ხშირია ავტომობილების სამუშაოზე დაგვიანებით გამოსვლის და სამუშაოდან ნაადრევად დაბრუნების შემთხვევები.

მიმდინარე წლის 10 თვის გეგმის შესრულება სამინისტროს ხახით ტონა-კილომეტრობით შეადგენს 98,6 პროცენტს.

ტვირთზიდვის გეგმის შესრულება განსაკუთრებით ჩამორჩება ისეთ მნიშვნელოვან ობიექტებში, როგორიცაა ჭიათურის მარგანე-

ცის ტრესტი, სადაც კარიერებიდან მარგანეცის გადაზიდვის 10 თვის გეგმის შესრულება ტონა-კილომეტრობით შეადგენს 10 პროცენტს, ხოლო გადახსნის სამუშაოთა ქანის გადაზიდვის — 47,5 პროცენტს. ტვირთზიდვის 10 თვის გეგმის შესრულება ტრესტ ჭიათურმარგანმშენის ხაზით შეადგენს ტონობით 77,6 პროცენტს, ტონა-კილომეტრობით — 83,8 პროცენტს, ქალაქ ქუთაისის სამშენებლო ობიექტებზე შესაბამისად — 94,8 პროცენტს და 79,9 პროცენტს, ხოლო მთლიანად ტვირთზიდვის გეგმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ხაზით შესრულებულია ტონობით — 86,9 პროცენტით, ხოლო ტონა-კილომეტრობით — 95,7 პროცენტით.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო რეგულარული საქალაქთაშორისო ცენტრალიზებული ტვირთზიდვის სათანადო განვითარება, რის შედეგადაც ჯერ კიდევ დიდია ავტომობილების ცარიელი გარბენა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს იმისათვის, რომ საავტომობილო ტრანსპორტით აწარმოონ ტვირთზიდვა, რომლის განხორციელება მოკლე მანძილზე რკინიგზის ტრანსპორტით რენტაბელური არ არის.

მარტო მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში რუსთავის ცემენტის ქარხნიდან საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის სახელზე, რომელიც ახორციელებს მშენებლობას ქალაქ რუსთავში, გაგზავნილია 1134 სარკინიგზო ვაგონი ცემენტი, მაშინ როდესაც რუსთავის № 3 ავტოსატრანსპორტო კანტორაში სისტემატურად გამცდარია ავტოცემენტმზიდები, რომელთა საერთო ტვირთამწეობა 150 ტონას შეადგენს.

ქალაქ თბილისიდან ქალაქ რუსთავსა და დუშეთში მცხეთის სადგურზე გადატვირთვით იგზავნება ფქვილი, რომლითაც იტვირთება დიდძალი ვაგონები, ანალოგიური ფაქტები ერთეული როდია.

სულ ამიერკავკასიის რკინიგზა მიმდინარე წელს მცირე მანძილზე ტვირთის გადასაზიდად ყოველთვიურად იძლეოდა 5500-ზე მეტ ვაგონს.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი საკმაო ყურადღებას არ აქცევენ იმ სატვირთო ავტომობილების გამოყენების გაუმჯობესებას, რომლებიც კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს მოეპოვებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იღებენ გადამწყვეტ ზომებს, რათა შეწყდეს ახალ-ახალ ავტომობილების მიწოდება წვრილი უწყებრივი საავტომობილო მეურნეობებისათვის.

საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ჯერ კიდევ საკმაო დახმარებას არ უწევენ ავტომეურნეობათა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ გაძლიერდეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მძღოლთა შორის და გაუმჯობესდეს ავტომეურნეობათა მუშაობა.

ავტომეურნეობათა შემდგომი გამსხვილებისა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის განვითარების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 სექტემბრის № 1024 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებსა და დაწესებულებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ერთი თვის ვადაში გადასცენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მათს გამგებლობაში არსებული ყველა სატვირთო ავტომობილი, გარდა იმ ავტომობილებისა, რომლებზედაც დადგმულია სპეციალური მოწყობილობა, აგრეთვე საავარიო-ტექნიკური სამსახურის და ისეთი ავტომობილებისა, რომლებიც განკუთვნილია ქალაქებისა და რაიონული ცენტრების დასასუფთავებლად.

დაწესდეს, რომ სატვირთოავტომობილების გადაცემისას გადაცემულ უნდა იქნას აგრეთვე ავტობაზები, გარაჟები, სათბობგამწყობები, წყალზეთგამწყობები, ავტოცისტერნები, საავარიო-ტექნიკური სამსახურის ავტომობილები და აღნიშნული ავტომობილების შემკეთებელი მოძრავი ავტოსახელოსნოები უსასყიდლოდ 1963 წლის 1 იანვრის ბალანსის მიხედვით. ავტობაზები და გარაჟები გადაცემულ უნდა იქნან მთელი შენობებითა და ნაგებობებით, სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით, მოწყობილობით, საბრუნავი სახსრებით, კაპიტალური მშენებლობის გეგმებით, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობით, შრომის გეგმებით, ძირითად საშუალებათა კაპიტალური რემონტისა და ავტორეზინის გაცვეთის საამორტიზაციო ანარიცხებით, აგრეთვე მასალების, მოწყობილობის ფონდებითა და სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც გამოყოფილია 1963 წლისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა დაეჭიროთ ნაკლული გადასაცემი ერთეული სატვირთო ავტომობილების რაოდენობა ცენტრალიზებული წესით უზრუნველყონ, რომ გადაირიცხოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საანგარიშსწორებო ანგარიშზე საბრუნავი სახსრების მისი კუთვნილი თანხები თვითეულ ავტომობილზე 350 მანეთის ანგარიშით, საამორტიზაციო ანარიცხები ავტომობილების კაპიტალური რემონტისა, მათი გარბენისა და ავტომანქანების გაცვეთისათვის, ფაქტიური მდგომარეობის მიხედვით.

დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ფინანსთა სამინისტროს განიხილონ და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ დაეტოვოთ საჭირო რაოდენობის სატვირთო ავტომობილები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებსა და ორგანიზაციებს, ადგილობრივი პირობებისა და ეკონომიური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადაზიდვას დამამზადებელ პუნქტებში, გადამმუშავებელ საწარმოებსა და ხანგრძლივი შენახვის ადგილებში, აგრეთვე მინერალური სასუქის, ქიმიკატების, საშენი მასალებისა და სხვა მასობრივი ტვირთების შეტანას ქალაქებიდან და რკინიგზის სადგურებიდან საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში უნდა ახორციელებდეს, როგორც წესი, საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტი.

2. დაეტოვოთ სატვირთო ავტომობილები საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს და დაევალოთ მათ განახორციელონ 1963 წლის 1 მარტიდან ღონისძიებანი, რომელთა მიზანია წვრილი საავტომობილო მეურნეობების ლიკვიდაცია და ავტომობილების გამოყენების გაუმჯობესება დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებშიაც დატოვებულია სატვირთო ავტომობილები.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 27 სექტემბრის № 1024 დადგენილებით დაავალა:

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გადასცენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებ-თან შეთანხმებით საერთო სარგებლობის საავტომობილო-ტრანსპორტის მეურნეობებს ან, ადგილობრივი პირობების და ეკონომიური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, სახალხო მეურნეობის საბჭოების სამეურნეო ანგარიშის ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებს სატვირთო ავტომობილები, რომლებიც მათ მოეპოვებათ, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მოეპოვებათ, გარდა სატვირთო ავტომობილებისა, რომლებიც ეკუთვნის ქალაქგარეთ მდებარე მსხვილ მშენებლობებსა და საწარმოებს, სატრანსპორტო მშენებლობის სამშენებლო ორგანიზაციებს და საწარმოებს, სატვირთო ავტომობილები, რომლებსაც იყენებენ ხე-ტყის დამზადებაზე, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, ელექტროსადგურების, ელექტროგადამცემი ხაზების, გაზსადენებისა და ნავთსადენების, კავშირგაბმულობის მაგისტრალების მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, ავტომობილები, რომლებიც გამოყენებულია გეოლოგიურ-სადაზვერვო და ტოპოგრაფიულ-გეოდეზიურ სამუშაოებზე, საზღვაო ნავსადგურებში, სამეცნიერო ექსპედიციების, კავშირგაბმულობის საწარმოების, ინკასაციის, საავარიო-ტექნიკური სამსახურის ავტომობილები და ის ავტომობილები, რომლებზედაც დადგმულია სპეციალური მოწყობილობა;

ბ) განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია წვრილი საავტომობილო მეურნეობების ლიკვიდაცია და ავტომობილების გამოყენების გაუმჯობესება დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, რომლებშიაც დატოვებულია სატვირთო ავტომობილები.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ნუსხა, რომელთა გამგებლობაში მიზანშეწონილია დარჩეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს № 1024 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სატვირთო ავტომობილები, ამასთან დაუწესონ ამ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ავტომობილების რაოდენობა ტვირთზიდვის მოცულობისა და ტრანსპორტის რაციონალურად გამოყენების გათვალისწინებით;

ბ) მიაწერონ ავტობაზებს უწყებრივი დაქვემდებარების მიხედვით ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის ქალაქებში არსებული, იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაქსაქსული სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთო ავტომობილები, რომლებშიაც დატოვებულია ავტომობილები.

4. საიდუმლო.

5. დაევალოს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს კონტროლი გაუწიოს იმას, რომ აღრიცხვაზე იქნან აყვანილი ამ დადგენილების მე-2 და 3 მუხლებში აღნიშნული ავტომობილები.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან ერთად, წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადიდდეს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატი, რისთვისაც შესაბამისად შემცირდეს სხვა სამინისტროებისა და უწყებების შტატი და ხელფასის ფონდი სახელმწიფო მმართველობის ორგნოების ხაზით.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ:

ა) გაითვალისწინოს ახალი სატვირთო ავტომობილების გამოყოფა ძირითადად საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დიდი მეურნეობებისათვის, ამასთან არ დაუშვას ამ ავტომობილების დაქსაქსვა წვრილ უწყებრივ საავტომობილო მეურნეობებში, აგრეთვე გამოუყოს ავტომეურნეობებს, რომლებიც ცენტრალიზებულ ტვირთზიდვას ახორციელებენ, დიდი ტვირთამწეობისა და სპეციალური ძარებიანი ავტომობილები;

ბ) 1963 წლის 1 თებერვლამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გადაეცეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ქარხნები და სამრეწველო საწარმოები დიზელიანი ავტომობილების, ძრავების და „მოსკვიჩის" მარკის მსუბუქი ავტომობილების კაპიტალური რემონტის ავტოსარემონტო ქარხნების მოსაწყობად.

8. დაევალოთ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილს, გ. ა. გეგეშიძეს, გ. ი. ჩოგოვაძეს, ო. დ. გოცირიძეს, თ. ნ. დავითაშვილს განიხილონ საკითხი, რომ გამოეყოთ 1963 წელს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სარემონტო ქარხნებსა და სახელოსნოებს საჭირო რაოდენობის ლითონსაჭრელი ჩარხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს:

ა) უზრუნველყონ 1963 წელს ქალაქებში საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის შემდგომი განვითარება და პირველ რიგში ცენტრალიზებული შეზიდვა და გამოზიდვა ტვირთებისა რკინიგზის სადგურებიდან, ნავსადგურებიდან და აეროპორტებიდან, საშენ მასალათა დამამზადებელი საწარმოების, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებისა და ვაჭრობის საწარმოების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზებისა და საწყობების ტვირთებისა, ამასთან განახორციელონ იქ, სადაც ეს საჭიროა, ავტომობილების მუშაობა 2—3 ცვლად;

ბ) ცენტრალიზებული ტვირთზიდვის დროს განახორციელონ ტვირთის დატვირთვა ავტომობილებზე, როგორც წესი, გამგზავნთა ძალებითა და საშუალებებით, ხოლო ტვირთის გადმოტვირთვა ავტომობილებიდან — მიმღებთა ძალებითა და საშუალებებით, ამასთან ჩაატარონ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მაქსიმალური მექანიზაცია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს ახალი დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმების გამოყოფა პირველ რიგში იმ სამინისტროებისა, უწყებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის განხორციელებაში.

10. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 სექტემბრის № 1024 დადგენილებით:

ა) საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული შეზიდვა და გამოზიდვა 1962—1963 წლებში ხორციელდება დიდ სარკინიგზო სადგურებზე გზათა სამინისტროსთან შეთანხმებულ სიებით, ხოლო 1964—1965 წლებში — ყველა სხვა სარკინიგზო სადგურებზე, სადაც დატვირთვა-გადმოტვირთვის მოცულობა დღეღამეში 10 ვაგონს აღემატება

ბ) საავტომობილო ტრანსპორტით ცენტრალიზებული ტვირთზიდვის დროს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები რკინიგზების სადგურებში, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურებში წარმოებს ამ რკინიგზებისა და ნავსადგურების ძალებითა და საშუალებებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა საშიში და ჩამოსასხამი ტვირთების დატვირთვა-გადმოტვირთვისა რკინიგზის სადგურებში და საშიში ტვირთისა ბაზებში — ...

ბ) ცენტრალიზებული გადაზიდვის დროს გადასაზიდი ტვირთების მოვლა-შენახვისათვის მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც წესი, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებს.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს შეიმუშაონ და მიმდინარე წლის დამლევამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წესები საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვისა ქალაქებში და საქალაქთაშორისო მიმართულებით, აგრეთვე წინადადება ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის ტარიფების და საიჯარო საწყისებზე სატვირთო ავტომობილების სარგებლობისათვის ტარიფების შემცირების შესახებ.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით რეგულარული საქალაქთაშორისო ცენტრალიზებული ტვირთზიდვის შემდგომი განვითარებისათვის შეიმუშაონ და მიმდინარე წლის დამლევამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად იმ საავტომობილო გზების ნუსხა, რომლებზედაც უნდა მოეწყოს ასეთი გადაზიდვა 1963—1965 წლებში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საქალაქთაშორისო ცენტრალიზებული ტვირთზიდვა უნდა მოეწყოს პირველ რიგში ისეთ საავტომობილო გზებზე, რომლებიც არ არიან რკინიგზების პარალელური.

13. აეკრძალოს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს რკინიგზის ვაგონების მიწოდება ტვირთის მოკლე მანძილზე გადასაზიდად იმ მიმართულებებითა და იმ ვადების მიხედვით, რომლებიც გათვალისწინებულია დანართით; ამასთან დაკავშირებით დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, ტვირთგამგზავნებს, რომლებიც განლაგებული არიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ხოლო ასლი — საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს — განაცხადები საერთო სარგებლობის ტრანსპორტით ამ ტვირთების ცენტრალიზებული გადაზიდვის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) 1963 წლის პირველი კვარტალის დამლევამდე აღჭურვოს თბილისის ლითონბაზა, საბურთალოს, მეტეხის, ქუთაისისა და აჯამეთის აგურის ქარხნები დასატვირთავ-გადმოსატვირთავი მექანიზმებით, რათა მოხდეს პროდუქციის დატვირთვის სამუშაოების სრული მექანიზაცია;

ბ) აკრძალოს 1963 წლიდან აგურის მიცემა ორგანიზაციებისათვის საბურთალოს, მეტეხისა და აჯამეთის აგურის ქარხნებიდან უქვეშებოდ;

გ) მიმდინარე წლის დამლევამდე უზრუნველყოს 6 შლანგის დამატებით დაყენება რუსთავის ცემენტის ქარხანაში და 5 შლანგისა — 1963 წლის მეორე კვარტალში კასპის ცემენტის ქარხანაში ავტოცემენტმზიდების დასატვირთავად, ამასთან გაითვალისწინოს, რომ საჭიროა მოეწყოს ცემენტის გაცემა რუსთავის ქარხნიდან ორცვლად და ცემენტის ცენტრალიზებული გადაზიდვა კასპის ცემენტის ქარხნიდან საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით;

დ) მიმდინარე წლის დამლევამდე მოაწყოს ქალაქ თბილისისა და ქუთაისის ლითონბაზებში ავტომობილებით გადასაზიდი მთელი ლითონის წინასწარი დაპაკეტება და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით უზრუნველყოს თბილისის ობიექტებზე ცენტრალიზებული წესით გადაზიდული ლითონისა და სხვა ტვირთების გაცემა და მიღება ღამით, აგრეთვე ამიაკის გვარჯილის ცენტრალიზებული გადაზიდვა რუსთავის აზოტოვანი სასუქის ქარხნიდან.

15. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და მთავართბილმშენის სამმართველომ ერთი თვის ვადაში დაამზადონ სამ-სამი ათასი ცალი ქვეში, აგურის ცენტრალიზებული გადაზიდვისათვის საბურთალოს, მეტეხისა და აჯამეთის აგურის ქარხნებიდან და მათი მწყობრიდან გამოსვლის დროს სისტემატურად შეავსონ ისინი. უზრუნველყონ თბილისის ობიექტებზე წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით რუსთავის ცემენტის ქარხნიდან ცენტრალიზებულად შემოტანილი ცემენტის მიღება 21 საათამდე.

16. დაევალოთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) შეუდგნენ 1963 წლის პირველი კვარტალიდან ტვირთის ცენტრალიზებულად შეზიდვა-გამოზიდვას თბილისის, ნავთლუღისა და ქუთაისის რკინიგზის სადგურებიდან საერთო სარგებლობის ავტოტრანსპორტით ისე, რომ გაწეულ იქნას საექსპედიციო მომსახურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა და შესრულდეს ვაგონებისა და ავტომანქანების დატვირთვა-დმოტვირთვის სამუშაოები სატვირთო ეზოების ფარგლებში ბაგზის საშუალებებით შემდეგი ტვირთებისათვის: კონტეინერები, ქვანახშირი, მოწყობილობა, ლითონის ნაკეთობანი, ხე-ტყე, საშენი მასალები (გარდა ცემენტისა და კირისა). წვრილი გზავნილები და სატარო-საფუთავი ტვირთები, აგრეთვე კონტეინერები სადგურ ბათუმსა და კელასაურში;

ბ) შეიმუშაონ და დაამტკიცონ 1963 წლის 1 თებერვლამდე დებულება და ინსტრუქცია რკინიგზის სადგურებიდან ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვის შესახებ;

გ) ცხინვალი — გუბთა — ჩასავალი — კვაისი — ონის გზატკეცილის მშენებლობის დამთავრებასთან დაკავშირებით, აუკრძალონ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების სადგურებს, გარდა ლიხის, წიფის, მოლითის, მარელისის, ხარაგოულისა და ძირულის სადგურებისა, ტვირთის მიღება ქ. ონში გასაგზავნად ქუთაისის პირველ და მეორე სადგურებზე გადატვირთვით; ტვირთი ონში გაგზავნონ ცხინვალის სადგურის მეშვეობით.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გამოუყოს ამიერკავკასიის რკინიგზას დადგენილი წესით შრომის ლიმიტი 1963 წლისათვის 220 კაცის რაოდენობით საშუალო-წლიური გამოანგარიშებით, ხელფასის ფონდი 200 ათასი მანეთის ოდენობით, აგერთვე ორი ავტოამწე, ორი ავტომტვირთავი და 8 აკუმულატორული მტვირთავი, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ლიმიტებისა და ფონდების შემცირების ხარჯზე.

18. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს უზრუნველყოს ცხინვალი — გუფთა — ჩასავალი — კვაისი — ონის გზის მუშაობა მთელი წლის განმავლობაში.

19. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს ერთი თვის ვადაში დადგას დამატებით ავტომატური სატელეფონო სადგურის სამი ტელეფონი თბილისის ლითონბაზაში, აქედან ერთი — საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალიზებული ტვირთზიდვის დისპეტჩერისათვის: სამი ტელეფონი — № 1 ავტოსატრანსპორტო ტრესტის ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის განყოფილებაში და სამი ტელეფონი — ქალაქ ქუთაისში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 3 ავტოტრესტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) კატეგორიულად აკრძალონ ტვირთის გაცემა იმ ობიექტებიდან, სადაც მოწყობილია ცენტრალიზებული გადაზიდვა, სატვირთო ავტომობილებით, რომლებიც ცალკეული საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან მოდიან;

ბ) უზრუნველყონ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებების სწორად შევსება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ავტომობილის მოსვლისა და გასვლის დროის ჩანაწერს.

21. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სატვირთო ავტომობილების გამოყენების ძირეულად გაუმჯობესებას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე მისაბმელიანი ტრაქტორების მაქსიმალურად გამოყენებას ტვირთის გადასაზიდად.

22. დაევალოთ საქართველოს პროფსაბჭოს და ცეკავშირის გამგეობას ერთი თვის ვადაში განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ავტომეურნეობათა გამსხვილებისათვის, ამასთან უზრუნველყონ სატვირთო ავტომობილების გამოყენების მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

23. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ, სახმშენმა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გარაჟების მშენებლობის განხორციელება ქალაქებსა და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, უპირატესად ავტომობილების ღია სადგომებით და საწარმოო შენობების მინიმალური მოცულობით (ავტომობილების დასაზეთავად, გასარეცხად, რეგულირებისა და წვრილი მიმდინარე რემონტისათვის) იმის გათვალისწინებით, რომ ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და მიმდინარე რემონტის შრომატევადი სამუშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოები თავმოყრილ იქნას მსხვილ სპეციალიზებულ ავტოსაგარაჟო საწარმოებში.

24. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად, ერთი თვის ვადაში შეიმუშაონ ავტომობილების მძღოლთა კადრების ერთიანი მეთოდიკითა და სასწავლო პროგრამებით მომზადების სისტემა, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ ქალაქებში ავტომობილების მძღოლთა კადრების მომზადება თავმოყრილ უნდა იქნას პროფესიულ-ტექნიკური განათლების სკოლებში და არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციებსა და საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სასწავლო კომბინატში;

ბ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოეწყოს ავტომობილის მძღოლის სპეციალობის სწავლება საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლების X და XI კლასების მოსწავლეებისათვის, აგრეთვე ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის არასამუშაო დროს.

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ გაითვალისწინოს სატვირთო ავტომობილების იჯარით მიცემა საერთო სარგებლობის გარაჟებიდან ზოგიერთ საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისათვის, მათი ადგილობრივი პირობების მუშაობის სპეციფიურობის გათვალისწინებით.

26. დაევალოთ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროებს ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდება და განსახილველად წარმოუდგინონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

27. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს:

ა) მიიღოს ზომები საავტომობილო ტრანსპორტის ტექნიკური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, უზრუნველყოს საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილება, დასახოს ღონისძიებანი საწარმოო ციელოს ღონისძიებანი საწარმოო და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და საავტომობილო მეურნეობათა სამუშაოების ორგანიზაციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებისათვის, რათა სატვირთო საავტომობილო ტრანსპორტმა ზუსტი და შეუფერხებელი მომსახურება გაუწიოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს;

ბ) შრომის საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში მოაწყოს დამატებით ავტოსატრანსპორტო კანტორები ქალაქ ბათუმში, მახარაძეში, სამტრედიაში, ცხაკაიაში, ახალციხეში, ქობულეთსა და ბორჯომში.

28. დაისვას საკითხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინაშე:

ა) რომ ცენტრალიზებულად იქნან მომარაგებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მომარაგება-გასაღების მთავარ სამმართველოს ავტოტრაქტორგასაღების კანტორის მეშვეობით ავტოსათადარიგო ნაწილებით რესპუბლიკის საავტომობილო მეურნეობანი, იმ მეურნეობების გარდა, რომლებიც ეკუთვნიან საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სხვა ორგანიზაციებს;

ბ) რომ გაუდიდდეს 1963 წელს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს კაპიტალდაბანდებანი 1100 ათასი მანეთის ოდენობით, იმ დარგების კაპიტალდაბანდებათა შემცირების ხარჯზე, რომელთაც ჩამოერთმევათ სატვირთო ავტომობილები, ამავე დროს გათვალისწინებულ იქნას კორექტირება საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსათვის კაპიტალდაბანდებათა შემდგომი წლების გეგმების გადიდების მხრივ.

29. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება იმ მხრივ, რომ წარძატებით შესრულდეს მათ წინაშე დასახული ამოცანები საავტომობილო ტრანსპორტის მუშაობის ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

30. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოებს, ბანკებს, ... მებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებს 1963 წლის 1 აპრილისათვის მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 30 დეკემბერი, № 878

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 დეკემბრის № 873 დადგენილების დანართი

ს ი ა

მოკლე მანძილზე გადასატანი ტვირთებისა, რომლებიც რკინიგზიდან უნდა გადაეცეს საავტომობილო ტრანსპორტს

ტვირთი	გამგზავნი სადგური	დანიშნულების ზღვრული სადგურები (მხოლოდ და მხოლოდ)
ტვირთები, რომლებიც მიიღება გადასაზიდად 1963 წლის 1 იანვრიდან		
1. აგური	მეტეხი	ნავთლუღი
	„	გორი
	ცხაკაია	ფოთი
	„	ზუგდიდი
	სამტრედია	ქუთაისი
	აჯამეთი	ქუთაისი
2. ცემენტი	რუსთავი	ვარდაბანი
	„	მარნეული
	„	საგარეჯო
	კასპი	მცხეთა
	„	გორი
3. შიფერი	კასპი	ავჭალა
	„	გორი
4. კოჭები	კასპი	ავჭალა
5. ხის ტარა	„	გორი
5. კირი	სურამი	ბორჯომი
	„	აგარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთი	გამგზავნი სადგური	დანიშნულების ადგილი სადგურები (მხოლოდ ერთ მხოლოდ)
7. ქვა	ბორჯომი სადახლო განთიადი	ხაშური შულავერი სოჭა
8. შპალები	ვორი "	კავთისხევი ხაშური
9. ქვიშა	სურამი	გორი
10. შუშის ტარა	კასპი ხაშური ქუთაისი ცხინვალი	ვორი სამტრედია ვორი გორი
11. შეშა	თელავი	კარდანახი
12. ფქვილი	წნორი ფოთი სამტრედია	გურჯაანი ცხაკაია ლანჩხუთი
13. კომბინირებული საკვები	წნორი	მუკუზანი
14. ავეჯი	მარელისი	ზესტაფონი
15. რკინაბეტონის ნაკეთობანი	ქუთაისი	სამტრედია
16. შავი ლითონები	ქუთაისი "	ზესტაფონი სამტრედია
17. მინერალური წყლები	აჯავახო	ქუთაისი
18. რუბეროიდი	ფოთი	ცხაკაია
19. ბალასტი	დრანდა	კელასური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთი	გამგზავნი სადგური	დანიშნულების სადგურები (მხოლოდ ღა მხოლოდ)
20. ქვანახშირი	კვეზენი	გალი

ტვირთები, რომლებიც მიიღება გადასაზიდად 1963 წლის 1 ივლისიდან

1. კრამიტი	რუსთავი	თბილისი
2. ქვიშა	სვირი	ქუთაისი
3. შამოტი	ბოლითი	ძირულა
4. კირი	ცხაკაია	ხუგდიდი
	„	ფოთი
5. კომბინირებული საკვები	„	ფოთი
	„	ხუგდიდი
	„	საჯავახო
	ნავთლული	შულავერი
	„	რუსთავი
	„	საგარეჯო
	„	მცხეთა
6. სასოფლო-სამეურნეო მანქანები	ქუთაისი	ხესტაფონი
	„	სამტრედია
	ნავთლული	ბარნეული
7. ქალცედონი	რიონი	ხესტაფონი
8. აგური	რიონი	ბორაპანი
	„	სამტრედია
9. ქვა	რიონი	ქუთაისი
	მარნეული	ვეჭალა
10. გრანიტი	გელათი	ტყიბული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთი	გამგზავნი სადგური	დანიშნულების სადგურები (მხოლოდ და მხოლოდ)
11. შეშა	ჯუმათი	მახარაძე
12. შუშის ტარა	ცხაკაია მარნეული რუსთავი	ფოთი თბილისი თბილისი
13. ხორცი	თბილისი	რუსთავი
14. საკონდიტრო ნაწარმი	თბილისი	მარნეული
15. ფქვილი	ნავთლუღი " "	მარნეული გარდაბანი საგარეჯო
16. რკინაბეტონის ნაკეთობანი	ნავთლუღი რუსთავი	მარნეული ავჭალა
17. ხორბალი	მარნეული	ნავთლუღი
18. ქერი	მარნეული	ნავთლუღი
19. სიმინდი	მარნეული	ნავთლუღი
20. შავი ლითონები	რუსთავი თბილისი	ავჭალა რუსთავი
21. ფიბროლიტი	რუსთავი "	თბილისი ლილო
22. წიდა	რუსთავი	ნავთლუღი
23. წიდაბლოკები	რუსთავი	ავჭალა
24. ამიაკის გვარჯილა	რუსთავი " "	შინდისი საგარეჯო მარნეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტვირთი	გამგზავნი სადგური	დანიშნულების სადგურები (მხოლოდ და მხოლოდ)
25. ხე-ტყე	მცხეთა აჩიგვარი	ნავთლული ინგირი
26. ავეჯი	ნავთლული " "	მცხეთა საგარეჯო რუსთავი
27. ცემენტი	რუსთავი	აგარა
28. ტორფი	ფოთი	ცხაკაია
29. ამწე	რუსთავი	ნავთლული
30. სხმული	ავჭალა	რუსთავი
31. ჯართი	ავჭალა ნავთლული სამტრედია ქუთაისი	რუსთავი ავჭალა ქუთაისი ზესტაფონი
32. ლითონკონსტ- რუქციები	ავჭალა თბილისი ნავთლული "	ნავთლული კასპი გარდაბანი მარნეული
33. შეშა	ჯუმათი	საჯავახო

8 **სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ოქტომბრის № 1068 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ**

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ოქტომბრის № 1068 დადგენილებისა „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და შენდებადი საწარმოების საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. მუხლი 12 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ივლისის № 406 დადგენილებისა „ყურძნის, ხილის და კენკრის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“.

2. მუხლი 6 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 8 დეკემბრის № 952 დადგენილებისა „პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

3. „კარტოფილისა, სიმინდისა, ბოსტნეულისა, ხილისა და ყურძნისაგან დამზადებული კვების პროდუქტების წარმოების გადიდების და ხარისხის გაუმჯობესებისა და ამ პროდუქტების ვაჭრობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აპრილის № 297 დადგენილების 30-ე მუხლის ქვეპუნქტი 1.

II. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 ოქტომბრის № 1068 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება: „მშენებლობის შემდგომი ინდუსტრიალიზაციის, მისი ხარისხის გაუმჯობესებისა და ღირებულების შემცირების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 29 აგვისტოს № 1548 დადგენილების მე-19 მუხლის ქვეპუნქტები „ბ“ და „გ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 30 დეკემბერი. № 873.

ფიმის შესახებ, რომ განთავისუფლდნენ საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან და რომ შემკვეთებმა გადასცენ საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს საექსპლუატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი

მშენებელთა მუდმივი კადრების დამაგრებისა და შექმნის მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. განთავისუფლდნენ, როგორც გამონაკლისი, საქართველოს სსრ საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციები 1963 წელს ადგილობრივი საბჭოებისათვის საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტის გადაცემისაგან იმ სახლებში, რომლებიც მათ ააშენეს თავიანთი მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის.

2. დაევალოთ შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს გადასცენ 1963 წელს საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებს მშენებელთა დასასახლებლად საქართველოს სსრ ქალაქებში საექსპლუატაციოდ გადაცემული საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი იმ სახლებში, რომლებიც საიჯარო-სამშენებლო ორგანიზაციებმა ააშენეს, ხოლო საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მთავართბილმშენმა — 5 პროცენტი, გარდა საცხოვრებელი ფართობისა საერთო საცხოვრებლებში, სასწავლებლებში, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სახელოსნო სასწავლებლებში, აგრეთვე სახაზო საექსპლუატაციო პერსონალის სახლებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გამოუყონ სუბსაიჯარო სამონტაჟო ორგანიზა-

ციებს საცხოვრებელი ფართობი საკუთარ საცხოვრებელ [illegible] და მიღებული 10 პროცენტის ანგარიშში მუშათა [illegible] პროპორციულად.

4. დაევალოთ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაამტკიცონ და შეათანხმონ საცხოვრებელი ფართობის განაწილება ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებთან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი. 1963 წ. 15 იანვარი, № 37.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

10 საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში გაწეული მუშაობის მიუხედავად რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროში, უწყებაში, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომში, საწარმოსა და დაწესებულებაში ჯერ კიდევ არ არის დამყარებული წესრიგი შრომის წიგნაკების წარმოების საქმეში (საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აპარატი, ქალაქ თბილისის I საავადმყოფო, საფეიქრო, ხორცისა და რძის მრეწველობის სამმართველოები, კონსერვტრესტი, სამტრესტი, რუსთავის აზოტოვანი სასუქების, ცემენტისა და ქუთაისის საკონსერვო ქარხნები, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში, „თელასში“ და კულტურისა და კინოფიკაციის განყოფილებებში უხეშად ირღვევა შრომის წიგნაკის შევსების, ხელზე გაცემის ზუსტი ვადები, მუშაობის დაწყების, სხვა სამუშაოზე გადაყვანის თარიღების აღნიშვნის სისწორე. ხშირად თანამშრომლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშაობენ წლების მანძილზე და მათ შესახებ საჭირო ცნობები შრომის წიგნაკებში შეტანილი არ არის.

თბილისის I საავადმყოფოში 1.772 თანამშრომლიდან 19 კაცს შრომის წიგნაკი არა აქვს შევსებული. ეს იმ დროს, როდესაც ადგილზე 75 სუფთა ბლანკი აღმოჩნდა. 164 ყოფილი თანამშრომლის შრომის წიგნაკი უპატრონოდაა მიტოვებული და მფლობელები არ თხოულობენ. ხოლო კადრების განყოფილება მათ არქივში არ აბარებს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აპარატში 108 მომუშავიდან შრომის წიგნაკი არა აქვს შევსებული 5 კაცს.

მსგავსი მდგომარეობაა სახალხო მეურნეობის საბჭოს საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს აპარატში.

ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში შრომის წიგნაკების წარმოება და შენახვა არავის არ აკისრია, რის შედეგადაც კადრების აღრიცხვის საქმე ქაოსურ მდგომარეობაშია (სამტრესტი, ქუთაისის საკონსერვო ქარხანა).

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატიდან სხვადასხვა დროს წასულ 2957 მუშა-მოსამსახურის შრომის წიგნაკები კვლავ კომბინატში ინახება, მათ შორის არქივში ჩასაბარებელია 1392 წიგნაკი.

ანალოგიურ დარღვევებს ვხვდებით რუსთავის აზოტოვანი სასუქებისა და ცემენტის ქარხნებში, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანასა და რიგ სხვა საწარმოებში.

ყველა ზემოაღნიშნული ნაკლოვანება და დარღვევა უმთავრესად იმის შედეგია, რომ სათანადო წარმოება-ორგანიზაციების ხელმძღვანელები შრომის წიგნაკების წარმოების საპასუხისმგებლო საქმეს მეორეხარისხოვან მუშაკებს ანდობენ, ხოლო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, ზოგიერთი სამინისტრო, საუწყებო ორგანიზაცია და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მუშა-მოსამსახურეთა შრომითი მოღვაწეობის აღრიცხვისა და შრომის წიგნაკების წარმოების საქმეს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1962 წლის 9 აგვისტოს № 824 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიქცეულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებებისა-დაწესებულებებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ყურადღება შრომის წიგნაკების წარმოების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებისადმი.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, მიიღონ ზომები საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების მოსაწესრიგებლად, არსებული წესის სრული დაცვით, რისთვისაც უზრუნველყონ:

ა) სამუშაოზე ყველა ახლად მიღებული მუშისა და მოსამსახურისათვის შრომის წიგნაკების შევსება დაწესებულ ვადებში, თავის დროზე და სწორად შეტანა წიგნაკში სამუშაოდან გადასვლის, სატარიფო თანრიგის, თანამდებობის, პროფესიის შეცვლის, გვარის გამოცვლის, საწარმოსა და დაწესებულება-ორგანიზაციის სახელწოდების შეცვლის, საპატიო წოდებათა მინიჭების, დაჯილდოების, დანერგილ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა და მათზე გაცემულ გასამრჯელოსა და სხვა წახალისების შესახებ;

ბ) სამუშაოდან მუშა-მოსამსახურის განთავისუფლებისას შრომის წიგნაკის დროულად გაცემა განთავისუფლების მოტივის აღნიშვნით, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, ან კანონის სათანადო მუხლისა და ქვეპუნქტზე მითითებით.

3. სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა:

ა) განამტკიცონ მომზადებული შრომის კანონმდებლობის მცოდნე მუშაკებით იმ კადრების შემადგენლობა, რომელნიც საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის წიგნაკების წარმოების საქმეს განაგებენ. ამასთან უზრუნველყონ ისინი ამ საკითხებზე არსებული საინსტრუქციო მასალებით;

ბ) მიიღონ ზომები დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საარქივო დოკუმენტების შენახვის მოსაწესრიგებლად (მუშა-მოსამსახურეთა მიღება-განთავისუფლების ბრძანებები, ანგარიშსწორების უწყისები, ხელფასის პირადი ანგარიშები და სხვა).

4. წინადადება მიეცეს სამინისტროებისა და საუწყებო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ერთი თვის ვადაში გადასინჯონ ადგილობრივ მრეწველობის დარგში მომუშავეთა შემადგენლობა და განამტკიცონ ისინი მაღალკვალიფიციური მუშაკებით.

5. პროფკავშირული ორგანიზაციების რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა გააძლიერონ საზოგადოებრივი კონტროლი შრომის წიგნაკების დროულად და სწორად შევსების, შენახვისა და გაცემის საქმისადმი. პერიოდულად შეამოწმონ ამ მუშაობის მდგომარეობა და მიიღონ ზომები გამოვლინებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ადგილობრივი საბჭოთა ორგანოებისა და საქართველოს სსრ პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებებს პერიოდულად შეამოწმონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**	საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი **ვ. ლოლოგერიძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ოქტომბერი. № 699.

11 ღვინის მასალის, ყურძნის ღვინის, კონიაკის სპირტისა და კონიაკის შენახვისა და წარმოების დროს დანაკარგების ნორმების შემცირების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე საქმეთა კომისიის 1962 წლის 6 ივლისის № 25 დავალების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს ღვინის მასალის, ყურძნის ღვინის, კონიაკის სპირტისა და კონიაკის შენახვისა და წარმოების დროს დანაკარგების დროებითი ზღვრულად დასაშვები ნორმები №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 და 9 დანართების თანახმად, და ზოგადი დებულებანი დანაკარგების დადგენისა და ჩამოწერის წესის შესახებ, № 10 დანართის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს უზრუნველყოს 1963 წლისათვის გამოყოფილი სახსრებით—ნახევარ მიწისზედა სადგომების მშენებლობა იმ კონიაკის სპირტის მოსათავსებლად, რომელიც ამჟამად ღია ცის ქვეშ ინახება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ქვების მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს:

განაგრძოს მეღვინეობის პროდუქციის შენახვისა და წარმოების დროს დანაკარგის ნორმების შესწავლა.

1962-1963 წლებში შეიმუშაოს მეღვინეობის მრეწველობაში ღვინისა და კონიაკის წარმოების დროს დანაკარგების ერთიანი კომპლექსური ნორმების განსაზღვრის მეთოდიკა და მათი ოდენობა.

შეისწავლოს სარდაფებში, მიწისზედა სადგომებში და ღია ცის ქვეშ ღვინის მასალისა და ღვინის შენახვის დროს ალკოჰოლიანობის დანაკარგის ფაქტიური ნორმები.

4. მეღვინეობის პროდუქციის შენახვისა და წარმოების დროს დანაკარგების შემდგომი შემცირების შესაძლებლობათა გამოვლინების მიხედვით საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წინადადებანი დანაკარგების დამტკიცებული ნორმების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ოქტომბერი. № 701.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის № 961—11
დადგენილების დანართი

დანაკარგის ნორმები (მოცულობითი) ღვინის მასალისა და ღვინის შენახვის და დავარგების (შეშრობის) დროს

(წლიურ პროცენტულად)

	შენახვის საშუალო ტემპერატურა გრადუსობით			
	15 გრადუსამდე	15—20 გრადუსზე მეტი	20—25 გრადუსზე მეტი	25 გრადუსზე მეტი
სარდაფებში				
კასრის ტარა 120 დეკალიტრამდე ტევადობისა	2,0—2,1	2,4	2,9	—
ბუტის ტარა ტევადობით 120 დეკალიტრზე მეტი	1,5	1,9	2,1	—
რკინაბეტონის ტევადობანი	0,7	0,7	0,7	—
ლითონის ტევადობანი	0,4	0,4	0,4	—
მიწისზედა სადგომებში				
კასრის ტარა 120 დეკალიტრამდე ტევადობისა	2,6	3,1	3,6	4,2
ბუტის ტარა ტევადობით 120 დეკალიტრზე მეტი	2,0	2,3	2,6	2,9
რკინაბეტონის ტევადობანი	0,8	1,0	1,2	1,4
ლითონის ტევადობანი	0,5	0,6	0,8	1,0
ღია ცის ქვეშ				
კასრის ტარა 120 დეკალიტრამდე ტევადობისა	4,7—5,0	5,7—6,0	6,7—7,0*)	7,7—8,0
ბუტის ტარა ტევადობით 120 დეკალიტრზე მეტი	3,5	4,1	4,7	5,5
რკინაბეტონის ტევადობანი	1,0	1,3	1,6	2,1
ლითონის ტევადობანი	0,7	0,9	1,1	1,4

*) დოქის ტარა — ყველა ტემპერატურისა და შენახვის ადგილისათვის 0,9 პროცენტი წლიური.

შენიშვნა: 1. დანაკარგის საშუალო ნორმა (პროცენტულად) შენახვის და დავარგების პერიოდისათვის გამოიანგარიშება თვეობრივად, საშუალო თვიური ტემპერატურის და შენახვისა და დავარგების დროს ღვინის საშუალო თვიური რაოდენობის გათვალისწინებით. ღვინისა და ღვინის მასალის საშუალო თვიური რაოდენობა შენახვისა და დავარგების დროს განისაზღვრება შემდეგნაირად: მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემული თვის ყოველდღიური ნაშთების ჯამი გაიყოფა ფეხშ-
კალენდარული დღეების რაოდენობაზე.

2. ღვინის მასალებისა და ღვინის ხანგრძლივი დავარგების დროს
დანაკარგის წლიური ნორმები მეორე წლისათვის შემცირდება
ყველა სახეობის სადგომის ტარისა და ტემპერატურის მიხედ-
ვით 0,2 პროცენტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის № 701
დადგენილების დანართი

ნ ო რ მ ე ბ ი

ღვინის მასალის დანაკარგისა ტექნოლოგიური დამუშავების დროს (ამ ოპერაციისათვის შემოსული ღვინის რაოდენობის პროცენტულად)

ოპერაციები	დანაკარგის ნორმები
1. ღვინის გადაღება მცირე ტარიდან (120 დეკალიტრამდე)	0,14
2. ღვინის გადაღება დიდი ტარიდან (120 დეკალიტრზე მეტი)	0,09
3. აღევა (კუპაჟის, ეგალიზაციის, დაწებოების დროს) ღვინის გადაქაჩვით იმავე ტევადობაში ან შლაგერით	0.07
4. ფილტრაცია:	
ა) ღვინის შეწოვა მფილტრავი ფენით	0,05
ბ) ღვინის შეწოვა ფინებით (ფინოვან ფილტრებზე ფილტრაციის დროს)	0,15
5. კუპაჟი (ასამბლიაჟი, ეგალიზაცია, დაწებოება), რასაც თან სდევს ღვინის გადაღება და აღევა (კონტრაქტაციის გაუთვალისწინებლად), ამასთან გადაქაჩვა ხდება რეზინის შლანგებით ან მილგაყვანილობით:	
ა) მცირე ტარიდან:	
დასაწრეტად დატოვებით იმავე ტევადობაში	0,21
დასაწრეტად გადაღებით	0,30
ბ) დიდი ტარიდან:	
დასაწრეტად დატოვებით იმავე ტევადობაში	0,16
დასაწრეტად გადაღებით	0,25
6. დაწებოება ადგილზე (მიუწოდებლად და გადაუღებლად) ტუმბოს ან შლაგერის მეშვეობით აღევით	0,07
7. ფილტრაცია რეზინის შლანგების ან მილგაყვანილობის დახმარებით:	
ა) მცირე ტარიდან სადგარის გამოყენებით	0.28
ბ) უსადგაროდ	0.19
გ) დიდი ტარიდან სადგარის გამოყენებით	0 23
დ) უსადგაროდ	0,14
8. ღვინის მასალისა და ღვინის დამუშავება სითბოთი ნაკადში	0.3
9. ღვინის მასალის და ღვინის დამუშავება სიცივით ნაკადში	0,4
10. ლექიდან ღვინის მოხსნის დროს (გადაღების ნორმით):	
ა) მცირე ტარიდან (ტევადობით 120 დეკალიტრამდე)	0.14
ბ) დიდი ტარიდან (ტევადობით 120 დეკალიტრზე მეტი)	0,09

შენიშვნა: 1. როდესაც ხდება ღვინის აღევა მექანიკური სარევით დანაკარგების ნორმა აღევაზე არ დაერიცხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ბადაგის და ღვინის დასპირტვის ღროს მხედველობაში მიღებული საერთო მოცულობის შეკუმშვა 0,08 პროცენტით დიდების ყოველ მოცულობითს პროცენტზე, დასპირტვის საერთო მოცულობა გათვალისწინებული იქნება, როგორც ჯამი ბადაგის ან ღვინისა და სპირტის მოცულობისა.
3. ტექხოლოგიური ოპერაციების კომპლექსის ღროს, რაც ტექნოლოგიური სქემების მიხედვით ტარდება, დანაკარგების ნორმა იქმნება შესაბამისი ოპერაციობრივი ნორმებისაგან, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ტექნოლოგიური მეთოდების და ტარის სახეობის თავისებურებანი (თერმული დამუშავების, დახერესების, ჩამოსხმისა და ტექნოლოგიურ დამუშავებასთან დაკავშირებული შენახვის გარეშე).
4. ნარჩენები ღვინის დამუშავების ღროს (ნაფილტრი და ნაწნეხი თხლე, ლექი ყვითელი სისხლიანი მარილით დამუშავების ღროს, ლექი დაწებოების ღროს და სხვ.) ღვინის დანაკარგის ნორმებში არ შედის და ფიქსირებულ იქნება ღვინის ჯგუფების (მშრალი, შემაგრებული) მიხედვით, ქარხნის ლაბორატორიის მონაწილეობით შედგენილი აქტებით.
5. დამატებითი ოპერაციები ფიქსირებულ იქნება სპეციალური აქტებით, იმ ლაბორატორიების მონაწილეობით, რომლებშიაც დასაბუთებულია მოცემული დამატებითი ტექნოლოგიური ოპერაციის ჩატარების აუცილებლობა.
6. ღვინის მიწოდება (გადაღება) დავარგების ან შენახვის საამქროდან ჩამოსასხმელ საამქროში — გადაღების ნორმების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის № [illegible]
დადგენილების დანართი № 3

ნ ო რ მ ე ბ ი

ღვინის და ღვინის მასალის დანაკარგისა ჩამოსხმის დროს

ოპერაციები	ამ ოპერაციისათვის შემოსული ღვინის რაოდენობის (მოცულობის პროცენტულად) დანაკარგის ნორმები
1. ღვინის ჩამოსხმა შუშის ჭურჭელში ჩამოსასხმელი მანქანით ან კასრიდან ონკანით, ან შლანგით, საცობის დაცობით . . .	0,33
2. ღვინის ჩამოსხმა შუშის ჭურჭელში საკონტროლო ფილტრაციით და საცობის დაცობით	0,4
3. ბოთლების გაფორმება და ექსპედიციაში გადაცემა . . .	0,04
4. კასრში ჩამოსხმა გასაგზავნად, მოკლებით გამოწვეული დანაკარგის ჩათვლით	0,16
5. ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის შეფუთვა დახურულ ყუთებში (შესაფუთავად შემოსული ღვინის მოცულობის რაოდენობიდან)	0,04
6. ღვინის შენახვა შუშაში მზა ნაწარმის საწყობში (ქარხნიდან გამოშვებული ღვინის რაოდენობიდან)	0,02
7. ბოთლებში ჩამოსხმული ღვინის დეკანტაცია	1,7
8. მზა ნაწარმის საწყობიდან ან სავაჭრო ქსელიდან შემოსული ბოთლოვანი ღვინის ჩამოსხმა (ჩამოსასხმელად შემოსული ღვინის რაოდენობიდან — მოცულობიდან) — არა უმეტეს . . .	0,8*)

*) ფაქტიური დანაკარგები ფიქსირებული იქნება ღვინის თვითეული ჩამოსასხმელი პარტიისათვის განსაკუთრებული აქტით ლაბორატორიის მონაწილეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის
დადგენილების დანართი № 4

ნ ო რ მ ე ბ ი

ღვინის ალკოჰოლიანობის შემცირებისა (დანაკარგისა)

ოპერაციები	დანაკარგის ნორმები წლის განმავლობაში (პროცენტობით)
1. შემაგრებული ღვინოების ტექნოლოგიური დამუშავების დროს (თერმული დამუშავების გარეშე), ჩამოსხმის ჩათვლით:	
ა) სრული ტექნოლოგიური სქემებით (რომლებიც კუპაჟს შეიცავენ) — არა უმეტეს	0,4
ბ) დამატებითი დამუშავების სქემებით (უკუპაჟოდ)—არა უმეტეს	0,2
2. ხანგრძლივი შენახვის (დავარგების) და ტექნოლოგიური დამუშავების დროს:	
ა) სუფრის ღვინოებისთვის — არა უმეტეს	0,2
ბ) შემაგრებული ღვინოებისათვის — არა უმეტეს . .	0,3
3. თერმული დამუშავების დროს — არა უმეტეს	0,3
4. ხერესირების დროს — არა უმეტეს	0,5

შენიშვნა: 1. მადერისა და პორტვეინის წარმოების დროს სპირტის დანაკარგი ფიქსირებული იქნება აქტებით ლაბორატორიის მონაწილეობით.

2. ღვინოების ალკოჰოლიანობის შემცირების აღნიშნული ნორმები დამუშავებისა და დავარგების დროს გათვალისწინებული იქნება შემაგრებული ღვინოების კუპაჟის დროს, ამასთან შესაბამისად გადიდდება სპირტის შემცველობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის № 751
დადგენილების დანართი № 5

ნ ო რ მ ე ბ ი

ღვინის დანაკარგისა ხის ტარით (კასრებით) მიღებისა და ტრანსპორტირების დროს

გაგზავნილი ღვინის რაოდენობის პროცენტულად

დასახელება	დანაკარგის ნორმები
1. ღვინის დანაკარგი ხის ტარით (კასრებით) მიღებისა და ტრანსპორტირების დროს:	
ა) მიღების დროს — კასრების წონის სხვაობა (შეწოვა ტკეჩში)	0,2
ბ) ღვინის დანაკარგი რკინიგზითა და წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს . .	0,03 დღე-ღამეში, მაგრამ არა უმეტეს 0,27-სა გზაში ყოფნის მთელი დროისათვის
გ) დანაკარგი გადატვირთვისა და გადასატვირთავ პუნქტებში შენახვის დროს .	დანაკარგის ნორმით ღვინის შენახვისას კასრის ტარაში ღია ცის ქვეშ
დ) დანაკარგი ავტოსაჭაპანო გადაზიდვის დროს, დატვირთვა-გადმოტვირთვის ჩათვლით, გზაში ყოფნის დროის დამოუკიდებლად	0,8
ე) ღვინის გადატვირთვაზე მიღების დროს	0,1
2. ღვინის დანაკარგი კონტეინერებით (ჩასხმით) და რკინიგზის ცისტერნებით ტრანსპორტირების დროს	0,008 დღე, მაგრამ არა უმეტეს 0,08-სა გზაში ყოფნის მთელი დროისათვის

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის № 701
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონიაკის სპირტი და კონიაკი

უწყლო სპირტის დანაკარგის ნორმები კონიაკის სპირტის, დასპირტული წყლების და კონიაკის შენახვისა და დავარგების პროცესში

	ტემპერატურა შენახვის დროს გრადუსობით			
	15 გრადუსამდე	15—20 გრადუსამდე	20—25 გრადუსამდე	25 გრადუსზე ზევით
	წელიწადში იმ უწყლო სპირტის საერთო რაოდენობის პროცენტულად, რომელსაც შეიცავენ კონიაკის სპირტი, დასპირტული წყლები და კონიაკი			
ა. დანაკარგის ნორმები კონიაკის სპირტის და დასპირტული წყლების შენახვისა და დავარგების დროს (დავარგების პირველი და მეორე წლისათვის)				
1. **დახურულ შენობებში:**				
კასრები 60 დეკალიტრამდე	3,1—3,3	3,6 -3,7	4,1	4,4
კასრები 61-დან 150 დეკალიტრამდე	2,3	2,4	2,7	3,1
ბუტები 150 დეკალიტრზე მეტი	2,0	2,2	2,6	2,9
2. **ღია ცის ქვეშ**				
კასრებში	5,8	6,8	7,7	8,5
ბ. ნორმები უწყლო სპირტის ბუნებრივი დანაკარგისა კონიაკის დავარგებისა და შენახვის დროს				
150 დეკალიტრამდე ტევადობის კასრებში	2,1	2,5	3,0	—
150 დეკალიტრზე მეტ ბუტებში	1,7	2,0	2,2	—

შენიშვნა: ბუნებრივი დანაკარგის დაწესებული ნორმები კონიაკის სპირტის დავარგების დროს ყველა სახეობის ტარისა და ტემპერატურის მიხედვით შემცირდება დავარგების მესამე წლისათვის 5 პროცენტით და დავარგების შემდგომი წლებისათვის — 10 პროცენტით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. უწყლო სპირტის დანაკარგი, როდესაც ხდება მისი ჩასხმა კასრებში, დასავარგებლად:

კონიაკის სპირტისა:

კასრებში, რომლებშიაც არ ყოფილა ჩასხმული სპირტი ან კონიაკი — ნორმა	1,2 პროცენტი
ძველ კასრებში, რომლებშიაც ჩასხმული იყო სპირტი ან კონიაკი —	0,5 „
კონიაკისა ძველ კასრებში —	0,3 „

შენიშვნა: კონიაკისა და კონიაკის სპირტში სპირტის ბუნებრივი დანაკარგის ნორმები გამოიანგარიშება იმ რაოდენობიდან (მოცულობიდან), რამდენიც მოიპოვება მათში უწყლო სპირტი, ამასთან გათვალისწინებული იქნება იმ კონიაკის ან კონიაკის სპირტის საშუალო თვიური ტემპერატურა და საშუალო თვიური რაოდენობა (მოცულობა), რომელიც დაყენებულია დასავარგებლად და შესანახად.

კონიაკისა და კონიაკის სპირტის საშუალო თვიური რაოდენობა მათი შენახვისა და დავარგების დროს დანაკარგის ოდენობის გამოსაანგარიშებლად გამოირკვევა შემდეგნაირად: კონიაკის ან კონიაკის სპირტის ყოველდღიური ნაშთების ჯამი მოცემული თვისათვის გაიყოფა თვეში კალენდარული დღეების რაოდენობაზე.

სპირტის დანაკარგი (დაუბრუნებელი) ღვინის მასალისაგან ნედლეულის გამოხდის და ნედლი სპირტის საკონიაკე სპირტად გამოხდის დროს უწყლო სპირტის პროცენტულად, რომელსაც შეიცავენ გამოსახდელად აღებული მასალები ერთი გამოხდის დროს — 1.5 პროც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის
დადგენილების დანართი № 7

ნ ო რ მ ე ბ ი

უწყლო სპირტის დანაკარგისა კონიაკის წარმოების პროცესში

იმ უწყლო სპირტის საერთო რაოდენობის პროცენტულად, რასაც შეიცავენ შესაბამისი ოპერაციისათვის შემოსული საკონიაკე მასალები

ოპერაციები	ნორმები
გადაღება (გადაადგილება) ერთი ტევადობიდან მეორეში . .	0,2
არევა (კუპაჟის დროს, ეგალიზაცია, დაწებოება)	0,08
ფილტრაცია (შეწოვა მფილტრავი ფენით და დანაკარგები უშუალოდ ფილტრზე)	0,09
დაწებოება (სპირტის დანაკარგი შემწებავ მასალაზე) . . .	0,09
კუპაჟი ან ეგალიზაცია, რასაც თან სდევს კონიაკის გადაღება საკუპაჟე ნარევად:	
ა) დასაწრეტად დატოვებით იმავე ტევადობაში . . .	0,28
ბ) საკუპაჟე ნარევიდან გადაღებით	0,48
დაწებოება, რასაც თან სდევს კონიაკის გადაღება — ტევადობაში და შემწებავ მასალასთან არევა:	
ა) დასაწრეტად დატოვებით იმავე ტევადობაში . . .	0,37
ბ) იმ ტევადობიდან გადაღებით, რომელშიაც მოხდა დაწებოება	0,57
ფილტრაცია, რასაც თან სდევს ფილტრზე მიწოდება და ფილტრში გატარებული კონიაკის გადაღება ტევადობებში	0,49
კონიაკის მოხსნა ლექიდან	0,2

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის
დადგენილების დანართი № 8

ნ ო რ მ ე ბ ი

დანაკარგისა კონიაკის ჩამოსხმის დროს

(პროცენტობით)

ოპერაციები	ნორმა
კონიაკის ჩამოსხმა შუშის ჭურჭელში ჩამოსასხმელი მანქანით .	0,4
კონიაკის ჩამოსხმა შუშის ჭურჭელში ჩამოსასხმელი მანქანით საკონტროლო ფილტრაციით	0,5
ბოთლების გაფორმება და ექსპედიციაში გადაცემა (ექსპედიციაში გადაცემულია რაოდენობის პროცენტულად)	0,03
კონიაკის ჩამოსხმა კასრებში გასაგზავნად. მოკლებით გამოწვეული დანაკარგის ჩათვლით	0,2
კონიაკის შენახვა ქარხნის საწყობში შუშის ჭურჭელში (ექსპედიციაში გადაცემული კონიაკის რაოდენობის პროცენტულად) . .	0,05
ბოთლოვანი კონიაკის შეფუთვა დახურულ ყუთებში (შესაფუთავად შემოსული კონიაკის რაოდენობის პროცენტულად)	0,08
მზა ნაწარმის საწყობიდან ან სავაჭრო ქსელიდან შემოსული ბოთლოვანი კონიაკის კასრებში ჩასხმის დროს (ჩასასხმელად შემოსული კონიაკის რაოდენობის პროცენტულად), აქტით ლაბორატორიის მონაწილეობით — არა უმეტეს	1,0

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის
დადგენილების დანართი № 9

ნ ო რ მ ე ბ ი

კონიაკის სპირტის დანაკარგისა მიღებისა და ტრანსპორტირების დროს

ოპერაციები	ნორმები იმ უწყლო სპირტის პროცენტულად, რასაც კონიაკის სპირტი და კონიაკი შეიცავენ მიღების და ტრანსპორტირების დროს
სპირტის დანაკარგი კონიაკის მიღების დროს კასრების წონის სხვაობაზე (შეწოვა ტკეჩში)	0,3
დანაკარგი რკინიგზებით ან წყლის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს გზაში ყოფნის ყოველ დღეღამეში (დატვირთვა-გადმოტვირთვის ჩათვლით) . . .	0,04
მაგრამ არა უმეტეს	0,27
დანაკარგი ავტოსაჭაპანო გადაზიდვის დროს, დატვირთვა-გადმოტვირთვის ჩათვლით, გზაში ყოფნის დროის დამოუკიდებლად	0,15
კონიაკის კადასხმაზე მიღების დროს	0,2
დანაკარგი გადასატვირთავ პუნქტებში გადატვირთვისა და შენახვის დროს	დანაკარგის იმ ნორმების მიხედვით, რაც გათვალისწინებულია კონიაკის სპირტის ღია ცის ქვეშ შენახვის დროს, ტემპერატურისა და ტარის ტევადობის გათვალისწინებით.
სპირტის დანაკარგი კონტეინერებით (ჩასხმით) და რკინიგზის ცისტერნებით გადაზიდვის დროს . .	0,01 დღეღამეში, მაგრამ არა უმეტეს 0,1-სა გზაში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 15 ოქტომბრის № 701
დადგენილების დანართი

ზოგადი დებულებანი

ღვინის, ღვინის მასალის, კონიაკის სპირტისა და კონიაკის დანაკარგების დადგენისა და ჩამოწერის წესის შესახებ

1. ფაქტიური დანაკარგი გამოვლინდება ინვენტარიზაციის გზით და მას დაწესებული ნორმების ფარგლებში დაამტკიცებს ჩამოსაწერად ქარხნის (საწარმოს) დირექტორი იმ დოკუმენტების მიხედვით, რომლებიც ადასტურებენ ტექნოლოგიური პროცესის ჩატარებას და ამ პროცესში მონაწილე ღვინის მოცულობას;

2. ფაქტიური დანაკარგი იმ ნაწილში, რომელიც დაწესებულ ნორმებს აღემატება, წარედგინება განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და ჩამოიწერება გასავალში დადგენილი წესით;

3. ერთი ტონა ყურძნისაგან ღვინის მასალის გამოსავლიანობას დააწესებს მეღვინეობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ყოველწლიურად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

ღვინის მასალის ფაქტიური გამოსავალი დაწესდება მეღვინეობის სეზონის დასკვნითი ანგარიშის მონაცემების საფუძველზე და 1 აპრილის მდგომარეობის მიხედვით წარდგენილი იქნება საწარმოს მიერ დაქვემდებარების მიხედვით დასკვნითს ანგარიშში (ფორმა № 5).

შენახვისა და ტექნოლოგიური ოპერაციების დროს ღვინის დანაკარგის ნორმები, რომლებიც დამტკიცებულია ამ დადგენილებით, გამოყენებული იქნება პირველი გადაღების შემდეგ;

4. სპირტის დანაკარგი ღვინის მასალის ჭაჭაზე დასპირტვის დროს ფიქსირებული იქნება აქტებით.

დანაკარგების ნორმა უწყლო სპირტის იმ მოცულობის პროცენტულად, რომელიც შეტანილია დასპირტვის დროს, შეადგენს 12 პროცენტს (აქედან 50 პროცენტი შეადგენს დანაკარგს, რომელიც ბრუნდება წარმოებაში ჭაჭისაგან სპირტის გამოხდის შემდეგ);

5. სპირტის დანაკარგი ღვინის მასალის უჭაჭოდ დასპირტვის დროს აგრეთვე გაფორმდება აქტით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

12 საავტომობილო მეურნეობებისათვის მათ მიერ ტვირთზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს ხელფასის გასაცემად სახსრების მიცემის წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 ოქტომბრის № 1036 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ 1963 წლის 1 იანვრიდან ტვირთზიდვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საავტომობილო მეურნეობებს, მათი დაქვემდებარების მიუხედავად (გარდა სამშენებლო ორგანიზაციების საავტომობილო მეურნეობებისა) ხელფასის გასაცემად სახსრებს მისცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები ხელფასის გეგმური ფონდის გადამეტებით 0,85 პროცენტის რაოდენობით გეგმის ვადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წლის 31 ოქტომბერი, № 750

13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს შექმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 სექტემბრის № 985 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის განვითარებისადმი საერთო ხელმძღვანელობის განსახორციელებლად შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო.

გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს გაგებლობაში რესპუბლიკისა და ენერგეტიკული სისტემები მათ შემადგენლობაში შემავალი ელექტროსადგურებით, ქსელებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარემონტო, გასაწყობი, საპროექტო და საკვლევი ორგანიზაციებთან
და წარმოებითი საწარმოებით, სამრეწველო საწარმოებთან ურთიერთდაკავშირებული ელექტროსადგურები (გარდა იმ სადგურებისა, რომელთა გადაცემა შეუძლებელია წარმოების ტექნოლოგიის პირობების მიხედვით), აგრეთვე ელექტროსადგურები, რაიონული საქვაბეები, ქალაქებისა და მუშათა დაბების ელექტრო და თბოქსელები და ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სოფლის მეურნეობის გარეგან ელექტრომომარაგებას.

2. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს:

ენერგოსისტემების, ელექტროსადგურებისა და ქსელების უშუალო ხელმძღვანელობა, ამ სისტემების, ელექტროსადგურებისა და ქსელების ექსპლუატაციის დონის ამაღლებისა და მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით;

იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა, რომლებიც ეწევიან 110 კვ და ნაკლები ძაბვის მაღალვოლტიანი ელექტროქსელების მშენებლობას, აგრეთვე ელექტროქსელების მშენებლობას სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის;

ტიტულმქონე შემკვეთის ფუნქციების განხორციელება თბოელექტროსადგურებისა და მაღალვოლტიანი ელექტროქსელების მშენებლობის დარგში;

2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ელექტროსადგურებისა და ქსელების საპროექტო დავალებების და მშენებლობის 25 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებისათვის შიგასამშენებლო სატიტულო სიების დამტკიცება;

სახალხო მეურნეობასა და ყოფაცხოვრებაში ელექტროენერგიის უფრო რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავება და ამ ღონისძიებათა შესრულებისადმი კონტროლი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს სტრუქტურისა და შტატების შესახებ;

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) შესაბამისი ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს გამგებლობაში გადაცემის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარ სამმართველოს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს პროექტი დებულებისა მთავარ სამმართველოს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 31 ოქტომბერი, № 769

14 საკრედიტო დაწესებულებების მიერ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებზე პროცენტების გაცემის გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 ოქტომბრის № 1095 დადგენილება „საკრედიტო დაწესებულებების მიერ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებზე პროცენტების გაცემის გაუქმების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მის დარგობრივ სამმართველოებსა და ტრესტებს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორებს.

2. აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა და საქართველოს სსრ. ფინანსთა სამინისტრომ გააფართოონ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციის პრაქტიკა, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ნოემბერი, № 787

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება №1095

1962 წლის 23 ოქტომბერი

მოსკოვი, კრემლი

საკრედიტო დაწესებულებების მიერ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებზე პროცენტების გაცემის გაუქმების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს 1963 წლის 1 იანვრიდან საკრედიტო დაწესებულებების მიერ პროცენტების დარიცხვა და გაცემა საზოგადოებრივ და სახელმწიფო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საანგარიშსწორებო, მიმდინარე და სხვა ანგარიშებსა და ანაბრებზე, აგრეთვე იმ ანგარიშებზე, რომლებითაც საკრედიტო დაწესებულებებში ინახება საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები და სოციალური დაზღვევის სახსრები.

შენარჩუნებულ იქნას პროცენტების დარიცხვა და გაცემა მოქალაქეთა ანაბრებსა და მიმდინარე ანგარიშებზე, კოოპერაციულ ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა საანგარიშსწორებო და მიმდინარე ანგარიშებზე, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დაზღვევის სპეციალურ ანგარიშებზე, რომლებითაც ინახება სიცოცხლის ინდივიდუალური დაზღვევის რეზერვის თანხები.

2. შეწყდეს 1963 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებისა და სახელმწიფო შრომის შემნახველ სალაროების მიერ საკომისიო გასამრჯელოს გადახდევინება სახლმმართველობებისა, კომუნალური და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მოსახლეობისაგან ბინის ქირის, კომუნალური მომსახურების გადასახდელთა (ელექტროენერგია, გაზი, წყალი, კანალიზაცია), ტელეფონის, რადიოსატრანსლაციო წერტილის და სხვა გადასახდელთა მიღებისათვის.

დაწესდეს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საშემოსავლო სალაროების შენახვის ხარჯები გაიწევა მისი შემოსავლიდან და მიეკუთვნება საოპერაციო ხარჯებს.

3. ანგარიშსწორების ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის მიზნით, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გააფართოონ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საბუღალტრო აღრიცხვის ცენტრალიზაციის პრაქტიკა.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1963 წლის 1 იანვრიდან:

ა) მუხლები 6 და 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 3 მაისის № 815 დადგენილებისა „იმ პროცენტული განაკვეთების შემცირების შესახებ, რომლებსაც ბანკები ახდევინებენ სესხზე, აგრეთვე პროცენტებისა, რომლებსაც ბანკები იხდიან მიმდინარე და საანგარიშსწორებო ანგარიშებზე“, აგრეთვე ამ დადგენილების პირველი მუხლის ის ნაწილი, რომელიც შეეხება ბანკების პასიური ოპერაციების პროცენტულ განაკვეთებს, გარდა კოოპერაციული ორგანიზაციების ანგარიშების პროცენტული განაკვეთებისა;

ბ) „შემნახველ სალაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოსახლეობის ანაბრებზე და შემნახველ სალაროებში ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშებზე პროცენტული განაკვეთების შემცირების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 2 აგვისტოს № 1572 დადგენილების მე-4 მუხლის ქვეპუნქტი „ა“ რედაქციით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 6 ივლისის № 592 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროების წესდებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1961 წ. № 11, მუხ. 881);

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მუხ. 7 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 25 მაისის № 333 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის 1958 წლის მეორე კვარტალის საკრედიტო და საკასო გეგმების შესახებ“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

15 ეტლებიანი მძიმე მოტოციკლებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ზომების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 ოქტომბრის № 1092 დადგენილებისა „ეტლებიანი მძიმე მოტოციკლებით სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის დამატებითი ზომების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გავრცელდეს მსუბუქი ავტომობილების საკომისიო საწყისებზე გაყიდვის წესი, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 21 აპრილის № 246 დადგენილებით, ეტლებიან მძიმე მოტოციკლების გაყიდვაზე, რომლებიც ინდივიდუალურ მფლობელებს ეკუთვნით.

2. აიკრძალოს ეტლებიანი იმ მძიმე მოტოციკლების რეგისტრაცია საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მილიციის სამმართველოს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის ორგანოებში, რომლებიც მოქალაქეებმა იყიდეს ინდივიდუალური მფლობელებისაგან, სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების გვერდის ავლით, ან ააწყეს ისინი ცალკეული აგრეგატებისა და საათადარიგო ნაწილებისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ნოემბერი, № 789

16 **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ჩამოყალიბდეს მუხ. 8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულებისა, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 თებერვლის № 107 დადგენილებით, შემდეგი რედაქციით:

„8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტთან არსებობს კოლეგია სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის, მისი მოადგილეებისა და კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესრულების საკითხებს, სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის და ახალი ტექნიკის დანერგვის საქმისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის ძირითად საკითხებს, მოისმენს მოხსენებებს მუშაობის გამოცდილებისა და ანგარიშებს დაქვემდებარებულ დაწესებულებათა საქმიანობის შესახებ, განიხილავს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, აგრეთვე კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ნოემბერი, № 791

17 **რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობაში შრომის დაცვის გაუმჯობესებისა და მუშაობის უსაშიშრო პირობების შექმნის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 ოქტომბრის № 1076 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) მიიღოს ზომები, რათა გაუმჯობესდეს ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში შრომის პირობები, გაძლიერდეს ტრესტებისა და შახტების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა პასუხისმგებლობა უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო დისციპლინის მდგომარეობისათვის, აგრეთვე შახტებში სამუშაოთა წარმოების უსაშიშრო პირობების უზრუნველყოფისათვის;

ბ) ჩაატაროს 1962 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქვანახშირის შახტებში იმის გულმოდგინე შემოწმება, თუ როგორ სრულდება ღონისძიებანი შრომის უსაშიშრო პირობების შექმნისათვის და შემოწმების შედეგების მიხედვით მიიღოს საჭირო ზომები;

გ) სისტემატური კონტროლი გაუწიოს ისეთ ტექნიკურ საშუალებათა შექმნასა და სრულყოფას, რომლებიც საჭიროა შრომის პირობების უსაფრთხობის უზრუნველსაყოფად ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში;

დ) უზრუნველყოს ქვანახშირის მრეწველობის მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის სამთო სამუშაოების უსაშიშრო წარმოების წესების შესწავლის გაუმჯობესება და შახტების მუშაკთა მიერ ამ წესების შეთვისების სისტემატური შემოწმება;

ე) მიიღოს ქმედითი ზომები, რათა დაწესებულ ვადებში შესრულდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 166-21 დადგენილება იმის შესახებ, რომ შედგენილ იქნას პროექტები დიდი მტვერწარმოქმნის შახტებში ქვანახშირის მასივის წინასწარი დატენიანებისა და გაზის მხრივ ზეკატეგორიულ მოქმედ შახტებში ქვანახშირის ფენების დეგაზაციისა;

ვ) განახორციელოს 1963-1964 წლებში შახტების კომპლექსური გაუმტვერიანება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ დამტკიცებული ტიპიური სქემებისა და პროექტების მიხედვით;

ზ) გაითვალისწინოს:

რომ აშენდეს 1963-1964 წლებში ყველა შახტში, რომლებსაც არა აქვთ სამეურნეო-სასმელი დანიშნულების წყლის მიწოდება მი-

წისქვეშა გამონამუშევარში, საშახტო წყლის წყალმიმღებებ[illegible] რომ გაიწმინდოს წყალი გაბინძურებისაგან, სსრ კავშირის [illegible]თა საბჭოს სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის „ცენტროგიპროშახტის“ პროექტის მიხედვით, და მიწოდებულ იქნას წყალი ინტენსიური მტვერწარმოქმნის ყველა ადგილას;

რომ გამოყენებულ იქნას, 1963 წლიდან დაწყებული, ქვანახშირის მტვრის აფეთქებათა თავიდან ასაცილებლად სპეციალური პასტა, წყლისა და წყალნისლოვანი ფარდები, ჰიდრავლიკური ამპულები, აგრეთვე სანგრევების მორწყვა წყლით, ნაცვლად ინერტული მტვრით გაფიქლებისა;

თ) უზრუნველყოს შახტების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა იმ მხრივ, რომ მიღებულ იქნას პროფილაქტიკის დროული ზომები და გამოიძებნოს ხანძრის ქრობის საშუალებათა ყველაზე ეფექტური საშუალებანი და ზედაპირის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებანი;

ი) გაითვალისწინოს მასალებისა და მოწყობილობის პირველ რიგში გამოყოფა შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის გაუმჯობესების სამუშაოთა შესასრულებლად.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღოს საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოწყობილობის, მასალების, აპარატურის ფონდების მიღება შახტებში შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის გასაუმჯობესებლად.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამთო საქმის ინსტიტუტს მიიღონ ზომები, რათა სასწრაფოდ შეიქმნას ტრესტ ტყიბულქვანახშირის და ტყვარჩელქვანახშირის შახტებისათვის ქვანახშირის ფენების დამუშავებისა და ქვანახშირის ამოღების ტექნოლოგიის ახალი სისტემები და გაუმჯობესდეს არსებული სისტემები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შეათანხმოს საქართველოს პროფსაბჭოსთან და მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში დაამტკიცოს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის გაფართოების ღონისძიებანი ქვანახშირის მრეწველობის მუშათა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, აგრეთვე შეიმუშაოს და დაამტკიცოს ღონისძიებანი ქვანახშირის რაიონების სამედიცინო-სანიტარული ნაწილის საჭირო სამკურნალო საშუალებებითა და მოწყობილობით მომარაგებისათვის.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემატური კონტროლი გაუწიოს ქვანახშირის მრეწველობაში უსაფრთხობის ტექნიკის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას და ყოველწლიურად 15 იანვრისა და 15 ივლისისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს ანგარიში ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე ამ დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

6. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 17 ოქტომბრის №1076 დადგენილებით:

ა) დააკისრა სსრ კავშირის სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს:

მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიოს მოკავშირე რესპუბლიკების გასამხედროებულ სამთო-მაშველ ნაწილებს.

შეიმუშაოს და დაამტკიცოს სამთო-მაშველი საქმის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოთა თემატიკა;

შეიმუშაოს წინადადებანი სამთო-მაშველი სამუშაოებისათვის საჭირო აპარატურისა და მოწყობილობის წარმოების შესახებ;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს წესდებები, ინსტრუქციები, დებულებები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც არეგლამენტებენ სამთო-მაშველი ნაწილების საქმიანობას;

ბ) უფლება მიანიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტს ქვანახშირისა და ფიქალის მრეწველობის საწარმოებში ავარიების დროს გაგზავნოს სამთო-მაშველი ნაწილების ქვეგანაყოფები ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში;

გ) შეუნარჩუნა სახალხო მეურნეობის საბჭოებს სამთო-მაშველი სამსახურის ოპერატიული, სასწავლო და სამეურნეო საქმიანობის ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა სამთო-მაშველი ნაწილების საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობისათვის, მათი დისლოკაციის სისწორისა და გამოყენებისათვის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში;

დ) დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს სამი თვის ვადაში დაამტკიცოს ტიპიური დებულებანი ქვანახშირის და ფიქალის ტრესტების სასწავლო პუნქტებისა და სასწავლო-კურსობრივი კომბინატების შესახებ, აგრეთვე მაღაროების მუშებისათვის უსაფრთხობის ტექ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკის წინასწარი შესწავლის ტიპიური პროექტები, ამასთან შეიტ-
თანხმოს ისინი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სათბობ-ენერგეტი-
ლობის სახელმწიფო კომიტეტთან, მოკავშირე რესპუბლიკების სა-
ხელმწიფო სამთო-ზედამხედველობის ორგანოებთან და პროფკავ-
შირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 15 ნოემბერი, № 794

18 იმ კოლმეურნეობათა ყოფილი წევრებისათვის ყოველთვიური დახმარების დანიშვნისა და მიცემის მოწესრიგების შესახებ, რომელთა მიწები გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 13 სექტემბრის № 959 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ყოველთვიური დახმარება შეიძლება დაენიშნოთ მატერიალურად ხელმოკლე I და II ჯგუფის ინვალიდებსა და ღრმა მოხუცებს, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო პენსიების მიღების უფლება, იმ კოლმეურნეობების ყოფილ წევრთა რიცხვიდან, რომელთა მიწები გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

ყოველთვიურ დახმარებას დანიშნავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები იმ პირის მატერიალური მდგომარეობის ყოველმხრივ შემოწმების შემდეგ, რომელმაც დახმარებისათვის მიმართა, თუ მას არა ჰყავს ნათესავები, რომლებიც კანონით მოვალენი არიან შეინახონ იგი, ან თუ აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენს, რომ ამ ნათესავებს მისი შენახვა არ შეუძლიათ.

2. ყოველთვიური დახმარება დაენიშნებათ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მცხოვრებთ 10 მანეთის და სოფელ ადგილებში მცხოვრებთ — 8 მან. და 50 კაპიკის რაოდენობით. დახმარების გაწევის ხარჯებს გაიღებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის შესაბამისი ბიუჯეტების, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების ანგარიშში.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან ამ დადგენილებით გათვალისწინებული პირებისათვის ყოველთვიური დახმარების დანიშვნის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და შეუფარდონ წინათ დანიშნული დახმარების ოდენობა ამ დადგენილებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შეიმუშაოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ინსტრუქცია იმ კოლმეურნეობათა ყოფილი წევრების მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომელთა მიწები გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ივნისის № 525 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი. 1962 წ. 15 ნოემბერი, № 798

19 აშენებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 სექტემბრის № 949 დადგენილება „აშენებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაწესდეს, რომ სამრეწველო სატრანსპორტო, წყალმომარაგებ-ნეობის და სხვა ობიექტებს, გარდა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და 50 მილიონი და მეტი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებისა, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო — ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2,5 მილიონი მანეთიდან 50 მილიონ მანეთამდე;

ბ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, სახალხო მეურნეობის საბჭო და სამინისტროები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტები და სამმართველოები, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი — დაქვემდებარებული ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1,1 მილიონი მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდე;

გ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული სამმართველოები და ტრესტები, საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების სამმართველოები (განყოფილებები) — ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 1,5 მილიონ მანეთს;

დ) მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები — დაქვემდებარებული ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატება 0,1 მილიონ მანეთს.

3. საცხოვრებელ სახლებს, აგრეთვე საზოგადოებრივ შენობებსა და ნაგებობებს, გარდა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი და 50 მილიონი და მეტი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებისა, მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების და უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომები.

4. მე-2 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების შესაბამისად დანიშნულ სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში შეყვანილ იქნებიან მენაშენის (შემკვეთის), გენერალური მოიჯარის, გენერალური დამპროექტებლის, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოს, პროფკავშირთა საბჭოს ტექნიკური ინსპექციისა და მენაშენის (შემკვეთის) პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები. იმ სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში, რომ-ლებიც საექსპლუატაციოდ მიიღებენ 10 მილიონ მანეთიდან 25-მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ტექნიკურად რთულ ობიექტებს, დამატებით იქნებიან შეყვანილი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახმშენისა და დამფინანსებელი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ან სამინისტროების წარმომადგენლები მისაღები ობიექტის კუთვნილებისამებრ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 ნოემბერი, № 802

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 949

1962 წლის 15 სექტემბერი

მოსკოვი, კრემლი

აშენებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების წესის შესახებ

აშენებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების მოწესრიგების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ახლად აშენებული ან რეკონსტრუირებული საწარმოები, მშენებლობები და ნაგებობანი აუცილებლად უნდა მიიღონ საექსპლუატაციოდ სახელმწიფო მიმღებმა კომისიებმა.

აშენებულ საწარმოებსა და მათ ცალკეულ რიგებს ან ასამუშავებელ კომპლექსებს საექსპლუატაციოდ მისაღებად წარადგენენ მენაშენეები (შემკვეთები) იმ პირობით, თუ დაყენებულ მოწყობილობაზე შესაძლებელია პროექტით გათვალისწინებული პროდუქციის გამოშვება, ხოლო აშენებულ შენობებსა და ნაგებობებს (საცხოვრებელი სახლები, საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული შენობები, გზები, ხიდები, ნავსადგურები, კაშხალები, მილგაყვანილობანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვ.) ან მათს ცალკეულ რიგებს — იმ პირობით, თუ შესაბამისი ამ ობიექტების ნორმალური ექსპლუატაცია.

2. დაწესდეს, რომ:

ა) 50 მილიონი და მეტი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებს, აგრეთვე განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან ობიექტებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების და სსრ კავშირის უწყებების წარდგენით.

აღნიშნული ობიექტების ცალკეულ ასამუშავებელ კომპლექსებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები.

განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ნუსხა, რომლებიც საექსპლუატაციოდ უნდა მიიღონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დანიშნულმა სახელმწიფო მიმღებმა კომისიებმა, დაწესდება ყოველწლიურად სახალხო მეურნეობის გეგმის დამტკიცების დროს;

ბ) სამრეწველო, სატრანსპორტო, წყალთა მეურნეობისა და სხვა ობიექტებს, გარდა „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ობიექტებისა, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ:

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები — ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2.5 მილიონი მანეთიდან 50 მილიონ მანეთამდე;

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები — ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1,5 მილიონი მანეთიდან 50 მილიონ მანეთამდე;

სახალხო მეურნეობის საბჭოები, მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროები და უწყებები, ასსრ მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები — დაქვემდებარებული ობიექტებისათვის, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 1,5 მილიონი მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდე;

გ) 1,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ობიექტებს საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებიც დაინიშნებიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ დადგენილი წესით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საცხოვრებელ სახლებს, აგრეთვე საზოგადოებრივ შენობებს და ნაგებობებს (გარდა „ა“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი ობიექტებისა) ხარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად, საექსპლუატაციოდ მიიღებენ სახელმწიფო მიმღები კომისიები, რომლებსაც დანიშნავენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოების აღმასკომები.

3. იმ სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც დაინიშნებიან მე-2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, შეყვანილი იქნებიან მენაშენის (შემკვეთის), გენერალური მოიჯარის, გენერალური დამპროექტებლის, სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოს, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოს, პროფკავშირთა საბჭოების ტექნიკური ინსპექციისა და მენაშენის (შემკვეთის) პროფკავშირული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

იმ სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც საექსპლუატაციოდ მიიღებენ 25 მილიონი და მეტი მანეთის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ტექნიკურად რთულ ობიექტებს, დამატებით იქნებიან შეყვანილი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახმშენისა და შესაბამის სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის, სსრ კავშირის სამინისტროს (უწყების) და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მრეწველობის სათანადო დარგის სახელმწიფო კომიტეტის წარმომადგენლები.

იმ სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში, რომლებმაც საექსპლუატაციოდ უნდა მიიღონ 10 მილიონი მანეთიდან 25 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ტექნიკურად რთული ობიექტები, დამატებით იქნებიან შეყვანილი მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სახმშენისა და შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის სამინისტროს (უწყების), სახალხო მეურნეობის საბჭოს და დამფინანსებელი ბანკის რესპუბლიკური კანტორის წარმომადგენლები.

4. იმ სახელმწიფო მიმღები კომისიების შემადგენლობაში, რომლებიც საექსპლუატაციოდ მიიღებენ საცხოვრებელ და საზოგადოებრივ შენობებსა და ნაგებობებს, შეყვანილი იქნებიან წარმომადგენლები სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოსი (კომისიის თავმჯდომარე), მენაშენისა (შემკვეთისა), იმ ორგანიზაციისა, რომელსაც ეკისრება შენობის ან ნაგებობის ექსპლუატაცია, გენერალური მოიჯარისა, საპროექტო ორგანიზაციისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ორგანოსი, სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ორგანოსი და მენგრელთა (ბ. ... კვეთის) პროფკავშირული ორგანიზაციისა.

იმ საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების დროს, რომლებიც მდებარეობენ ქალაქებში, მუშათა და საკურორტო დაბებში, სადაც არ არსებობენ სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოები, აგრეთვე სოფელ ადგილებში, სახელმწიფო მიმღები კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის წარმომადგენელი.

5. დაწესდეს, რომ საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების აქტებს დაამტკიცებენ ის ორგანოები, რომლებმაც სახელმწიფო მიმღები კომისიები დანიშნეს.

აშენებულ სამრეწველო, სატრანსპორტო, წყალთა მეურნეობისა და სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის თარიღად ითვლება სახელმწიფო მიმღები კომისიის აქტის ხელმოწერის თარიღი.

საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ გადაცემის თარიღად ითვლება მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ სახელმწიფო მიმღები კომისიის აქტის დამტკიცების თარიღი.

6. სსრ კავშირის სახმშენმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ საბჭოსთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად დაამტკიცოს სამშენებლო ნორმებისა და წესების შემადგენლობაში აშენებული საწარმოების, შენობებისა და ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიღების წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა საწარმოსა, ორგანიზაციისა და დაწესებულებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ბ. სტეპანოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებაზე ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რამდენადმე გაუმჯობესდება საწარმოო-ტექნიკური დანიშნულებისა და სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების საქმე. ხელშეკრულებათა დადება წარმოებს თავის დროზე და საქონლის განაწილების დამტკიცებული გეგმების უფრო მეტი შესაბამისობით.

ამავე დროს რესპუბლიკის ცალკეულ ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელები ვერ აფასებენ იმ მდგომარეობას, თუ რაოდენ სავალდებულო და დიდმნიშვნელოვანია ხელშეკრულებების დროზე დადება და მათი სწორად გაფორმება, რაც ხელს უშლის საგეგმო-სახელშეკრულებო დისციპლინის და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას მათს მუშაობაში; ისინი ყოველთვის როდი იღებენ პირად მონაწილეობას მიწოდების პირობების შეთანხმებაში, წამოჭრილ უთანხმოებათა განხილვაში.

არის შემთხვევები, როდესაც დაუსაბუთებლად არიდებენ თავს ხელშეკრულებათა დადებას, დაგვიანებით სდებენ ამ ხელშეკრულებებს, მათ შორის სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების გეგმების მიხედვითაც, რისთვისაც სამეურნეო ორგანიზაციები ეწევიან არამწარმოებლურ ხარჯებს ჯარიმების სახით, რომლებსაც ისინი სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებით იხდიან. მაგალითად, ცეკავშირის საქკოოპმომარაგებამ, თბილისის ფანერის ქარხანამ, სამტრედიის დაფნის კომბინატმა, გორის ხილ-კენკრის ღვინის ქარხანამ და სხვებმა მიმდინარე წელს ჯარიმის დიდძალი თანხები გადაიხადეს ხელშეკრულებათა არათავის დროზე დადებისათვის.

ზოგიერთი ორგანიზაცია აჭიანურებს გამოყოფილი ფონდების განაწილებას მომხმარებელ საწარმოებს შორის.

საწარმოები ყოველთვის როდი ითვალისწინებენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, ისინი უშვებენ უსარგებლო ან არასეზონურ საქონელს, რითაც ქმნიან ნიადაგს დავის წარმოშობისათვის. შორაპნის ქარხანა „ელექტროელემენტმა“ დააგვიანა ახალი სახის პროდუქციის გამოშვება და იძულებული გახდა სახელმწიფო არბიტრაჟისათვის მიემართა თხოვნით, რათა მან აიძულოს მთელი რიგი საავჭრო ორგანიზაციები დადონ ხელშეკრულებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად სავაჭრო ორგანიზაციებს გამოუყოფენ მოჭარბებულ და ისეთ საქონელს, რომელიც არ სარგებლობს მოსახლეობის ძლიერ ხოვნილებით.

ყოველივე ეს ქმნის მხარეთა შორის უთანხმოებისა და სახელმწიფო არბიტრაჟისათვის მიმართვის პირობებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) აღმოფხვრან სამეურნეო ხელშეკრულებათა დადების საქმეში აღნიშნული ნაკლოვანებანი, გააძლიეონ იმისადმი კონტროლი, რომ დროულად და სწორად გაფორმდეს ხელშეკრულებანი პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ, არ დაუშვან ხელშეკრულებათა დადებისათვის თავის არიდება დაუსაბუთებლად და მათი დადების დაგვიანება, აგრეთვე დაუსაბუთებელი განცხადებების შეტანა სახელმწიფო არბიტრაჟში ხელშეკრულებათა იძულებითი დადების შესახებ;

ბ) იმ საწარმოთა საწარმოო გეგმების დამტკიცების დროს, რომლებიც სახალხო მოხმარების საქონელს ამზადებენ, აუცილებლად გაითვალისწინონ მოსახლეობის მოთხოვნილება და არ დაამზადონ მოძველებული პროდუქცია;

გ) დროზე გაანაწილონ გამოყოფილი ფონდები და მტკიცედ დაიცვან განრიგების გაცემის დაწესებული ვადები;

დ) დაავალონ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უშუალო მონაწილეობა მიიღონ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა პირობების შეთანხმებაში (ან დანიშნონ ამისათვის პასუხისმგებელი წარმომადგენლები) იმ მიზნით, რომ ზუსტად განისაზღვროს ხელშეკრულებებში მხარეთა ურთიერთვალდებულებანი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს აცნობოს შესაბამის ზემდგომ ორგანოებს იმ ორგანიზაციებისა და საწარმოების ვინაობა, რომლებიც დარღვევენ ამ დადგენილებას, ვერ უზრუნველყოფენ სამეურნეო ხელშეკრულებათა დროულად და ხარისხიანად დადებას 1963 წლისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს მიმდინარე წლის დეკემბერში ჩაატაროს სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების სამეურნეო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალმცოდნე მუშაკთა და სახელმწიფო არბიტრაჟის ... თათბირი 1963 წლისათვის ხელშეკრულებათა მომავალ ... დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ვირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 ნოემბერი, № 804

21 რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რეკომენდაციებისა და წინადადებების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წინადადებებისა და რეკომენდაციების გამოყენება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში და შეიქმნას პირობები სამეცნიერო და საინჟინერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 ოქტომბრის № 1071 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აგრეთვე რესპუბლიკის საწარმოების, მშენებლობების, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

ა) მონაწილეობა მიიღებინონ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების და სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის წლიური და პერსპექტიული გეგმების და ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების შემუშავება-განხილვის, აგრეთვე ამ გეგმებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების საქმეში;

ბ) შექმნან საჭირო პირობები სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ბიუროებისა და ლაბორატორიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, ეკონომიური ანალიზის ბიუროებისა და ჯგუფების წარმატებითი საქმიანობისათვის, უზრუნველყონ ისინი სადგომებით, მოწყობილობით, ინვენტარით, ხელსაწყოებით, ტექნიკური და საცნობარო ლიტერატურით;

გ) დადგენილი წესით წაახალისონ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა აქტიური წევრები, რომელთა წინადადებანი, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი თვითღირებულების შემცირებასა და შრომის პირობების გაადვილებას, — მიღებული და დანერგილია.

2. დადგენილ იქნას სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების წინადადებათა განხილვის შემდეგი წესი:

ა) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი განიხილავენ და თვენახევრის განმავლობაში მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოს და დარგობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა რესპუბლიკური გამგეობების მიერ წარდგენილ წინადადებათა გამო უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-ტექნიკურ და სამეცნიერო-ეკონომიურ პრობლემებზე, რომელთაც აქვთ როგორც საერთო სახელმწიფოებრივი, ისე რესპუბლიკური მნიშვნელობა;

ბ) რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები განიხილავენ და მიიღებენ ერთი თვის ვადაში შესაბამის გადაწყვეტილებებს დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების წინადადებათა გამო;

გ) რესპუბლიკის საწარმოები, მშენებლობები, სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, მათი უწყებრივი დაქვემდებარების დამოუკიდებლად, განიხილავენ და ორი კვირის ვადაში მიიღებენ გადაწყვეტილებებს დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებების, აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე საკონსტრუქტორო და ტექნიკური ბიუროე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის, ლაბორატორიებისა და ეკონომიური ანალიზის ჯგუფების დადებათა გამო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 28 ნოემბერი, № 805

22 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 532 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

„სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების საქმეში მტკიცე წესრიგის დამყარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 532 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, № 1 დანართის თანახმად.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 532 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, № 2 დანართის თანახმად.

3. ეცნობოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 532 დადგენილების თანახმად, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები — წარმოებითს საწარმოებსა და მშენებლობაში დასაქმებული ოფიცრები, გენერლები და ადმირალები, რომლებზედაც სსრ კავშირის მთავრობის მიერ წინათ მიღებული გადაწყვეტილებებით გავრცელებული იყო დებულებანი მრეწველობისა და მშენებლობის მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, დაჯილდოვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 ბრძანებულ-ნილების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 ნოემბერი, № 807

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 28 ნოემბრის № 807 დად-
გენილების დანართი № 1

ნუსხა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებ-მაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 532 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. მუხლი 4 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1943 წლის 17 ივნისის № 899 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ტყეებში ტყის დაცვის გაუმჯობესებისა და თვითნებური ჭრის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ დაჯილდოების ნაწილში.

2. მუხლები 2, 3 და 4 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 20 იანვრის № 51 დადგენილებისა „ზოოტექნიკური და ვეტერინარული მუშაკებისათვის ხელფასის მომატების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 25 მაისის № 543 დადგენილება „სტამბების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის პრემიალური ანაზღაურების შესახებ“.

4. „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს პურის საცხობი საწარმოების პურის უბარათებოდ ვაჭრობისათვის მომზადების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 ივნისის № 418 დადგენილების მე-6 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“ და „გ“.

5. მუხლი 5 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 18 ივლისის № 519 დადგენილებისა „1946 წელს მოკავშირე რესპუბლიკების საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების მიერ აგურის, კირის და სამშენებლო თაბაშირის წარმოების გეგმის შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულების უზრუნველყოფის ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 29 ივნისის № 1430 დადგენილების შესრულების ღონისძიებებზე“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 სექტემბრის № 792 დადგენილება „სამრეწველო საწარმოებში შრომის ნორმირების და დაჯილდოების საქმეში არსებულ დარღვევათა შესახებ“.

7. „ხორცის, ძეხვის ნაწარმის, ერბო-კარაქისა და ყველის წარმოების გადიდების ზომების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ივლისის № 2694 დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 16 სექტემბრის № 1006 დადგენილების მე-11 მუხლის მეორე აბზაცი.

8. „საქართველოს სს რესპუბლიკაში შავი ლითონის ჯართის შეგროვების გადამუშავებისა და გაგზავნის გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ოქტომბრის № 1216 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „გ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 25 ნოემბრის № 1337 დადგენილება „რუსეთის სფს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამრეწველო და ავტოსატრანსპორტო საწარმოების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების დებულების მოქმედების საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სამრეწველო და ავტოსატრანსპორტო საწარმოების მუშაკებზე გავრცელების შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 იანვრის № 50 დადგენილება „ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის გეგმების დროულად, კეთილხარისხოვნად, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოების წესის შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 2 მარტის № 154 დადგენილება „ტრაქტორების, კომბაინებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის თვიური გეგმების შესრულებისათვის საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის პრემიების მიცემის წესის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 356 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯართისა და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების 1948 წლის გეგმის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის [illegible]სის № 838 დადგენილება „პრემიების ოდენობის ნაწილ[illegible]ცირების თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოებას.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 9 აგვისტოს № 974 დადგენილება „მრეწველობასა და მშენებლობაში ფასების გადიდებასთან დაკავშირებით პრემიების ოდენობის შეცვლის შესახებ“.

15. მუხლი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 აგვისტოს № 928 დადგენილებისა „მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“.

16. მუხლები 13 და 14 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 28 აპრილის № 514 დადგენილებისა „ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციის, ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოებში და სავაჭრო ორგანიზაციებში ჩაწოლილი საქონლის გაყიდვის მოწყობის შესახებ“.

17. „1950 წელს ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 9 დეკემბრის № 1707 დადგენილების მე-6 მუხლის ქვეპუნქტი „ა“ ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების ნაწილში.

18. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჯართისა და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების, გადამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12 ივნისის № 727 დადგენილების მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ვ“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა დაჯილდოებას, აგრეთვე ამ დადგენილების მე-9 მუხლი, ამასთან შენარჩუნებულ იქნას მისი მოქმედების გავრცელება, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 26 აგვისტოს № 3885 დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

19. „ეთერზეთოვანი კულტურების წარმოების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 23 იანვრის № 97 დადგენილების მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“ წარმოების მუშაკთა დაჯილდოების ნაწილში.

20. მუხლი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 2 თებერვლის № 139 დადგენილებისა „ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების სტიმულირების ზომების შესახებ“ დაჯილდოების ნაწილში.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 8 აპრილის № 401 დადგენილება „აღსადგენად ვარგისი ნამუშევარი საკისარების შეგროვებისა და ჩაბარებისათვის სამინისტროებისა და უწყებათა საწარმოების, მეურნეობების და ორგანიზაციების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ“.

22. „მეორადი ნედლეულის დამზადების გადიდების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 25 ოქტომბრის № 1630 დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ტრანსპორტის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა დაჯილდოებას.

23. მუხლი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 სექტემბრის № 1234 დადგენილებისა „შავი და ფერადი ლითონების ჯართის დამზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

24. „1953-1955 წლებში საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის და სარეწაო კოოპერაციის საწარმოებში საშენ მასალათა წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 12 ნოემბრის № 1511 დადგენილების მე-10 მუხლის ქვეპუნქტი „გ“.

25. მუხლი 15 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 26 ნოემბრის № 1569 დადგენილებისა „მოსახლეობისათვის მისაყიდად ავეჯის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ დაჯილდოების ნაწილში.

26. „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის კაპიტალური მშენებლობის 1954 წლის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 270 დადგენილების მე-13 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“ დაჯილდოების ნაწილში.

27. „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 1 ოქტომბრის № 911 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა დაჯილდოების ნაწილში.

28. მუხლი 10 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 აგვისტოს № 549 დადგენილებისა „საქართველოს სსრ გეოლოგიური სამსახურის ორგანიზაციული სტრუქტურის თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობაში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოებას.

29. მუხლი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მარტის № 199 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ჯართისა და შავი და ფერადი ლითონების ნარჩენების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების სამმართველოს — „ვტორმეტის“ მოწყობის თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება ჯართის გადამმუშავებელი საწარმოებისა და საავტომობილო მეურნეობების მუშაკთა დაჯილდოებას.

30. „საქართველოს სს რესპუბლიკაში რკინაბეტონის წინასწარ დაძაბული კონსტრუქციების წარმოების განვითარებისა და მშენებლობაში გამოყენების გაფართოების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 23 აგვისტოს № 555 დადგენილების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მეოთხე აბზაცი დაჯილდოების ნაწილში.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ოქტომბრის № 803 დადგენილება „ავტომობილების შოფერთა გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ“.

32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 13 ნოემბრის № 750 დადგენილება „იმ პრემიების ოდენობის შესახებ, რომლებიც ავტომობილების შოფრებს უნდა მიეცეთ ავტობენზინის მომჭირნეობისათვის“.

33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 19 მაისის № 387 დადგენილება „იმ პრემიების ოდენობის შეცვლის შესახებ, რომლებიც საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებს უნდა მიეცეთ საავტომობილო სალტეების ეკონომიისათვის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ᲕᲘᲠᲐᲥᲐᲫᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 28 ნოემბრის № 807 დადგენილების დანართი № 2

ნუსხა

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივნისის № 532 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. მუხლები 5, 6, 8, 9, 10 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 26 მაისის № 1740 დადგენილებისა „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, აგროუბნებსა და ზოოვეტუბნებში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ხელფასისა და დაჯილდოების შესახებ“, აგრეთვე ამ დადგენილების მე-12 მუხლი დაჯილდოების ნაწილში.

2. საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების საწარმოებისა და რაიონული (საქალაქო) სამრეწველო კომბინატების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების დებულება, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 ივნისის № 2048 დადგენილებით, მისი მოქმედების შენარჩუნებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 აგვისტოს № 2167 განკარგულებით გათვალისწინებული მუშაკებისათვის.

3. მუხლები 1 და 4 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 7 მაისის № 1539 დადგენილებისა „მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში საწვავის მომჭირნეობისათვის პრემიებისა და მისი გადახარჯვისათვის დაქვითვის შესახებ“.

4. დანართი № 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 30 იანვრის № 281 დადგენილებისა „მოკავშირე რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის სამინისტროების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული მთავარი ენერგეტიკული სამმართველოების წყალსადენ-საკანალიზაციო საწარმოების, სამრეცხაოების, ელექტროსადგურებისა და ელექტროქსელების მუშაკთა დაჯილდოების დებულებათა დამტკიცების შესახებ, მისი მოქმედების შენარჩუნებით გაერთიანება „ვოდოსვეტის“ და „ელექტროვოდის“ მუშაკთა მიმართ, რომლებიც არ არიან გადაყვანილი დაჯილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოების ახალ სისტემაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილების შესაბამისად, აგრეთვე ტრესტ „ენერგოზაპჩასტის“ მუშაკთა მიმართ“.

5. მუხლები 20 და 21 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 11 სექტემბრის № 3431 დადგენილებისა „მრეწველობაში ელექტროენერგიის გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

6. მუხლები 15-24 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 29 სექტემბრის № 3688 დადგენილებისა „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ.“

7. მუხლები 12 და 14 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 20 სექტემბრის № 1722 დადგენილებისა „სამთამადნო, მეტალურგიული, ნავთობის, ქიმიური, ხე-ტყის, ქაღალდის და ხისდამუშავებელი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში, ელექტროსადგურებში, აგრეთვე სატრანსპორტო სამინისტროების სამრეწველო საწარმოებში ოსტატისა და საწარმოო უბნის უფროსის როლის გაძლიერებისა და მათი შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ“.

8. მუხლი 3 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 17 იანვრის № 225 განკარგულებისა.

9. „სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატის მუშაკთა დაჯილდოების მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 ივნისის № 767 დადგენილების 1 მუხლის მესამე აბზაცი.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 22 ნოემბრის № 1525 დადგენილება „სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების შესახებ“.

11. მუხლები 7 და 8 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 აპრილის № 428 დადგენილებისა „მშენებლობაში დასაქმებულ სახაზო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის მოწესრიგებისა და მშენებლობის სპეციალისტებით უზრუნველყოფის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1957 წ. № 5, მუხ. 55) დაჯილდოებისა და დანამატების ნაწილში, აგრეთვე ამ დადგენილების მუხლი 12 იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 20 სექტემბრის № 1722 დადგენილების მე-12 და 14 პუნქტ-ების მოქმედების გავრცელებას.

12. მუხლი 15 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 22 მაისის № 556 დადგენილებისა „მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ" კანონის შესრულებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე" (სსრკ დადგ. კრ. 1957 წ. № 6. მუხ. 63) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში დასაქმებულ ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოებას.

13. დებულება სათბობის, ელექტრო და თბოენერგიის მომჭირნეობისათვის საწარმოების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 13 მაისის № 510 დადგენილებით (სსრკ დადგ. კრ. 1958 წლ., № 8, მუხ. 70) იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მრეწველობის საწარმოებში და რკინიგზის ტრანსპორტზე დასაქმებულ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

23 საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ. წარმოდგენილი საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 6 დეკემბერი, № 813

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 დეკემბრის № 813 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 56 და 58 მუხლების შესაბამისად, არის რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ა) საბინაო და კომუნალური მეურნეობის კომპლექსური განვითარებისადმი ხელმძღვანელობა, მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში ყოველგვარი სახის კეთილმოწყობის გატარების გზით;

ბ) კომუნალური მეურნეობის ყველა დარგის პროპორციული განვითარების უზრუნველყოფა საბინაო მშენებლობის გეგმის განხორციელებით საინჟინერო ნაგებობათა კომპლექსურად, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების ფართოდ დანერგვის, მოწინავე გამოცდილების გავრცელებისა და მშენებლობის ღირებულების შემცირების საფუძველზე;

გ) კაპიტალური მშენებლობის ორგანიზაცია, რაც ხორციელდება ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებებისა და კომბინატების, როგორც საბინაო-კომუნალური მშენებლობის შემკვეთების, მეშვეობით;

დ) არსებული საბინაო ფონდისა და ნაგებობათა მოვლა-პატრონობის და გაუმჯობესების სამუშაოების ორგანიზაცია საცხოვრებელი სახლების შემდგომი კეთილმოწყობის, კომუნალურ ნაგებობათა რეკონსტრუქციისა და გაფართოების, სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვის გზით;

ე) მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების მუდმივ გაფართოება, მომსახურების ხარისხისა და კულტურის ამაღლება.

3. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო მასზე დაკისრებულ ამოცანების შესაბამისად განახორციელებს შემდეგ ფუნქციებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) შეიმუშავებს ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის და რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე რესპუბლიკის საბინაო და კომუნალური მეურნეობის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს, ამასთან გამოყოფს მაჩვენებლებს ავტონომიური რესპუბლიკებისა, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისისათვის და დასამტკიცებლად წარადგენს მათ დადგენილი წესით;

ბ) შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს დასამტკიცებლად ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რესპუბლიკის რაიონებს მიხედვით საბინაო და კომუნალური მეურნეობის შემოსავალ-გასავლის გეგმების პროექტებს;

გ) დაამტკიცებს საბინაო-კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი ორგანოებისათვის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისისა), სისტემის რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის შრომისა და ხელფასის გეგმებს, საერთო და სასაქონლო პროდუქციის მოცულობას, კაპიტალურ დაბანდებებს, პროდუქციისა და მომსახურების თვითღირებულების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებსა და სხვა მაჩვენებლებს მთავრობის მიერ დამტკიცებული საწარმოო და საფინანსო გეგმების ფარგლებში;

დ) განახორციელებს კონტროლს საქართველოს სსრ მთელი საცხოვრებელი ფონდის შენახვისა, რემონტისა და კეთილმოწყობისადმი, დამოუკიდებლად მისი უწყებრივი კუთვნილებისა, აგრეთვე იმ საცხოვრებელი სახლების შენახვისა და გამოყენებისადმი, რომლებიც მოქალაქეებს ეკუთვნის პირადი საკუთრების უფლებით, კონტროლს გაუწევს საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების საქმიანობას;

ე) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, უზრუნველყოფს მათს განვითარებას, დაამტკიცებს უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების საწარმოო-საექსპლუატაციო და საფინანსო გეგმებს, კაპიტალური მშენებლობის გეგმებს;

ვ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში ახალი მოწყობილობის, სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესების და შრომის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების დანერგვის გეგმებს, ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაციონალიზაციის საქმეს საბინაო-კომუნალური მეურნეობის ტემაში;

ზ) განაზოგადებს და დანერგავს კომუნალური მეურნეობის მიერ მოსახლეობის მომსახურების ტექნიკური და კულტურული დონის ამაღლების მოწინავე გამოცდილებას;

სახმშენთან ერთად მოამზადებს ქალაქების დაგეგმარებისა და განაშენიანების სქემებს დასამტკიცებლად წარსადგენად;

თ) განაგებს კადრების შერჩევასა და განაწილებას სამინისტროს სისტემაში, განსაზღვრავს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო განათლების სპეციალისტებზე, დადგენილი წესით გაანაწილებს ახალგაზრდა სპეციალისტებს და კონტროლს გაუწევს მათს სწორად გამოყენებას;

ი) მოაწყობს მუშათა პროფესიების კადრების გადამზადებას და ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლებას;

კ) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებას, რომელთა მიზანია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

ლ) შეიმუშავებს და წარადგენს დადგენილი წესით განსახილველად და დასამტკიცებლად საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირობებს, აგრეთვე მოაწყობს და განახორციელებს კონტროლს შრომის ანაზღაურების მოქმედი პირობებისა და შრომის კანონმდებლობის გამოყენებისადმი.

გადაწყვეტს საკითხებს, რომ მიეკუთვნონ დადგენილი წესით ახლად შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები შრომის ანაზღაურების ჯგუფებს;

მ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს საცხოვრებელი სახლებისა და კომუნალური მეურნეობის ნაგებობათა ტექნიკური ექსპლუატაციის წესებს, ინსტრუქციებს და დებულებებს მათი შენახვის, რემონტისა და ექსპლუატაციის შესახებ, რომლებიც სავალდებულოა ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მათი უწყებრივი კუთვნილების დამოუკიდებლად, აგრეთვე მოსახლეობისათვის, და კონტროლს გაუწევს მათს დაცვას;

ნ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს დადგენილი წესით კომუნალური მეურნეობის მომსახურების ტარიფებს, სამინისტროს საწარმოების მიერ გამოშვებული სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასებს, აგრეთვე მოამზადებს და დასამტკიცებლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარადგენს ტარიფებსა და ფასებში მომხდარ ცვლილებებს და განახორციელებს კონტროლს მათი შეფარდებისადმი;

ო) დადგენილი წესით შეათანხმებს კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციას, რომელსაც ამტკიცებენ ასსრ მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე მისცემს დასკვნებს იმ პროექტების გამო, რომლებსაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ამტკიცებს;

პ) მოაწყობს პროფკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად სოციალისტურ შეჯიბრებას ქალაქთა უკეთესი კეთილმოწყობისათვის, საბინაო და კომუნალური მეურნეობის საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოების ექსპლუატაციის გეგმების შესრულებისათვის, მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის და და შეაჯამებს შეჯიბრების შედეგებს;

ჟ) მოაწყობს ლიტერატურის გამოცემას საბინაო-კომუნალური მეურნეობის კაპიტალური რემონტის, ექსპლუატაციის, ეკონომიკის, დაგეგმვისა და აღრიცხვის საკითხებზე;

რ) ხელმძღვანელობას გაუწევს საცხოვრებელი ფონდის, კომუნალური მეურნეობის საწარმოების, გარეგანი კეთილმოწყობის ობიექტების და მიწების ტექნიკურ ინვენტარიზაციას, დადგენილი წესით ჩაატარებს კომუნალური მეურნეობის საცხოვრებელი სახლებისა და საწარმოების პასპორტიზაციას;

ს) შეიმუშავებს და განახორციელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად ღონისძიებებს ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებისა და კომუნალური მეურნეობის სამმართველო აპარატის გაიაფებისათვის;

ტ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარადგენს დადგენილი წესით საბინაო-კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტიპობრივ სტრუქტურასა და შტატებს;

უ) შეადგენს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს, გარდა ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და ქალაქ თბილისის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მატერიალური-ტექნიკური მომარაგების გეგმებისა, რომლებსაც შეადგენენ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოლქის და ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები;

ფ) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სისტემაში; შეადგენს შეჯამებითს კვარტალურ და წლიურ საბუღალტრო ანგარიშებს, ჩაატარებს დოკუმენტურ რევიზიებს, შეიმუშავებს და დაამტკიცებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ანგარიშებს, ბალანსებს; კონტროლს გაუწევს სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო-საწარმოო გეგმების შესრულებას, აგრეთვე ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა დოკუმენტური რევიზიების ჩატარებას საჭირო შემთხვევებში.

4. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

5. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი ხელმძღვანელობს სამინისტროს საქმიანობას და უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას იმ საკითხებზე, რომლებიც სამინისტროს საქმიანობას შეეხება.

6. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53 მუხლის შესაბამისად, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებს, ინსტრუქციებს და შეამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის ბრძანებები და ინსტრუქციები სავალდებულოა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროებისათვის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილებებისათვის, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალური და საბინაო მეურნეობის სამმართველოებისა, ტრესტებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების კომუნალური მეურნეობის განყოფილებებისა და კომბინატებისათვის და საქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ... ყველა დაწესებულებისა, საწარმოებისა და ორგანიზაციებისა.

7. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი გააუქმებს ავტონომიური ოლქის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების საბინაო-კომუნალური მეურნეობის მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; შეაჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების კომუნალური მეურნეობის მინისტრების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს. აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს; შეიტანს რესპუბლიკის შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში წარდგინებებს ასეთი ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების შესახებ.

8. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრი დადგენილი წესით მოაწყობს, გარდაქმნის, აგრეთვე გააუქმებს მისდამი დაქვემდებარებულ რესპუბლიკურ ორგანიზაციებსა და საწარმოებს, დადგენილი წესით დაამტკიცებს სამინისტროს სისტემის სამეურნეო ანგარიშის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის შტატებს და საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათს დაქვემდებარებას სამინისტროს სისტემაში. დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ, აგრეთვე სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების წესდებებს, დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების და უშუალოდ დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკებს.

9. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროში მოეწყობა კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრის წარდგენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგია თავის სხდომაზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება, განიხილავს მთავრობის მიერ საბინაო-კომუნალური მეურნეობის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონული ცენტრების კომუნალური მეურნეობის განვითარების მდგომარეობასა და გეგმებს, მინისტრის ნომენკლატურის მუშაკთა დანიშვნისა და განთავისუფლების საკითხებს, საბინაო მეურნეობის და კომუნალური მეურნეობის საწარმოების ექსპლუატაციის მოწინავე მეთოდების და ახალი ტექნიკის დანერგვის საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს და მათს შესრულებას, მოისმენს ადგილობრივი კომუნალური ორგანოების და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება მინისტრის ბრძანებით. უკეთუ მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, მინისტრი ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს იმავდროულად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს; კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან არსებობს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობას დაამტკიცებს მინისტრი.

12. საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

---

24 საქონლის ნისიად გაყიდვის დროს სავაჭრო ორგანიზაციათა სასარგებლოდ მყიდველებისათვის პროცენტების გადახდევინების წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ნოემბრის № 1202 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს, რომ. 1963 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, საქმიანობის ნისიად გაყიდვის დროს მყიდველებს სავაჭრო ორგანიზაციების სასარგებლოდ პროცენტები გადახდებათ ფაქტიურად მიცემული კრედიტის თანხიდან და არა საქონლის საცალო ფასიდან, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 სექტემბრის № 717 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 6 დეკემბერი, № 815.

25 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 29 ოქტომბრის № 1117 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების შეცვლის შესახებ

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ივნისის № 648 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 29 ოქტომბრის № 1117 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 18 ნოემბრის № 793 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“:

ა) მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს დაემატოს სიტყვები: „მათ შორის ისეთი პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულებათა, რომელიც გეგმური წესით არ ნაწილდება“.

ბ) მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება ენიჭება გეგმურ და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულებისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან საუბიროს, საურავის და ჯარიმის გადახდევინების შესახებ დავის გაწყვეტის ჟროს შეიტანოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში სრულად ან ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილობრივ მოპასუხისათვის გადახდევინებული თანხებ[illegible] ვებში, როდესაც მაძიებელმა დაუშვა კანონმდებლობის დარღვევა, რაც არ ამცირებს მოპასუხის პასუხისმგებლობას".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 20 დეკემბერი, № 834.

26 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 ოქტომბრის № 1074 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 ოქტომბრის № 1074 დადგენილებისა „კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან იმ მარცვლისა და ზეთოვანი კულტურების თესლისათვის ანგარიშსწორების შემდგომი მოწესრიგებისა და გამარტივების შესახებ, რომელსაც ისინი მიყიდან (ჩააბარებენ) სახელმწიფოს", სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 აგვისტოს № 823 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე", საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ზეთოვანი კულტურების თესლის წარმოებისა და დამზადების გადიდების ზომების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 30 დეკემბრის № 747 დადგენილების მე-5 მუხლის ქვეპუნქტი „ე".

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 ოქტომბრის № 1074 დადგენილებით შეტანილია შემდეგი ცვლილებანი სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 27 აგვისტოს № 969 დადგენილებაში „კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან მათ მიერ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული მარცვლისა და ზეთოვანი კულტურების თესლისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ":

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალადაკარგულად ითვლება 1 მუხლის ქვეპუნქტები „ე“ და „ვ“.

მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ამოღებულია სიტყვები „საბაზისო კონდიციებს ზევით სიწმინდის ყოველ პროცენტში ყველა ზეთოვანი კულტურისათვის (გარდა მზესუმზირასი) — 1 პროცენტი;“

მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში ამოღებულია სიტყვები „საბაზისო კონდიციებზე ნაკლები სიწმინდის ყოველ პროცენტში ყველა ზეთოვანი კულტურისათვის (გარდა მზესუმზირასი) — 1 პროცენტი;“

მე-2 მუხლის უკანასკნელ აბზაცში ამოღებულია სიტყვები „აბრეშუმას ან მწარას ნარევისათვის ზეთოვანი სელის თესლში — 3 პროცენტი;“

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 აგვისტოს № 745 დადგენილებაში „კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და სხვა მეურნეობებთან სახელმწიფოსათვის საბაზისო კონდიციებზე ნაკლები ტენიანობის მარცვლის ჩაბარებისათვის ანგარიშსწორების წესის შესახებ“ ამოღებულია სიტყვები: „იმ პირობით, თუ აღნიშნული მარცვალი არ ყოფილა ცეცხლზე გამშრალი“;

გ) ძალადაკარგულად ითვლება მუხლი 40 დამზადებათა სამინისტროს ინსტრუქციისა კოლმეურნეობებისა და ერთპიროვნული მეურნეობების მიერ სახელმწიფოსათვის მარცვლისა და ბრინჯის საკალდებულო ჩაბარების გატარების წესის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 16 ივნისის № 2073 დადგენილებით იმ ნაწილში, რომლითაც აკრძალულია მიღება მუდმივმოქმედ შორეულ პუნქტებში მარცვლისა 15 და 16 პროცენტზე მეტი ტენიანობით, პარკოსნებისა (გარდა ლობიოსი) — 18 პროცენტზე და ლობიოსი 21 პროცენტზე მეტი ტენიანობით, აგრეთვე ამ ინსტრუქციის მუხლი 54 იმ ნაწილში, რომელიც კრძალავს 17 პროცენტზე მეტი ტენიანობის ნედლი ბრინჯის მიღებას მუდმივმოქმედ შორეულ პუნქტებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 20 დეკემბერი, № 835.

ეროვნული ბიბლიოთეკა

27 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 ოქტომბრის № 1058 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების შეცვლისა და გაუქმების შესახებ

იმის გამო, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1962 წლის 11 ოქტომბერს მიიღო დადგენილება № 1058 „კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და შენდებადი საწარმოების საექსპლუატაციოდ გადაცემისადმი კონტროლის გაძლიერების ზომების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 ოქტომბრის № 920 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

I. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 ოქტომბრის № 1058 დადგენილებით შეტანილია ცვლილებანი:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებაში „მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის სახელმწიფო დაგეგმვისა და დაფინანსების წესის შეცვლის შესახებ“:

ა) მე-14 მუხლს დანართისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადასაწყვეტად გადაცემული საკითხები“ დაემატა შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„მოცულობა საპროექტო-საძიებო სამუშაოებისა, რომლებიც უნდა შესრულდეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებებისათვის, დამტკიცდება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით“;

ბ) ძალადაკარგულად ითვლება მუხლები 7 და 8 დანართისა „მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრების გადასაწყვეტად გადაცემული საკითხები“.

2. ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭოს დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 26 სექტემბრის № 1150 დადგენილებით (სსრკ. დადგ. კრ. 1957 წ. № 12, მუხ. 121):

ა) მუხლი 60 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„60. დაამტკიცოს 1,5 მილიონ მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდე სახარჯთაღრიცხვო ღირებულების საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის საპროექტო დავალებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულ საპროექტო დავალებათა ძირითადი მაჩვენებლების შეცვლა არ შეიძლება, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება მოხდეს აღნიშნული მშენებლობებისათვის სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ მოკავშირე რესპუბლიკის სახმშენთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით. სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ წინათ დამტკიცებული საპროექტო დავალებანი შეიძლება გადასინჯოს და კვლავ დაამტკიცოს სახალხო მეურნეობის საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკის სახმშენთან და სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეუთანხმებლად ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ დიდდება და საწარმოო სიმძლავრე არ მცირდება;

ბ) მუხლი 65 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„65. დაამტკიცოს წლიური შიგასამშენებლო სატიტულო სიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისა, ისეთი მშენებლობებისა, რომლებიც კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე ხორციელდება, აგრეთვე სხვა მშენებლობებისა 2,5 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით; დაადგინოს 2,5 მილიონი მანეთის და ნაკლები სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მშენებლობათა წლიური შიგასამშენებლო სატიტულო სიების დამტკიცების წესი, გარდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მშენებლობებისა და იმ მშენებლობებისა, რომლებიც კომპლექტური საიმპორტო მოწყობილობის ბაზაზე ხორციელდება;

გ) ძალადაკარგულად ითვლება მუხლები 61, 62 და 68.

II. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 ოქტომბრის № 1058 დადგენილების შესაბამისად, შეტანილ იქნას ცვლილებები:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 ივლისის № 523 დადგენილებაში „იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე“:

ა) მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები: „25 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს“, შეიცვალოს სიტყვებით: „2.5 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ახლად დასაწყებ და გარდამავალ მშენებლობათა სატიტულო სიებს“;

ბ) მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში სიტყვები: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ ახლად დასაწყებ მშენებლობათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1 მილიონი მანეთიდან 25 მილიონ მანეთამდეა". შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ ახლად დასაწყებ და გარდამავალ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1.5 მილიონი მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდეა";

გ) მე-2 მუხლის „დ" ქვეპუნქტში სიტყვები: „სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი საბჭოების იმ ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონი მანეთიდან 25 მილიონ მანეთამდეა", შეიცვალოს სიტყვებით: „სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი საბჭოების იმ ახლად დასაწყებ და გარდამავალ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,5 მილიონი მანეთიდან 2,5 მილიონ მანეთამდეა";

დ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი: „კაპიტალური მშენებლობა იმ დამატებითი შემოსავლის ხარჯზე, რომელიც გამოვლინებული და მიღებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების დროს, შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ამ მშენებლობისათვის საჭირო არ არის ფონდირებული საშენი მასალები და მოწყობილობა".

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) „სამრეწველო საწარმოების მშენებლობისათვის მოედნების შერჩევისა და დამტკიცების წესის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 29 იანვრის 1 მუხლის ქვეპუნქტი „გ";

ბ) „მუშა-ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 5 სექტემბრის № 1187 დადგენილების მე-5 მუხლის უკანასკნელი აბზაცი;

გ) „საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს და სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს მთავმშენის სამშენებლო ორგანიზაციების განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 მარტის № 214 დადგენილების მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ";

დ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 7 დეკემბრის № 751 დადგენილება „მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ";

ე) „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 წლის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილების მე-10 მუხლის მეორე აბზაცი;

ვ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 თებერვლის № 102 დადგენილება „მშენებლობის პროცესში მყოფი ობიექტების სამუშაო ნახაზების მიხედვით შედგენილი ხარჯთაღრიცხვებით უზრუნველყოფის შესახებ“;

ზ) „1959 — 1964 წლებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 სექტემბრის № 687 დადგენილების მე-5 მუხლის ქვეპუნქტი „გ“;

თ) „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 16 ნოემბრის № 871 დადგენილების 44 მუხლის მე-5 აბზაცი;

ი) „1961 — 1965 წლებში არამადნეული საშენი მასალების მრეწველობის განვითარებისა და ტექნიკური აღჭურვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ოქტომბრის № 726 დადგენილების მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი იმ ნაწილში, რომელიც შეეხება არამადნეული საშენი მასალების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მყოფი საწარმოების მოწყობილობით დაკომპლექტების წესს, და მე-14 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მეორე აბზაცი;

კ) „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის და საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის წესისა და ვადების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 27 მაისის № 315 დადგენილების მე-6 მუხლის უკანასკნელი აბზაცი.

III. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 11 ოქტომბრის № 1058 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

ა) მუხლი 2 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 5 მარტის № 370 დადგენილებისა „იმის შესახებ, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს ინსტრუქცია სამრეწველო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შედგენის შესახებ და დებულება სამრეწველო საწარმოების მშენებლობისთვის მოედნების შერჩევისა და დამტკიცების წესის თაობაზე“ იმ ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილში, რომელიც შეეხება დებულების მე-13 მუხლის „ა" დაქციას „სამრეწველო საწარმოების მშენებლობისათვის ნების შერჩევისა და დამტკიცების წესის შესახებ";

ბ) მუხლი 8 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1533 დადგენილებისა „საპროექტო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ";

გ) „მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების სახსრების ანგარიშში ლიმიტგარეშე კაპიტალდაბანდებათა დაფინანსების წესის შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წ. 24 სექტემბრის № 1734 დადგენილების მე-3 მუხლის პირველი აბზაცი;

დ) მუხლი 1 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 14 იანვრის № 35 დადგენილებისა „იმ მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ახალი სამრეწველო საწარმოების მშენებლობის სწორ განლაგებასთან".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 20 დეკემბერი, № 836.

28 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

„სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის წესდების დამტკიცების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ოქტომბრის № 1146 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებით გაუქმებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 20 დეკემბერი, № 837

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 20 დეკემბრის № 837
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. მუხლი 7 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობაში მომუშავე და სოფელ ადგილებში მცხოვრებ აგრონომთა, ზოოტექნიკოსთა, ვეტერინარ ექიმთა და მიწათმომწყობთა საყოფაცხოვრებო მოწყობის ზომების შესახებ“.

2. მუხლი 1 საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1946 წლის 10 იანვრის № 16 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მიწსახკომის, ტექნიკური კულტურების სახალხო კომისარიატის და წყალთა მეურნეობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მომუშავე და სოფელ ადგილებში მცხოვრებ წყალთა მეურნეობის ინჟინერთა და ტექნიკოსთა საყოფაცხოვრებო მოწყობის ზომების შესახებ“, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილების მე-7 მუხლის მოქმედების გავრცელების ნაწილში.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 20 ივნისის № 367 დადგენილება „საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სამინისტროს და ტექნიკური კულტურების სამინისტროს მანქანა-ტრაქ-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორთა სადგურების მექანიკოსებზე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილების გავრცელების თაობაზე“ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 15 ნოემბრის № 1487 დადგენილების მე-7 მუხლის მოქმედების გავრცელებას.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 23 მაისის № 468 დადგენილება „სავაჭრო ბანკის საქართველოს კანტორის 1947 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“.

5. „სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის 1947 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 23 მაისის № 469 დადგენილების მე-6 მუხლის ქვეპუნქტები „ბ“ და „გ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 14 აგვისტოს № 855 დადგენილება „ქალაქებსა და დაბებში სასურსათო და სამრეწველო საქონლის კოოპერაციული ვაჭრობის გაშლისა და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 27 ნოემბრის № 1093 დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე“.

7. „ხე-ტყის დამზადების მექანიზაციისა, ტყის ახალი მასივების ათვისებისა და საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სამინისტროს მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური კადრების დასამაგრებლად აუცილებელი პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 2 სექტემბრის № 953 დადგენილების მე-8 მუხლი და მე-10 მუხლის ქვეპუნქტი „ა“.

8. მუხლი 13 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 16 სექტემბრის № 1006 დადგენილებისა „ხორცის, ძეხვის ნაწარმის, ერბო-კარაქისა და ყველის წარმოების გადიდების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 28 ივლისის № 2694 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა თაობაზე“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 ოქტომბრის № 1114 დადგენილება „1946 წელს საქართველოს სსრ მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობისა და მათი საწარმოო-საფინანსო საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

10. მუხლი 1 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 29 იანვრის № 78 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სუბტროპიკული მეურნეობების მუდმივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშებსა, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 ივნისის № 2060 დადგენილების მე-4 მუხლის მეორე აბზაცის მოქმედების გავრცელების შესახებ".

11. მუხლი 19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 მარტის № 188 დადგენილებისა „მუშათა მომარაგების განყოფილებების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 10 აპრილის № 311 დადგენილება „საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი კვების ტრესტების საბრუნავი სახსრების შესახებ".

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 20 აპრილის № 343 დადგენილება „სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის 1948 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ".

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 18 მაისის № 493 დადგენილება „სავაჭრო ბანკის საქართველოს კანტორის 1948 წლის საკრედიტო გეგმის შესახებ".

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 5 აპრილის № 339 დადგენილება „სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკის საქართველოს კანტორის საკრედიტო გეგმის შესახებ".

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 2 ივლისის № 715 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს 1948 წლისა და 1949 წლის პირველი კვარტალის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ".

17. „სოფლის მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა ინსტრუქტორ-ბუღალტრების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების ღონისძიებებზე" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 27 დეკემბრის № 1782 დადგენილების მე-5 მუხლის მეორე აბზაცი, პირუტყვის შესაძენად კრედიტის გაცემის ნაწილში.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 30 მაისის № 675 დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების კრედიტუნარიანობის აღდგენის ზომების შესახებ".

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 9 დეკემბრის № 1707 დადგენილება „1950 წელს ფართო მოხმარების საქონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის წარმოების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფის შესახებ".

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 24 იანვრის № 78 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების ადგილობრივი ფონდების სახსრების შემოსვლისა და გამოყენების 1951 წლის გეგმის შესახებ".

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 8 თებერვლის № 170 დადგენილება „1952 წელს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის და ინვალიდთა კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების ადგილობრივი ფონდების სახსრების შემოსვლის და გამოყენების გეგმისა და საფინანსო გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ".

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 21 თებერვლის № 225 დადგენილება „ევკომიის პლანტაციების გაფართოებისა და ამ კულტურის გამოყვანა-ექსპლუატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 4 ნოემბრის № 1736 დადგენილება „საქკოოპინკავშირის სისტემის არტელების მიერ 1952 წლის 1 იანვრისათვის გამოუყენებელი საამორტიზაციო ფონდის ნაწილის ძირითადი ფონდების გასადიდებლად ჩარიცხვის შესახებ".

24. „თევზჭერის კოლმეურნეობების მიერ თევზის მოპოვების გადიდების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 28 ივლისის № 996 დადგენილების მე-10 მუხლის ქვეპუნქტი „გ".

25. მუხლი 8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 10 ოქტომბრის № 1382 დადგენილებისა „საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ხაზით 1953 წლის IV კვარტალში ხე-ტყის დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის შესახებ".

26. მუხლის 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 83 დადგენილებისა „1954 წელს საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების ადგილობრივი ფონდების სახსრების შემოსვლის და გამოყენების გეგმისა და საფინანსო გეგმის ძირითადი მაჩვენებლების დამტკიცების შესახებ".

27. მუხლი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 14 აპრილის № 339 დადგენილებისა „სოფლის სკოლების მასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის 1954 წლის 3 ივნისის № 479 დადგენილებისა „1954 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის კონტრაქტაციისა და დამზადების გეგმის შესახებ“.

29. „იმ მოქალაქეთათვის დახმარების ზომების შესახებ, რომელთაც განაცხადეს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების კოლმეურნეობებში გადასახლების სურვილი“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 3 ივნისის № 489 დადგენილების მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ა“.

30. მუხლი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 11 ივნისის № 529 დადგენილებისა „საზამთროს, ნესვის და გოგრის წარმოებისა და დამზადების გადიდების შესახებ“.

31. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 1 ოქტომბრის № 897 დადგენილება „სარეწაო კოოპერაციის რესპუბლიკური საბჭოს „საქსარეწსაბჭოს“ 1954 წლის პირველი ნახევრის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ“.

32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 27 თებერვლის № 98 დადგენილება „საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის გრძელვადიანი დაკრედიტების ფონდების შესახებ“.

33. „სასკოლო მშენებლობაში კოლმეურნეობებისათვის დახმარების გაწევის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 10 აპრილის № 383 დადგენილების განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 მაისის № 301 დადგენილების 1 მუხლის მეორე, მესამე და მეხუთე აბზაცები“.

34. მუხლი 4 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 21 ნოემბრის № 799 დადგენილებისა „საქართველოს სსრ სოფლებში სატელეფონო კავშირის მუშაობის გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 3 აგვისტოს № 791
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებისა, რომლებიც გაუქმებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. „სასოფლო-სამეურნეო ბანკის მიერ კოლმეურნეობათა დაკრედიტების წესის გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 16 თებერვლის № 252 დადგენილების მუხლი 1 და მე-3 მუხლის ქვეპუნქტი „ბ“.

2. მე-2 მუხლი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 11 აპრილის № 681 დადგენილებისა „იმ საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო ენერგოსისტემებს, სამრეწველო, კომუნალურ და სოფლის სახელმწიფო ელექტროსადგურებს შეუერთდება“.

3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 ივლისის № 5561 განკარგულება.

4. მუხლები 6, 37 და 38 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 18 მაისის № 660 დადგენილებით დამტკიცებული „ცვლილებებისა და დამატებებისა, რომლებიც შეიტანება სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში მინისტრების, უწყებათა ხელმძღვანელების, საწარმოთა დირექტორების უფლებების გაფართოებასთან და სახელმწიფო დაგეგმვის და მოკავშირე რესპუბლიკების მეურნეობის დაფინანსების წესის შეცვლასთან დაკავშირებით“.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 8 მაისის № 503 დადგენილება „მტს-ების სატრაქტორო ბრიგადების ტრაქტორისტებისა და სხვა მუშებისათვის ფულადი გასამრჯელოს მიცემის წესის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29 საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ გამოცემული ინსტრუქციის ნაწილობრივ შეცვლის თ ,ბაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი მოქმედ ინსტრუქციაში მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდის შექმნისა და ხარჯვის წესის შესახებ:

ინსტრუქციის 1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ანაზღაურების ფონდი დაწესდება 1963 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 აგვისტოს № 865 დადგენილების თანახმად საცალო სავაჭრო ორგანიზაციებში ამ ორგანიზაციათა მოგების ხარჯზე, საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის 0,5 პროცენტის ოდენობით.

აღნიშნული ფონდის ხარჯზე ამ საქონლის ჩამოფასება საჭირო შემთხვევებში ნებადართულია აგრეთვე საბითუმო ორგანიზაციებში“.

მუხ. 16 შეიცვალოს შემდეგნაირად:

„მოძველებული ფასონებისა და მოდელების საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასება და გაყიდვა, აღნიშნული საქონლის ჩამოფასებისაგან მიღებული ზარალის ასანაზღაურებლად სავაჭრო ორგანიზაციებში შექმნილი ფონდის ხარჯზე, წარმოებს მისი გამოვლინების მიხედვით, როგორც წესი, წელიწადში ორჯერ: გაზაფხულის დამდეგს — შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდგომა-ზამთრის ასორტიმენტის საქონლისა და შემოდგომის დადგეგს — გაზაფხულ-ზაფხულის ასორტიმენტის საქონლისა".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 27 დეკემბერი, № 843

30 საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს სანიმუშო დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს სანიმუშო დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს შესახებ და იმ ცალკეული საკითხების ნუსხა, რომლებსაც სადირექტივო ორგანოები განიხილავენ და გადაწყვეტენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 27 დეკემბერი, № 844

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 27 დეკემბრის № 844
დადგენილებით

სანიმუშო დებულება

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს შექმნიან კოლმეურნეობები კაპიტალური მშენებლობის, ადგილობრივი საშენი მასალე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის წარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამუშავებ-
ბის ერთობლივად განხორციელების, აგრეთვე სხვა სახეობის სამუ-
შაოთა განხორციელების მიზნით.

კოლმეურნეობათა სახსრებით შექმნილი საკოლმეურნეობათაშო-
რისო საწარმო წარმოადგენს მათს საერთო საკუთრებას.

2. გადაწყვეტილებას საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოში
კოლმეურნეობის მონაწილეობის შესახებ მიიღებს კოლმეურნეობის
წევრთა საერთო კრება.

3. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმო მოქმედებს თანახმად
დებულებისა (წესდებისა), რომელიც შემუშავებულია შესაბამისად
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებუ-
ლებისა საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს შესახებ და მიღებუ-
ლია კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრების მიერ, და რომელსაც
შემდგომ დაამტკიცებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეო-
ბების საწარმოო სამმართველო.

4. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმო იმყოფება სამეურნეო
ანგარიშზე და დამოუკიდებელ ბალანსზე, სარგებლობს იურიდიუ-
ლი პირის უფლებებით და აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდების გა-
მოსახულებით.

5. ყველა თავისი ვალდებულების მიხედვით საკოლმეურნეობათა-
შორისო საწარმო პასუხს აგებს იმ ქონებით, რომელზედაც მოქმე-
დი კანონების თანახმად შეიძლება მიქცეულ იქნას გადახდევინება.

6. ეს სანიმუშო დებულება ვრცელდება საკოლმეურნეობათა-
შორისო საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებზე, რომლებიც
შექმნილია კოლმეურნეობათა სახსრებით.

7. კოლმეურნეობათა მიერ საკოლმეურნეობათაშორისო საწარ-
მოში სამუშაოდ გამოყოფილი კოლმეურნეები ემორჩილებიან შინა-
განი განაწესის წესებს, რომლებიც დადგენილია ამ საწარმოში.
ისინი შეიძლება გაწვეულ იქნან კოლმეურნეობათა გამგეობების მი-
ერ და შეცვლილი კოლმეურნეობათა სხვა წევრებით საკოლმეურნე-
ობათაშორისო საწარმოს საბჭოსთან შეთანხმებით.

8. კოლმეურნეები, რომლებიც საკოლმეურნეობათაშორისო სა-
წარმოში მუშაობენ, რჩებიან კოლმეურნეობათა წევრებად და სარ-
გებლობენ კოლმეურნეთა ყველა უფლებით.

9. გადაწყვეტილებას საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოდან
კოლმეურნეობის გამოსვლის შესახებ მიიღებს კოლმეურნეობის
წევრთა საერთო კრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. რწმუნებულთა კრება და მისი ფუნქციები

10. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს უმაღლესი ორგანოა კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრება.

11. რწმუნებულები აირჩევიან კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებებზე თანაბარი რაოდენობით თვითეული კოლმეურნეობისაგან. ასეთივე წესით გადაირჩევიან რწმუნებულები ყოველი 2 წლის შემდეგ. აგრეთვე შეიძლება ვადამდე იქნან შეცვლილი სხვა პირებით.

რწმუნებულთა კრება:

ა) აირჩევს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს და სარევიზიო კომისიას;

ბ) დააწესებს კოლმეურნეობათა წილობრივი მონაწილეობის ოდენობას;

გ) დაამტკიცებს საწარმოო-საფინანსო გეგმებს, ხელფასის ფონდს, ადმინისტრაციულ-სამეურნეო (მმართველობის) ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს, წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, აგრეთვე მოგების განაწილების ან ზარალის დაფარვის წესს;

დ) დაადგენს მუშაკთა დაჯილდოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების ფონდის ხარჯვის წესს;

ე) მოისმენს საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს საწარმოს საქმიანობის შესახებ;

ვ) დაამტკიცებს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს შტატებს, რომლებიც დაწესდება ანალოგიურ სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების შტატების შესაბამისად, სამუშაოთა მოცულობის მიხედვით;

ზ) დაამტკიცებს საწარმოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას, შესაბამისად ტარიფებისა (განაკვეთებისა) და ფასდებისა, რომლებიც დაწესებულია ასეთივე სამუშაოებისა და თანამდებობებისათვის ანალოგიურ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

თ) გადაწყვეტს საკითხს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოში კოლმეურნეობათა მიღების შესახებ;

ი) განიხილავს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოდან კოლმეურნეობის გასვლის საკითხს და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს წარდგენით დაადგენს, თუ რა წესით და რა ვადაში უნდა დაუბრუნდეს გასულ კოლმეურნეობას წილობრივი მონაწილეობის შენატანები და მიეცეს მოგების წილი ან დაუკავდეს ზარა-

ლი. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოდან გასული კოლმეურნეობებისათვის ანგარიშის გასწორება ხდება სამეურნეო წლის დასრულების თავრების შემდეგ.

12. რწმუნებულთა მორიგ კრებას მოიწვევს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო. რწმუნებულთა რიგგარეშე კრება მოიწვევა რწმუნებულთა სულ ცოტა ერთი მესამედის მოთხოვნით ან საბჭოს გადაწყვეტილებით.

კრების გადაწყვეტილებანი მიღებულად ითვლება, თუ მათ სასარგებლოდ მიცემულია რწმუნებულთა საერთო რიცხვის ხმების არა ნაკლებ ორი მესამედისა.

III. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო და მისი ფუნქციები

13. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისადმი ხელმძღვანელობას ახორციელებს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო.

14. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო აირჩევს თაკმჯდომარეს საბჭოს წევრთა სულ ცოტა ორი მესამედის ხმების უმრავლესობით და განახორციელებს საწარმოს ტექნიკური ხელმძღვანელისა და მთავარი (უფროსი) ბუღალტრის მიღებას და დათხოვნას.

15. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო:

ა) განიხილავს და რწმუნებულთა კრებებს წარუდგენს დასამტკიცებლად წლიურ საწარმოო-საფინანსო გეგმებს, საშტატო განრიგს, ხელფასის ფონდს, ადმინისტრაციულ-სამეურნეო (მმართველობის) ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს, წლიურ ანგარიშებსა და ბალანსებს, მოგების განაწილების ან ზარალის დაფარვის წესს, აგრეთვე საწარმოს მუშაკთა შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას;

ბ) საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოდან კოლმეურნეობის გასვლის შემთხვევაში მოამზადებს რწმუნებულთა კრებისათვის წინადადებებს, თუ რა წესით და რა ვადაში უნდა დაუბრუნდეს გასულ კოლმეურნეობას წილობრივი მონაწილეობის შენატანები და მიეცეს მოგების წილი ან დაუკავდეს ზარალი.

16. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო პასუხისმგებელია დაწესებული გეგმების შესრულებისა და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საქმეთა მეურნეობრივად წარმოებისათვის.

17. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო თავის საქმიანობაში ანგარიშს აბარებს რწმუნებულთა კრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობანი

18. საბჭოს თავმჯდომარე განსაკუთრებული საამისო მინდობილობის გარეშე შეასრულებს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს სახელით მთელ ოპერაციებს, რომლებიც საწარმოს საქმიანობის კომპეტენციაში შედის, აგრეთვე გამოდის მის წარმომადგენლად ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციაში პირადად ან სხვა პირთა მეშვეობით.

19. საბჭოს თავმჯდომარეს ეკისრება:

ა) საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს სხდომის მოწვევა;

ბ) საწარმოო-საფინანსო გეგმების, საიჯარო ხელშეკრულებათა და მიწოდების ხელშეკრულებათა პროექტების, შტატების, ხარჯთაღრიცხვების და საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა წარდგენა საბჭოს განსახილველად;

გ) ხელშეკრულებათა დადება და მშენებლობის უზრუნველყოფა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით;

დ) საფინანსო ოპერაციების განხორციელება საკრედიტო დაწესებულებებში, მათ შორის საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების დახურვა და გახსნა, ფულადი სახსრების განმკარგულებლობა, საგადამხდელო მოთხოვნების აქცეპტი, აკრედიტივების წარდგენა და სხვა ფულად-საანგარიშო ოპერაციების შესრულება;

ე) მინდობილობების გაცემა მატერიალურ ფასეულობათა და ფულადი სახსრების მიღების შესახებ;

ვ) შრომის დაცვისა და უსაფრთხობის ტექნიკის წესების შესრულების უზრუნველყოფა;

ზ) მუშაკთა მიღება და დათხოვნა, გარდა ამ სანიმუშო დებულების მე-14 მუხლით გათვალისწინებული პირებისა.

20. ყველა ფულად დოკუმენტს ხელს მოაწერენ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, რომელთა ხელმოუწერლად ამ დოკუმენტებს ძალა არა აქვთ.

V. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს სახსრები

21. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საკუთარი სახსრები შეიქმნება კოლმეურნეობათა წილობრივი შენატანებისა და მოგების ანარიცხებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილობრივი შენატანები კოლმეურნეობებს შეაქვთ, ფულად, აგრეთვე მატერიალურ ფასეულობათა სახით, რისთვისაც ისინი კოლმეურნეობათაშორისო საწარმოს გადასცემენ სასაწყობო სადგომებს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებებს და სხვა ქონებას.

იმ შემთხვევაში, თუ კოლმეურნეობის მიერ გადაცემული ქონების ღირებულება აღემატება წილობრივი შენატანის ოდენობას, საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭო დაადგენს გადაცემული ქონების ღირებულების ნამეტის კოლმეურნეობისათვის ანაზღაურების წესსა და ვადებს.

22. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს აქვს საწესდებო და საამორტიზაციო ფონდი, საწარმოს გაფართოებისა და განმტკიცების ფონდი, აგრეთვე საწარმოს ფონდი მუშაკთა დაჯილდოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

23. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს ძირითადი და საკუთარი საბრუნავი სახსრები შექმნიან მის საწესდებო ფონდს.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები განისაზღვრება საწარმოო-საფინანსო გეგმების დამტკიცების დროს, შესაბამისად ანალოგიურ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მოქმედი ნორმატივებისა. მრავალდარგოვან საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებში საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივები უნდა დაწესდეს ცალკე მეურნეობის თვითეული დარგის მიხედვით.

24. საამორტიზაციო ფონდს შექმნის საკოლმეურნეობათაშორისო საწარმო საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს მიერ დადგენილი ოდენობით იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც მოქმედებენ ანალოგიურ სახელმწიფო საწარმოებში.

25. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს გაფართოებისა და განმტკიცების ფონდი შეიქმნება ფაქტიური მოგების ყოველწლიური ანარიცხების ანგარიშში 30 პროცენტის ოდენობით.

26. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოების ანგარიშსწორება კოლმეურნეობებთან, მიმწოდებლებთან, საკრედიტო დაწესებულებებთან და სხვა ორგანიზაციებთან წარმოებს იმ წესით, რაც დადგენილია სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

27. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს მოგება საწარმოს გაფართოებისა და განმტკიცების ფონდში ანარიცხების, სხვა ფონდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის შექმნის შემდეგ შეიძლება განაწილდეს კოლმეურნეობებს შორის მათი წილობრივი შენატანების პროპორციულად.

28. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საქმიანობის შედეგად შექმნილი ზარალი დაიფარება საწარმოს გაფართოებისა და განმტკიცების ფონდის სახსრებიდან ან კოლმეურნეთა სახსრების ხარჯზე კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრების მიერ დადგენილი წესით.

VI. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს ანგარიშგება და რევიზია

29. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს ბალანსები და ანგარიშები შედგება დაწესებული ფორმების მიხედვით და წარედგინება ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანოებს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის განყოფილებებს.

30. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის რევიზიას განახორციელებს სარევიზიო კომისია.

31. რევიზიის შედეგები განიხილება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საბჭოს სხდომაზე ან კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრებაზე.

VII. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა

32. საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კოლმეურნეობების რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რასაც შემდგომ დაამტკიცებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველო.

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი სახსრები განაწილდება კოლმეურნეობებს შორის მათი წილობრივი მონაწილეობის პროპორციულად.

ნ უ ს ხ ა

ცალკეული საკითხებისა, რომლებსაც სადირექტივო ორგანოები განიხილავენ და გადაწყვეტენ

1. ფასების დაწესება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ დამზადებულ პროდუქციაზე. ფასდების დადგენა მათ მიერ შესრულებული სამუშაოებისა და გაწეული მომსახურებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(განახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო კოლმეურნეობათაშორისო საწარმოთა და ორგანიზაციებისა ბის წარდგენით, გეგმური თვითღირებულებისა და რენტაბელობის გათვალისწინებით 5 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო ფასებისა და ფასდებისა).

2. ზედნადები ხარჯების ნორმების დამტკიცება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის.

(დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების წარდგენით).

3. გარეშე სამუშაოების შესრულება.

(პროდუქტების რეალიზაცია, სამუშაოთა შესრულება და მომსახურების გაწევა სხვა ორგანიზაციებისათვის წარმოებს საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოს და ორგანიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მხოლოდ იმ პირობით, თუ დაკმაყოფილებულია თანამფლობელ კოლმეურნეობათა მოთხოვნილებანი და არსებობს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შესაბამისი საწარმოო სამმართველოს თანხმობა).

4. შრომის ანაზღაურების რეგულირება.

(რჩევა მიეცეთ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებს დააწესონ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ოდენობა იმის გათვალისწინებით, რომ შეფასება და განაკვეთები არ იყოს იმ შეფასებასა და განაკვეთებზე მეტი, რაც დაწესებულია ასეთივე სამუშაოებისა და თანამდებობებისათვის ანალოგიურ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში).

5. საწარმოს ფონდის შექმნა.

(რჩევა მიეცეთ საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შექმნან: საწარმოს (ორგანიზაციის) ფონდი მუშაკთა დაჯილდოებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის იმ ფონდების შესაბამისი ოდენობით, რაც დაწესებულია ანალოგიურ სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში).

31 რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებობებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ

„რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებობებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 იანვრის № 83 დადგენილების განსახორციელებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება იმ მიწების შესახებ, რომლებიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებს და სხვა ორგანიზაციებს გადაეცემა სპეციალური საჭიროებისათვის, და ინსტრუქცია საავტომობილო გზების განსხვისების ზოლის მიწების გამოყოფისა და გამოყენების წესის შესახებ (დებულება და ინსტრუქცია თან ერთვის).

2. დეკორაციული ხე-ტყის დარგვა საავტომობილო გზების გასწვრივ მოხდეს მხოლოდ ამ გზების განსხვისების ზოლის ფარგლებში.

თოვლსაცავი ხე-ტყის ნარგავები განლაგებულ იქნას გზის ორივე მხარეს, მიწის ვაკისის ბაზოს მანძილზე, რაც განისაზღვრება პროექტით ნამქერიანობის მიხედვით.

3. დაწესდეს სამსახურებრივი მიწის ნადელების შემდეგი ნორმები ერთ ოჯახზე რკინიგზის ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, მაგისტრალური მილგაყვანილობათა სახაზო მუშაკებისათვის, წყალთა მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მუშაკებისათვის, რომლებიც სამსახურის ხასიათის მიხედვით უნდა ცხოვრობდნენ, როგორც წესი, დასახლებული ადგილებისაგან დაშორებით: სახნავი მიწისა — 0,15 ჰექტარამდე და სათიბისა — 0.5 ჰექტარამდე.

ჩამოთვლილ მუშაკებს მიეცემათ სათიბი ნაკვეთები მხოლოდ მაშინ, თუ მათ ჰყავთ პირადი საკუთრების პირუტყვი.

4. უფლება მიენიჭოთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს გამოუყონ რაიაღმასკომებთან შეთანხმებით მუშებსა და მოსამსახურეებს ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი მიწის ნადელები.

5. სამსახურებრივი ნადელები (სახნავი მიწები და სათიბები) გამოიყოფა სამინისტროებისა და უწყებების გამგებლობაში არსებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მიწებიდან და მიემაგრება ამ დადგენილებაში აღნიშნულ მუშაკებს მოცემულ საწარმოში ან ორგანიზაციაში მათი გამოყენებისა მთელი ვადისათვის.

6. ამ დადგენილების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ მუშაკებს, რომლებსაც აქვთ საკარიმადმო ნაკვეთები დასახლებულ პუნქტებში, მათ შორის კოლმეურნეობათა მიწებზე, გამოეყოფათ დამატებით სამსახურებრივი ნადელის სახით სახნავი მიწის ნაკვეთები, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ საერთო ფართობი იმ საკარმიდამო ნაკვეთისა, რომელიც მუშაკს და მის ოჯახს აქვს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და დამატებით გამოყოფილი სახნავი მიწის ნაკვეთისა არ უნდა აღემატებოდეს 0,15 ჰექტარს.

7. დაწესდეს, რომ რკინიგზის ტრანსპორტის, საავტომობილო გზების, მაგისტრალური მილგაყვანილობის, წყალთა მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მუშაკები, რომლებიც გათვალისწინებული არიან ამ დადგენილების მე-3 მუხლით, სამუშაოდან დათხოვნის დროს ჰკარგავენ სამსახურებრივ ნადელების სარგებლობის უფლებას.

თუ აღნიშნული მუშაკები დათხოვნილი არიან სამუშაოდან მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მათ სამუდამოდ შეუნარჩუნდებათ უფლება ისარგებლონ სახნავი მიწით, ხოლო თუ პირად საკუთრებაში პირუტყვი ჰყავთ, — სათიბი ნაკვეთითაც მათთვის დაწესებული ოდენობით.

8. სახნავი მიწის, ხოლო თუ პირადი საკუთრების პირუტყვი ჰყავთ სათიბი ნაკვეთის სარგებლობის უფლება შეუნარჩუნდებათ ამ დადგენილების მე-3 მუხლში ჩამოთვლილ მუშაკთა ოჯახებს:

ა) საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ან სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამსახურში გაწვეული, აგრეთვე სასწავლებლად მივლინებული მუშაკებისა — ამ მუშაკების ნამდვილ სამხედრო სამსახურში ან სასწავლებელში ყოფნის მთელი დროისათვის;

ბ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული მუშაკებისა: შრომის უუნარო ცოლს და მოხუც მშობლებს — სამუდამოდ, ხოლო ბავშვებს — მათ სრულწლოვანებამდე.

9. აკრძალულია რაიმე შენობების აგება ან მრავალწლიანი ნარგავების გაშენება სამსახურებრივ მიწის ნადელებზე.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, აფხაზეთის

ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ნომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს მკაცრად კონტროლი გაუწიონ იმ მიწების გამოყოფას და გამოყენებას, რომლებიც გაცემულია სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის საჭიროებისათვის, სარწყავი და ამოსაშრობი არხებისათვის, მაგისტრალური მილგაყვანილობებისა და სხვა სახაზო ნაგებობებისათვის, აგრეთვე იმ სამსახურებრივი მიწის ნაკვეთების გამოყოფასა და გამოყენებას, რომლებიც ხაზის მუშაკებსა და ტყის დაცვის მუშაკებს მიეცათ.

11. დაევალოთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების და დამზადების სამინისტროსთან ერთად 1963 წლის ივნისის დამლევამდე გადასინჯონ სარკინიგზო და საავტომობილო გზების, სარწყავი და ამოსაშრობი არხების განსხვისების ზოლის საზღვრები და ზედმეტი მიწები დაუბრუნონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მიწათმოსარგებლეებს.

12. დაევალოთ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს რაიაღმასკომებთან ერთად 1963 წლის 1 ივნისამდე გადასინჯონ ხაზის მუშაკების და ტყის დაცვის მუშაკებისათვის გამოყოფილი სამსახურებრივი მიწის ნაკვეთები და მოიყვანონ მათი ოდენობა ამ დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ვ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 27 დეკემბერი. № 846

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 27 დეკემბრის № 846
დადგენილებით

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

იმ მიწების შესახებ, რომლებიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებს ეძლევათ სპეციალური საჭიროებისათვის

1. იმ მიწებს, რომლებიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებს და სხვა ორგანიზაციებს ეძლევათ სპეციალური საჭიროებისათვის, მიეკუთვნება მიწები, რომლებიც გამოყოფილია კანონით დადგენილი წესით და განკუთვნილია მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის, აგრეთვე იმ ნაგებობათა შენახვისა და განვითარებისათვის, რომლებიც შექმნილი და აგებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების წყალმომარაგებისა, გაწყლიერებისა, მორწყვისა და ამოშრობისათვის.

2. იმ მიწების მართვა-გამგეობას, რომლებიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებს გადაეცათ სპეციალური საჭიროებისათვის, და მათი გამოყენებისადმი კონტროლს განახორციელებენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო და ის ორგანიზაციები, რომლებსაც ეს მიწები მიეცათ.

3. არხებისა, წყალსატარებისა, საცავი ჯებირებისა და ჰიდროტექნიკური (საგაზო) ნაგებობების განსხვისების ზოლის სიგანე დაწესდება ამ ნაგებობათა კვეთის საპროექტო განივი პროფილის, სატყეო ზოლების, გზების, ელექტროგადამცემი ხაზების და კავშირგაბმულობის ხაზების (პროექტებით დასაბუთებული), აგრეთვე საცავი ზონების სიგანის გათვალისწინებით, რომლებიც მიიღება 3 მეტრამდე ორივე მხრით.

4. დასახლებულ პუნქტებში განსხვისების ზოლების სიგანე დაწესდება საქალაქო და სასოფლო აღმასკომებსა და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებს შორის შეთანხმებით.

5. წყალსაცავებისა და მდინარის კაშხალებისათვის განსხვისების ზოლის სიგანეს ყოველ ცალკე შემთხვევაში დააწესებს განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მინისტრთა
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს წარდგენით.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის მიწების გამოყოფის წესი

6. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების ფაქტიურ სარგებლობაში არსებული მიწების გადაცემის გაფორმება, აგრეთვე მათთვის ახალი მიწების გამოყოფა წარმოებს ამ ორგანიზაციების შუამდგომლობით, დადგენილი წესით. საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის მიწების გადაცემის გაფორმების მიწათმოწყობის სამუშაოები სრულდება მათ ხარჯზე.

საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ იმ მიწების გამოყენება, რომლებიც არ უკავიათ ნაგებობებს, არხებს და ზვინულებს (განსხვისების ზოლები)

7. მიწებს, რომლებიც საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებს გამოეყოთ სპეციალური საჭიროებისათვის და რომლებიც არ უკავიათ ნაგებობებს, არხებსა და ზვინულებს, გამოიყენებენ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოები და სხვა ორგანიზაციები ტყესაფუტკრეებისათვის, საწარმოო კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობისათვის, საწყობების, გზებისა და დამხმარე სასოფლო მეურნეობის მოსაწყობად.

8. თავიანთი ტყის ნარგავების მერქანი საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებსა და სხვა ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, შენობათა და მოწყობილობათა რემონტისა, აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის, წყალდიდობისაგან დაცვისა და სარეგულირებო სამუშაოებისათვის, სამაგრების, ხიდებისა და ყველა სახეობის ჰიდროტექნიკური და სხვა ნაგებობების მოსაწყობად, კავშირგაბმულობის საშუალებათა მოსაწყობად და საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების დანარჩენი საჭიროებისათვის, რაც დაკავშირებულია წყალთა მეურნეობის სისტემის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების საექსპლუატაციოდ გადაცემასთან.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 27 დეკემბრის № 846
დადგენილებით

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

საავტომობილო გზების განსხვისების ზოლის მიწების გამოყოფისა და გამოყენების წესის შესახებ

1. ეს ინსტრუქცია შემუშავებულია შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 იანვრის № 83 დადგენილებისა „რკინიგზებისა და საავტომობილო გზებისათვის, ამოსაშრობი და სარწყავი არხებისა და სხვა სახაზო ნაგებობებისათვის მიწების გამოყოფის მოწესრიგების შესახებ“.

I. მიწების გამოყოფის ნორმები

2. გზის კატეგორიის მიხედვით დაწესებულია საავტომობილო გზების განსხვისების ზოლის შემდეგი მაქსიმალური სიგანე სავალი ნაწილის, მიწის ვაკისის, გვერდობებისა და წყალსარინი ნაგებობების მოწყობის გათვალისწინებით:

I კატეგორიის გზებისათვის	— 35 მეტრი
II კატეგორიის გზებისათვის	— 28 მეტრი
III კატეგორიის გზებისათვის	— 22 მეტრი
IV კატეგორიის გზებისათვის	— 19 მეტრი
V კატეგორიის გზებისათვის	— 18 მეტრი

საავტომობილო გზებისათვის ისეთი მიწების გამოყოფის დროს, რომლებზედაც გაშენებულია განსაკუთრებით ძვირფასი კულტურები (ტექნიკური და ციტრუსოვანი კულტურების სანერგეები, პლანტაციები და ა. შ.) წესდება საავტომობილო გზების განსხვისების ზოლის ყველაზე ნაკლები სიგანე იმის კვალობაზე, თუ რამდენად შესაძლებელია გზის მიწის ვაკისის განლაგება.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს საგზაო ორგანოებს მაღალი ყრილების, ღრმა მთხრებლების მოწყობის, საზაფხულო სატრაქტორო და შემოსავლელი გზების გაყვანის; საშენ მასალათა მოსაპოვებლად ტრასისპირა რეზერვებისა და კარიერების დამუშავების დროს, აგრეთვე სახაზო საგზაო და ავტოსატრანსპორტო სამსახურებრივი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი შენობების, მშენებელთა დროებითი საცხოვრებელი ქალაქების, დროებითი და მუდმივი საწარმოო ბაზების და სხვათა აშენების დროს შეუძლიათ გამოიყენონ მიწის ნაკვეთები საავტომობილო გზების ტრასის გასწვრივ მე-2 მუხლში აღნიშნული ნორმების გადამეტებით.

დეკორაციული ტყის დარგვა საავტომობილო გზების გასწვრივ წარმოებს მხოლოდ ამ გზების განსხვისების ზოლის ფარგლებში.

4. დასახლებულ პუნქტებში საავტომობილო გზის განსხვისების ზოლის სიგანე დაწესდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან და საგზაო ორგანოებთან შეთანხმებით.

5. საავტომობილო გზებისათვის მიწები გამოეყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს როგორც მუდმივი, ისე დროებითი სარგებლობისათვის.

6. მუდმივი სარგებლობისათვის მიწების გამოყოფა მოხდება იმ მიზნით, რომ მოეწყოს:

მიწის ვაკისი სავალი ნაწილით;

ხიდები, მილგაყვანილობანი და მილები;

წყალსარინი ნაგებობანი;

საყრდენი და სამოსი კედლები;

საცავი ფარდულები, გალერიები და ნახევარგალერიები;

მუდმივი სახაზო საგზაო და ავტოსატრანსპორტო საცხოვრებელი, სამსახურებრივი და საწარმოო შენობები;

ლიანდაგის მოწყობილობა (სასიგნალო მაჩვენებელი ნიშნები, ბოძკინტები, პარაპეტები და სხვ.);

მუდმივი საწარმოო ბაზები;

ნაგებობანი შემოსავლელ გზებზე და გზაჯვარედინებზე;

საზაფხულო სატრაქტორო და შემოსავლელი გზები;

ქვიშასამაგრი და დეკორაციული მწვანე ნარგავები;

ტრასისპირა რეზერვები იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი გზის მშენებლობის პროექტის თანახმად წარმოადგენენ სპეციალურ ნაგებობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიწის ვაკისის სიმყარესა და სიმტკიცეს;

მუდმივ მოქმედი კარიერები;

ტყის ნარგავების მუდმივ მოქმედი სანერგეები.

7. გზების გასწვრივ თოვლსაცავი ზოლების მოსაწყობად მიწები შეიძლება გამოყოფილ იქნას ისეთი დასაბუთებული მასალების სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფუძველზე, რომლებიც ადასტურებენ მოცემული უბნის ნაყარ-ნიანობას.

8. საავტომობილო გზების განსხვისების ზოლში შეიტანება ისეთი მიწები, რომლებიც საჭიროა სამსახურებრივი ნადელების მისაცემად რემონტის სამსახურის მუშაკებისათვის და საავტომობილო გზების შესანახად იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილებით.

9. დროებითი სარგებლობისათვის მიწები გამოიყოფა გზის მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პერიოდისათვის, როდესაც იქ ეწყობა:

ტრასისპირა რეზერვები, როცა ისინი არ წარმოადგენენ სპეციალურ საგზაო ნაგებობებს;

თავმოყრილი რეზერვები;

კარიერები, რომლებიც საჭიროა მხოლოდ გზის მშენებლობის პერიოდისათვის;

ტყის ნარგავების დროებითი სანერგეები;

მშენებელთა დროებითი საცხოვრებელი ქალაქები;

დროებითი საწარმოო ბაზები და ნაგებობანი;

დროებითი მისასვლელი და შემოსავლელი გზები და სხვ.

მშენებლობის (რეკონსტრუქციის, კაპიტალური რემონტის) დამთავრების შემდეგ მიწის ნაკვეთები, რომლებიც დროებით უკავია ამ მუხლში აღნიშნულ ნაგებობებს, უნდა დაუბრუნდეს სოფლის მეურნეობისათვის გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში იმ მიწათმოსარგებლეებს, რომელთა მიწებიდან ეს ნაკვეთები იყო გამოყოფილი.

10. მიწების გამოყოფის დროს შეიძლება გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე სპეციალური ზონები (მიწის ნაკვეთები ისე, რომ არ იქნას ისინი შეტანილი განსხვისების ზოლში), რომელთათვისაც შესაბამისი გადაწყვეტილებებით დაწესდება მიწათსარგებლობის განსაკუთრებული პირობები. მიწათსარგებლობის ასეთ განსაკუთრებულ პირობებს მიეკუთვნება:

ა) მთლიანი ჭრის აკრძალვა ტყიან ადგილებში იმ ნაკვეთებზე, სადაც ტყის ჭრას შეუძლია გავლენა მოახდინოს საავტომობილო გზისპირა მთების ფერდობების სიმტკიცეზე (ხევების, მეწყრების, ფლატეების შექმნა), შეუძლია გამოიწვიოს ღვარცოფის წარმოშობა ან ადიდება, აგრეთვე გზის ნამქერიანობა;

ბ) უფლების მინიჭება მიწათმოსარგებლეებისათვის, რომლებ-
ნონ სათიბად მიწის ნაკვეთები აკრძალულ ზონებში, ნებადართულ
დაწესდება დაცვის ორგანოების მოთხოვნების შესაბამისად;

გ) უფლების მინიჭება საგზაო ორგანოებისათვის აწარმოონ ხეე-
ბისა და ბუჩქნარების სისტემატური ჭრა განაკაფებში, რომლებიც
არ არის შეტანილი განსხვისების ზოლში და ეწყობა ტყის მასი-
ვებში გაყვანილი საავტომობილო გზების მიწის ვაკისის გამო-
საშრობად.

მას შემდეგ, რაც დამტკიცდება განსხვისების ზოლი და სპეცია-
ლური ზონები მიწათსარგებლობის განსაკუთრებული პირობებით,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცი-
ლების მთავარი სამმართველო მოვალეა წერილობით აცნობოს
მიწათმოსარგებლეებს, ვის მიწებზედაც მოწყობილია სპეციალური
ზონები, ამ ზონებში მიწების სარგებლობის განსაკუთრებული პი-
რობების მოქმედების ხასიათი და ხანგრძლიობა.

11. მიწების გამოყოფა მუდმივ და დროებით სარგებლობაში
საავტომობილო გზების მშენებლობისა, რეკონსტრუქციისა და კა-
პიტალური რემონტისათვის (აგრეთვე სპეციალური ზონების და-
წესება მიწათსარგებლობის განსაკუთრებული პირობებით) წარ-
მოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინის-
ტრთა საბჭოს 1954 წლის 22 ივნისის № 1240, 1955 წლის 4 მაისის
№ 861 დადგენილებებით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილებით.

12. არსებული საავტომობილო გზების განსხვისების ზოლის
საზღვრებს გადასინჯავენ და კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურ-
ნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთათვის დასაბრუნებელი
ზედმეტი მიწების ოდენობას ერთობლივად დაადგენენ საქართვე-
ლოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთა-
ვარი სამმართველო და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის
პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო.

13. საგზაო ორგანოებისათვის გამოყოფილი მიწები გამოყენე-
ბულ უნდა იქნას დანიშნულებისამებრ, ესე იგი ისეთი საჭიროე-
ბისათვის, რაც გათვალისწინებულია გადაწყვეტილებებით მიწე-
ბის გამოყოფის შესახებ.

14. აკრძალულია საავტომობილო გზის მშენებლობისათვის (რე-
კონსტრუქციისათვის, კაპიტალური რემონტისათვის) გამოსაყოფად
განზრახული მიწებით სარგებლობა მანამ, ვიდრე არ იქნება მიღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სათანადო ნებართვა ამ ინსტრუქციის 11 მუხლის შესაბამისად.

15. მუდმივი სარგებლობის მიწების განსხვისების ზოლის და ამ მიწებზე არსებული საგზაო შენობების, ნაგებობებისა და სამომსახურეო მოწყობილობათა შენახვის წესები განისაზღვრება საავტომობილო გზების რემონტისა და შენახვის ტექნიკური წესებით, რომლებსაც შეიმუშავებს და დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველო.

II. მითითებანი განსხვისების ზოლის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

16. მიწის გამოსაყოფი ნაკვეთების ოდენობა უნდა იყოს მინიმალურად აუცილებელი.

საპროექტო დავალებებისა და ტექნიკური პროექტების დამტკიცების დროს უნდა შემოწმდეს საავტომობილო გზების ზოლის სიგანის გაანგარიშების სისწორე.

17. საავტომობილო გზის მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტის შემუშავების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას მიწების გამოყოფა მშენებლობის რიგითობის გათვალისწინებით, დაპროექტების დავალების თანახმად.

18. ტრასისპირა კარიერებისათვის გამოსაყოფი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება იმის გათვალისწინებით:

ა) თუ რამდენია დამზადებული მასალა როგორც მშენებლობის პერიოდისათვის, ისე გზის ექსპლუატაციის პერიოდისათვისაც;

ბ) გამოყოფილია თუ არა საჭირო ფართობი გადახსნითი ქანების ნაყარისათვის;

გ) უზრუნველყოფილია თუ არა კარიერიდან გამოსასვლელები.

შენიშვნა: იმ ტრასისპირა კარიერების ნუსხა, რომლებიც მოქმედ კარიერებად რჩებიან გზის ექსპლუატაციის პერიოდში, დაწესდება პროექტით.

19. ტყის ნარგავების სანერგეებისათვის — მუდმივი და დროებითი სანერგეებისათვის — მიწის ნაკვეთების ოდენობა დაწესდება საავტომობილო გზებზე საცავი ტყის ნარგავების მოცულობისა და სახეობათა შესაბამისად. მიწების გამოყოფა დროებითი სანერგეებისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას არა უმეტეს 5 წლის ვადისა მათი მოწყობის მომენტიდან.

20. მიწის იმ ნაკვეთების ზომა და ოდენობა, რომლებიც ეკუთვნის ყოფა დროებითი სარგებლობისათვის მე-9 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაწესდება პროექტით.

ტრასისპირა და თავმოყრილი რეზერვების მოსაწყობად დროებითი განსხვისების ზოლის ოდენობის დაწესების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას ფართობების მინიმალურად საჭირო რეზერვები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მანევრირება მიწის სათხრელი და სატრანსპორტო მანქანების გამოყენების დროს (შესასვლელად, გამოსასვლელად და მოსაბრუნებლად).

21. მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სპეციალური ზონების დაწესების დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას, რომ ყველა კატეგორიის ტყეებში, მათი კუთვნილების მიუხედავად, საავტომობილო გზების გასწვრივ 250 მეტრი სიგანის ზოლებში (გზის ორივე მხარეზე განსხვისების ზოლის ფარგლებს გარეთ) ტყის მოჭრა აკრძალულია.

22. იმ შემთხვევებში, როდესაც განსხვისების ზოლის არსებული სიგანე საკმარისი არ არის მწვანე ნარგავების დამატებითი ზოლების მოსაწყობად, გზის იმ უბნებზე, სადაც არსებული ნარგავები ვერ უზრუნველყოფენ გზის დაცვას თოვლის ნამქერებისაგან, მიწის იმ ნაკვეთების ოდენობა, რომლებიც საჭიროა ტყის ნარგავების დამატებითი ზოლების მოსაწყობად, განისაზღვრება არსებული საცავი ნარგავების გაფართოების პროექტით. ხოლო მიწების გამოყოფა ამ მიზნებისათვის წარმოებს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 22 ივნისის № 1240 და 1955 წლის 4 მაისის № 861 დადგენილებებით.

23. საავტომობილო გზების არსებული განსხვისების ზოლის საზღვრებს გადასინჯავენ კომისიები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან. კომისიაში შეთანხმებულ წინადადებებს განიხილავენ და დაამტკიცებენ რაიალმასკომები, რის შემდეგ წარმოებს ახალი საზღვრების დაწესება ნატურაში. იმ შემთხვევებში, როდესაც საგზაო ორგანიზაციების და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს წარმომადგენლები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას განსხვისების არსებული ზოლის საზღვრების შესახებ, რაიალმასკომის მიერ ამ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება წარედგინება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საბოლოოდ დასამტკიცებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. საავტომობილო გზების განსხვისების ზოლში სამსახურებრივი მიწის ნაკვეთების გამოყოფის ნორმებისა და წესის შესახებ

24. სამსახურებრივი მიწის ნაკვეთების ნორმები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 27 დეკემბრის № 846 დადგენილების შესაბამისად დაწესდება ერთ ოჯახზე საავტომობილო გზების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც თავიანთი სამსახურის ხასიათის მიხედვით უნდა ცხოვრობდნენ, როგორც წესი, დასახლებული ადგილების მოშორებით: სანხავი მიწისა — 0,15 ჰექტარამდე, სათიბისა — 0,5 ჰექტარამდე.

25. იმ გზების რემონტისა და შენახვის სამსახურის ხაზის მუშაკთა კონტინგენტში, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ სამსახურებრივი მიწის ნაკვეთები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 დეკემბრის № 2457 დადგენილების შესაბამისად, შედიან: გზის მუშები, მერემონტეები, ხიდის დარაჯები, მებორნეები, გზის ოსტატები, ხიდის ოსტატები, გზის ათისთავები, თოვლდაცვის და დეკორაციული მერქნის ნარგავების ოსტატები.

26. ჩამოთვლილ მუშაკებს მიეცემათ სათიბი ნაკვეთები მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ ჰყავთ პირადი საკუთრების პირუტყვი.

სამსახურებრივი ნაკვეთები (სახნავი მიწები და სათიბები) გამოიყოფა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატკეცილების მთავარი სამმართველოს გამგებლობაში არსებული მიწებიდან და პიემაგრება ამ ინსტრუქციის 25-ე მუხლში აღნიშნულ მუშაკებს მოცემულ ორგანიზაციაში მათი მუშაობის მთელი დროისათვის.

იმ მუშაკებს, რომელთაც საკარმიდამო ნაკვეთები აქვთ დასახლებულ პუნქტებში, მათ შორის კოლმეურნეობათა მიწებზედაც, გამოეყოფათ დამატებით სამსახურებრივი ნაკვეთის სახით სახნავი მიწის ნაკვეთები იმ ანგარიშით, რომ საერთო ფართობი საკარმიდამო ნაკვეთისა, რომელიც მუშაკს და მის ოჯახს აქვს საცხოვრებელ ადგილზე და დამატებით გამოყოფილი სახნავი მიწის ნაკვეთისა არ უნდა აღემატებოდეს 0,15 ჰექტარს.

საავტომობილო გზების მუშაკები ამ ინსტრუქციის 25-ე მუხლის შესაბამისად, სამუშაოდან დათხოვნის დროს ჰკარგავენ სამსახურებრივი ნაკვეთების სარგებლობის უფლებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, თუ სამსახურებრივ ნადელზე დაფუძნებული სოფლო-სამეურნეო კულტურები, აღნიშნული მუშაკთა ოჯახები ამ ნადელის სარგებლობის უფლებას მოსავლის აღების შემდეგ.

27. სახნავი მიწების, ხოლო თუ პირადი საკუთრების პირუტყვი ჰყავთ — სათიბი ნაკვეთის სარგებლობის უფლება შეუნარჩუნდებათ იმ მუშაკთა ოჯახებს, რომლებიც გაწვეული არიან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ან სასაზღვრო და შინაგანი ჯარების ნამდვილ სამსახურში. აგრეთვე მივლინებული არიან სასწავლებლად, მთელი იმ ვადისათვის, რაც ეს მუშაკები იქნებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ან სასწავლებელში.

28. აკრძალულია რაიმე შენობების აგება ან მრავალწლიანი ნარგავების გაშენება სამსახურებრივ ნადელებზე.

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გზატკეცილების მთავარ სამმართველოს უფლება ენიჭება გამოუყოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან შეთანხმებით სამსახურებრივი მიწის ნადელები ამ ინსტრუქციის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ მუშებსა და მოსამსახურეებს.

IV. საგზაო ორგანოებისათვის მიწების გამოყოფის გაფორმება

30. გზატკეცილების მთავარ სამმართველოს სარგებლობაში არსებული მიწების გაფორმება და მათთვის ახალი მიწების გამოყოფა მოხდება გზატკეცილების მთავარ სამმართველოს შუამდგომლობით, კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.

გზატკეცილების მთავარ სამმართველოსათვის მიწების გამოყოფასთან და გადაცემასთან დაკავშირებული მიწათმოწყობის სამუშაოები შესრულდება ამ სამმართველოს ხარჯზე.

32 იმ ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც სახელმწიფო პენსიებს არ იღებენ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ყოველთვიური დახმარება შეიძლება დაენიშნოთ მატერიალურად ხელმოკლე ღრმა მოხუცებს და პირველი და მეორე ჯგუფების ინვალიდებს, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო პენსიების მიღების უფლება, მათ შორის უსინათლოებსა და

ყრუ-მუნჯებს, ბავშვობიდან ინვალიდებს და შემთხვევის გამო ინვალიდებს, რომელთაც არა აქვთ შემოსავლის წყაროები და არ ჰყავთ ნათესავები, რომლებიც კანონით მოვალენი არიან შეინახონ ისინი, აგრეთვე არა აქვთ კავშირი სოფლის მეურნეობასთან.

ყოველთვიურ დახმარებას დაუნიშნავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები მას შემდეგ, რაც ყოველმხრივ იქნება შემოწმებული დახმარების მთხოვნელის მატერიალური მდგომარეობა, თუ მას არა ჰყავს ნათესავები, რომლებიც კანონით მოვალენი არიან შეინახონ ისინი ან თუ აღმასრულებელი კომიტეტი დაადგენს, რომ ამ ნათესავებს არ შეუძლიათ მისი შენახვა.

2. ყოველთვიური დახმარება დაენიშნოთ: 12 მანეთი — ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მცხოვრებთ და 10 მანეთი — სოფელ ადგილებში მცხოვრებთ.

დახმარების გაცემის ხარჯებს გასწევენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის შესაბამისი ბიუჯეტების, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების ანგარიშში.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 10 აგვისტოს № 516 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1962 წ. 28 დეკემბერი, № 867.

33 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 ნოემბრის № 1172 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

„თამბაქოს წარმოებისა და დამზადების გადიდების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 21 აგვისტოს № 859 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 ნოემბრის № 1172 დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. „იმ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 2 მარტის № 110 დადგენილების მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში ამოღებულ იქნას სიტყვა „თამბაქოს“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) დანართი № 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 ივლისის № 446 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოების ნატურასაზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“;

ბ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 11 აპრილის № 382 განკარგულების მე-2 მუხლის ქვეპუნქტი „ა“, აგრეთვე ამ განკარგულების დანართი № 1, გარდა თამბაქოს ფერმენტიზაციის სიმძლავრეთა 1961 — 1962 წლებში საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებისა.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 22 ნოემბრის № 1172 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 19 აგვისტოს № 902 დადგენილება „იმ არაფერმენტირებული თამბაქოს ჩასაბარებელი ფასების შესახებ, რომელსაც სახელმწიფოს აბარებენ საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 19 აგვისტოს № 902 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 4 იანვარი, № 3.

34 **საქართველოს სსრ მთაგორიანი და საზღვრისპირა რაიონებიდან კოლმეურნეობებისათვის საშემოსავლო გადასახადის დამატებითი შეღავათების მოქმედების ვადის სამი წლით გაგრძელების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ოქტომბრის № 2755 განკარგულების შესაბამისად, საქართველოს სსრ მთაგორიანი და საზღვრისპირა რაიონების ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს საშემოსავლო გადასახადის შეღავათის მოქმედების ვადა გაუგრძელდეს 3 წლით — 1963-1965 წლებისათვის, თანხით 1.300 ათასი მანეთი ყოველწლიურად, დანართის თანახმად.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა და დანართში ჩამოთვლილი რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა განიხილონ ცალკეული კოლმეურნეობების საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობა და ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობები გაათავისუფლონ მთლიანად ან ნაწილობრივ 1963-1965 წლებში საშემოსავლო გადასახადის გადახდისაგან, ამ დადგენილებით განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 25 იანვარი, № 48.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1963 წლის 25 იანვრის № 48 დადგენილების დანართი

ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲐ

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შეღავათის თანხისა 1963-1965 წლებისათვის აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და რაიონებს შორის

ასსრ, ავტონომიური ოლქის და რაიონების დასახელება		ყოველწლიური შეღავათის თანხა 1963-1965 წლებისათვის (ათას მანეთობით)
აფხაზეთის ასსრ		53
აჭარის ასსრ		220
სამხრეთ ოსეთის ა. ო.		130
ამბროლაურის	რაიონი	40
ახალქალაქის	„	145
ახალციხის	„	120
ბოლნისის	„	45
გორის	„	10
დუშეთის	„	68
ზესტაფონის	„	65
თელავის	„	40
თეთრიწყაროს	„	146
თიანეთის	„	16
ლენტეხის	„	26
მაიაკოვსკის	„	10
მახარაძის	„	5
მესტიის	„	12
საჩხერის	„	40
სამტრედიის	„	3
ყაზბეგის	„	30
ხაშურის	„	50
ცაგერის	„	23
წყალტუბოს	„	3
სულ		1300

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ᲨᲘᲠᲐᲫᲐᲫᲔ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საბინაო-კოოპერაციული მშენებლობა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა ფართოდ ვერ გააცნეს მოსახლეობას საბინაო კოოპერაციის მოწყობის პირობები და ის შეღავათები, რომლებსაც მთავრობა ანიჭებს კოოპერატივების წევრებს. საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები არ ეწევიან სათანადო ახსნა-განმარტებითს მუშაობას ამ საკითხებზე. არ იყენებენ ამ მიზნისათვის პრესას, რადიოსა და ტელევიზიას.

არც ერთ ქალაქში არ არის ათვისებული სახალხო-სამეურნეო გეგმით გამოყოფილი საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის ლიმიტები.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, მოქალაქეთა შესვლას საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში აფერხებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ შემოღებული შეზღუდვები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი დებულებებით და ეწინააღმდეგებიან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წესდებას.

საცხოვრებელი სახლების ამჟამად მოქმედი ტიპური პროექტები, რომლებიც სავალდებულოა კოოპერაციული მშენებლობისათვის, მთელ რიგ შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მოთხოვნილებებს.

საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის განვითარების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ადგილობრივი საბჭოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ ისინი არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის განვითარებისათვის.

დაევალოთ იმ ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს, რომლებშიც 1963 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებულია საბინაო-კოოპერაციული მშენებლობა, მიაღწიონ რადიოს, პრესის, ტელევიზიის მეშვეობით, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალებით იმას, რომ მშრომელები ფართოდ გაეცნონ იმ პირობებსა და შეღავათებს, რომლებსაც მთავრობა ანიჭებს საბინაო-კოოპერაციულ მშენებლობას.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს კონტროლი გაუწიოს საბინაო-კოოპერაციულ მშენებლობას, ამასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მთელი სამუშაოების დროულად შესრულებას და მშენებლობის ხარისხს.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) აღმოფხვრან დაუსაბუთებელი დაბრკოლებანი იმ მოქალაქეთა, კოოპერატივების წევრებად შესვლის გზაზე, რომლებსაც სურთ გაიუმჯობესონ საბინაო პირობები თავიანთი შრომითი დანაზოგებით;

ბ) 20 დღის განმავლობაში განიხილონ საწარმოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე საბინაო სამმართველოებისა და კომუნალური მეურნეობის განყოფილებების ყველა შუამდგომლობა და მიმდინარე წლის 1 მარტამდე დაამთავრონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შექმნა;

გ) უზრუნველყონ ყველა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თვითეული მშენებლობა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით და 10 დღის ვადაში გამოყონ მიწის ნაკვეთები კოოპერაციული სახლების მშენებლობისათვის.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შემაკვეთის მოვალეობანი დააკისრა თავის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს.

5. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მიმდინარე წლის 1 მარტისათვის მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, თუ რა ზომები მიიღეს მათ საბინაო-კოოპერაციული მშენებლობის 1963 წლის გეგმის შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1963 წ. 8 თებერვალი, № 86.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 231